

652/2
1984

ISSN 0134 3459

041736324
4705400061

ქართული

6

1984



ქოჩოხი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიბერატორულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს მშვიდობა კავშირისა
და აზარის განუყოფილების
ორგანო

გამოცემის 26-ე წელი

6

1984

ნომერი
დუბლი

რა მშვენიერი ზღვა გვადეს, აჭარა,
რა მომავალი, მკითხვენი ზღვით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის თანაზარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.



გათუნი

აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

3 ახალგაზრდობა — იმედი ზეალის

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

ოთარ ფუტყარაძე

6 მტკვარი, ივერია, გულსუნდა...

პოეზია, პროზა

მამია ვარშანიძე
რევაზ ოსეფაიშვილი
ემენ დავითაძე
ჭემალ ჩხეიძე

11 წიგნიდან „სიზმარეული მესხეთი ჩემი“ (ლექსები)
18 ჩემი ღუმელი შენი განაჩენია (რომანის თავები)
26 ვაზის ვახიზენა (პოემის ფრაგმენტები)
30 ქარბორბალა (მოთხრობა, დასასრული)

ჯ ე ჯ ი ლ ი

ჭემალ სურმანიძის, ბექირ გათენაძის, ციცინო ზივზივადის ლექსები — 37
ბამარაშვილის 40 წლისთავისათვის

მერაბ დვალისხილი

38 ცას მისი კვალი აჩნია

წ ე რ ი ლ ე ბ ი

მურად ჩავლიშვილი

40 საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ეროვნული
საკითხის ლენინური გადაწყვეტისათვის

ალექსანდრე დავითაძე
ნუგზარ მგელაძე

49 ისტორიკოს-მემკვიდრე
56 დიდუბარის სოფლების წარმოშობის ისტორიისა-
თვის

ანა აღვანდიანი

61 შიგასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის მდგომარეობა
და განვითარების ამოცანები ბათუმის საწარმო-
ბში.

ჩვენი თანამოაზრეები

ანზორ ჯამბახიძე

64 იოსებ ბარდნაშვილი

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

პაყლე ჭორბენაძე

73 რომანტიზმის არსის საკითხისათვის

მ ე ღ უ ზ ა

შოთა ასანიშვილი

84 გაყიდული ორთქლმავალი (მოთხრობა)

ვანო ცინცაძე

88 გადაკეთებული ანდაზები

ალექსანდრე სამსონია

89 ნოდარ ღუმბაძის ხსოვნას

90 გასულ ორ თვეში

93 „ჭორბის“ 1984 წლის ნომრების შინაარსი

ვარეკანის 1-ლ გვერდზე ბათუმის მე-2 მუსიკალური სკოლის შე-
ნობა — მხატვარი ავთანდილ ლომაძე.

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.

„დარწმუნებული ვარ, რომ დღეს მოზარდ თაობათა იდეურ-ზნეობრივ განვითარებას, გრძნობათა კულტურის აღზრდას ნაკლები ყურადღება როდი უნდა ეთმობოდეს, ვიდრე მეცნიერების საფუძვლების სწავლებას. პარტიას ამ საქმეში შემოქმედებითი კავშირების, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის კონკრეტული დახმარების იმედი აქვს“. — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. უ. ჩერნენკომ თავის სიტყვაში სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმზე.

ეს სიტყვები საბჭოთა მწერლებმა, ჩვენმა შემოქმედებითმა ინტელიგენციამ თავიანთი მოქმედების საბრძოლო პროგრამად აღიქვეს, რადგან ახალგაზრდობის აღზრდა საგანგებო მნიშვნელობის საკითხია არა მარტო ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებისათვის, არამედ თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის.

სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართული პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს კომპარტიის ამოცანები „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებისა და დასკვნების მიხედვით.

პლენუმის წინ კი, როგორც ტრადიციულად დამკვიდრდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წერილით მიმართა რესპუბლიკის კომუნისტებს, კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს, ყველა მშრომელს გამოეთქვათ თავიანთი წინადადებანი პლენუმზე განსახილველი საკითხის თაობაზე, იმის შესახებ, თუ როგორ გავაძლიეროთ აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში, როგორ აღმოვფხვრათ ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები.

კომუნისტებმა და კომკავშირელებმა, რესპუბლიკის ყველა მშრომელმა გულდასმით განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი და თავიანთი კონკრეტული წინადადებებიც წამოაყენეს ახალგაზრდა თაობის აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე.

როგორც წერილში იყო აღნიშნული და შემდეგ ხაზი გაესვა პლენუმზე, მოზარდი თაობის სწორი პოლიტიკური, იდეურ-ზნეობრივი აღზრდისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ოჯახს, მშობლებს, იმას, თუ როგორ ზრდიან ისინი თავიანთ შვილებს, უყალიბებენ თუ

არა ბავშვებს საბჭოური, სოციალისტური ცხოვრების წესის შესაბამის ჩვევებს?

როდესაც იდეურ აღზრდაზე ვლაპარაკობთ, უპირველესად უნდა გვახსოვდეს: თვით აღზრდელი ავლენს თუ არა ჭეშმარიტი საბჭოთა მოქალაქის თვისებებს, მისი პირადი ცხოვრება სამაგალითოა თუ არა სხვებისათვის, უპირველესად, მისი ოჯახის წევრებისათვის? ერთი სიტყვით, აღზრდელს და უპირველესად, რასაკვირველია, მშობლებს მორალური უფლება უნდა ჰქონდეთ თავიანთ შვილებს პატიოსნების, შრომისა და სიკეთისაკენ მოუწოდონ.

ასეთი მშობლები ჩვენ ბევრზე ბევრი გვყავს, ამჟამად მხოლოდ ერთ მათგანზე — მრავალშვილიან დედაზე შევაჩერებთ ყურადღებას. ეს ის დედაა, რომელსაც აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავის ზეიმზე ამხანაგმა ე. შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა ღირსეული შვილების აღზრდისა და თავდადებული შრომისათვის.

ეს ქალი ულფეთ დუმბაძე გახლავთ ხელვაჩაურის რაიონიდან — 13 შვილის გმირი დედა, 11 შვილიშვილის ბებია.

შრომით აღზრდასთან ერთად, პარტია მოითხოვს შემდგომ ავამაღლოთ ახალგაზრდების პოლიტიკური სიფხიზლე, სრულყოფით სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, კიდევ უფრო წარმატებით მოვაძაბოთ ისინი სამშობლოს დასაცავად. ამ მხრივ ჩვენ მართლაც თვალსაჩინო წარმატებები მოვიპოვეთ. აჭარა საზღვრისპირა ავტონომიური რესპუბლიკაა და მისი თითოეული მცხოვრები, უპირველესად ახალგაზრდობა, მესაზღვრეთა აქტიური თანაშემწეები არიან. მათი სიფხიზლის, ვაჟაკობის, საზრიანობისა და მოხერხებულობის შედეგად სახელმწიფო საზღვრის ბევრი დამრღვევი შეიპყრეს. საქართველოსა და, კერძოდ, აჭარის მაგალითზე კიდევ ერთხელ მტკიცდება ის ჭეშმარიტება, რომ საზღვარს მთელი ხალხი იცავს.

აჭარის დედაქალაქში ტრადიციულად ტარდება ზეიმი — „ბათუმი მშობისა და მეგობრობის ქალაქია“. სამშობლო და სამეგობროდ მოსული კაცისათვის ყველა ბათუმელის გულის კარი ღიაა. დიახ, ასე გულისადა შეხვდა მთელი საქართველო და მათ შორის რესპუბლიკის საზღვაო ჭიშკარი — ბათუმი ტიმ სევერინის ამასწინანდელ ექსპედიციას, მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ გვავიწყდება, რომ კეთილმოსურნეებთან ერთად ზოგჯერ არაკეთილმოსურნეებიც გვეწვევიან, რომლებიც ცდილობენ გონება დაუბანგონ ზოგიერთ მერყევ ახალგაზრდას, უცხოური ჩურებისა თუ ნივთების საშუალებით დააკარგვინონ მათ პატიოსნება, ღირსება და თავმოყვარეობა. ზოგჯერ საქმე მარტო ყიდვა-გაყიდვით როდი მთავრდება.

პარტია მოგვიწოდებს: შეუწყნარებლად უნდა ვიბრძოლოთ დემაგოგების, ობივატელების, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ეწევა სპეკულაციას

ცრუპატრიოტიზმით, საქმით კი ზიანს აყენებს თავის ხალხს, წყალს სამს ბურჟუაზიული პროპაგანდის წისკვილს.

ასეთი ცრუპატრიოტების საყურადღებოდ ერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ. ცნობილია, რა დიდი უბედურება მოუტანა აჭარას უცხოელ დამპყრობთა სამასწლოვანმა ბატონობამ. მხოლოდ საბჭოთა სინამდვილემ, ჩვენმა დღევანდელობამ შეგვაძლევინა წარსულის ამ ტრაგედიის აღმოფხვრა. შორს წაგვიყვანდა დღევანდელი აჭარის წარმატებებზე ლაპარაკი, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ მარტო საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გემებზე მრავლად მუშაობენ ამ კუთხის მკვიდრი შეილები — წარსულში თითქმის მთლიანად უწიგნური ხალხის მემკვიდრეები. ეს ახალგაზრდები არიან შორეული ნაოსნობის კაპიტნები, შტურმანები, მექანიკოსები, მატროსები. თითქმის ყველამ საზღვაო განათლება ბათუმში მშობლიურ, ქართულ ენაზე მიიღო.

სად, სხვა რომელ ქვეყანაში შეიძლება მომხდარიყო მსგავსი შემთხვევა? — მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში, მხოლოდ საბჭოთა საქართველოში!

...და როდესაც ბრუნდება მაღალმთიანი აჭარის შორეული სოფლების მკვიდრი, მრავალი ზღვისა და ოკეანის გადამლახველი, მრავალ ქვეყანაში ხაშყოფი მეზღვაური თავის მშობლიურ ქალაქში, არ შეიძლება არ გაიხსენოს გალაკტიონის სიტყვები:

რას, რას იბოვი, იქ, საზღვარგარეთ,
რომ ის ჩასთვალო მზედ ანდა მთვარედ,
არ ღირს მსოფლიოს მთელი სიმდიდრე
ერთ ვაქროლებად სამშობლო მხარედ.

რა შესანიშნავადაა ნათქვამი! დიდი ქართველი პოეტის ეს სტრიქონები, როგორც მთლიანად მისი შემოქმედება, ხალხის სამსახურის, მშობლიური ქვეყნის სიყვარულის ბრწყინვალე მაგალითია.

როგორც ამხანაგმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე, საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების გმირების ჰეროიკული რომანტიზმი, კომუნისტური მრწამსი, ცხოვრებისეული სიმართლე, მათი საქციელის, გრძნობების სიწრფელე, დიდი პატრიოტიზმი, იდეურობა და ზნეობრივი სისპეტაკე ახალგაზრდობას ეხმარებოდა არა მარტო ცხოვრებისეული და ზნეობრივი პოზიციების დამკვიდრებაში, არამედ შრომასა და სიყვარულშიც, აყალიბებდა პიროვნებებს, ხასიათებს. „სადღეისოდ ჩვენი შემოქმედი ინტელიგენციის, მათ შორის შემოქმედი ახალგაზრდობის მთავარი ამოცანაა ისეთი მაღალმხატვრული და მაღალიდგური ნაწარმოებების შექმნა, რომლებშიც თანამედროვის, მშრომელი კაცის, გმირის ცოცხალი გული და ცოცხალი აზრი ფეთქავს“.

ოთარ ფუტყარაძე

მტკვარი, ივერია, გულსუნდა...

„ასპინძიდან ხუთ კილომეტრზე, მთის უკაცრიელ ადგილას, საფუძველი ჩაეყარა ახალ სოფელს, რომელსაც „ივერია“ ეწოდა“. — ეს ამბავი 1982 წლის ოქტომბერში ამცნეს ქვეყანას გაზეთებმა. იმავე წლის მიწურულს კიდევ ერთი სოფლის დაბადება იწე- იმეს ასპინძელებმა, ამჯერად მტკვრის ზემო წელზე, ვარძიასთან ახლოს, მოეწყო ახა- ლი ხოფლისათვის საძირკვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონიალი.

გაცოცხლდა ახჩიისა და მირაშხანის ნასოფლარები.

აქაც აჭარისწყლის ნაპირებზე გაზრდილი გოგო-ბიჭები მკვიდრდებიან.

საქართველოს აღმშენებლობის მატრიანეს ემატება „მტკვარი“ — კიდევ ერთი ქა- რთული სოფელი.

* * *

ასპინძაში აჭარა-მესხეთის გზით გავემგზავრე. ასე მონათლეს მთიელებმა ბათუმი- ახალციხის საავტომობილო მაგისტრალი, სწრაფი ტემპით რომ კეთილდევნობა და კიდევ უფრო მკვიდრად აკავშირებს ამ ორ ძველქართულ კუთხეს.

ვიცოდო, ავტობუსი დადიოდა ამ გზაზე და მისი იმედითაც ავედი ხულოში, მე- ოთხე ავტომანქანით ჩავაღწიე ასპინძაში, სხვადასხვა მიზეზის გამო, გოდერძი-ადიგენის მოხაკეფთვე ავტობუსების მიმოსვლა აეკრძალათ და ამიტომ გულისტკივილს გამოთქ- ვამდნენ შპრომელები. შეხვედრისთანავე მოვასხენე ეს პარტიის ასპინძის რაიკომის პირველ მდივანს თენგიზ პატიაშვილს.

მეორე დღეს, დილიდანვე ახალთახალმა ავტობუსმა აიღო გეზი ხულოსაკენ. ახლა- ხან კიდევ ერთი საავტობუსო მარშრუტი გაიხსნა ამ ხაზზე — შუახევი-ახალციხე- ასპინძა.

— როგორ მიდის თქვენი რაიონის სოფლების აღდგენა-განახლება? — ვკითხე პა- ტივცემულ თენგიზს.

— ეს პროცესი 1981 წელს დაიწყო. მას შემდეგ ორასზე მეტი ოჯახი მივიღეთ, ეველა აჭარის მაღალმთიანი რაიონებიდან.

პირველად ვინც ჩამოვიდა, ვეღარც კი გაარჩევთ მკვიდრი მესხებისგან, აიშენეს ორსართულიანი ლამაზი ოდა-სახლები, მოიწყვეს დამხმარე მეურნეობა, კარგი ბაღები, ბოსტნები, მოაშენეს ცხვარი, ძროხა, ფრინველი...

სასიამოვნოა, რომ კოლმეურნეობებში, სადაც ახალი მოსახლეობა შეგვემატა, მუ- შახელით გავმდიდრდით და გავფლიერდით. გავსენით სამი ბაგა-ბაღი, ორი დაწყებითი სკოლა, სამი რვაწლიანი კი საშუალოდ გადავაკეთეთ. კიდევ ვაშენებთ სამ საშუალო სკოლას — თითოეულს 300-350 მოსწავლისათვის.

კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტი: ბოლო ათი წლის განმავლობაში რაიონში ბავშვე- ბის შობადობა 250-ს არ აღემატებოდა. შარშან პირველად გადავამეტეთ სამასს, წინას- წარი მონაცემებით, წელს ეზ ციფრი სამას ორმოცდაათამდე გაიზარდება. ეს რაიონის გაახალგაზრდავება, გამდიდრება და მესხეთის მიწაზე ახალი სიცოცხლის დამკვიდრებაა.

— კიდევ ერთი კითხვა, პატივცემულო თენგიზ, როგორ შეეთვისნენ ერთმანეთს ახალი კინების ძველი და ახალი მკვიდრები?

— ჩამოსულთა და დამხვედურთა შორის იმთავითვე ტკბილი ურთიერთობა გაიბა, რომელიც გადაიზარდა ურთიერთდამოყვრებაში, დანათესავებაში, დამეგობრებაში, ადა-თებში, წესებში, ისე მიუსადაგეს ერთმანეთს, რომ სიხარულს ვერ ვფარავ...:

ღიას, ახარებს რაიკომის მდივანს მესხეთის ახალი სიცოცხლე, მისი დღევანდლობა და კიდევ უფრო ბედნიერი მერმისი.

ახალ სოფლებს ახალი გზები, ხიდეები, წყალსადენები, ელექტროგადამცემი საზე-ბი, სკოლები, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ჯანდაცვის, კულტურის ობიექტები ესაჩი-როება. ჰოდა, ერთი წუთითაც არა აქვს მოცლა თენგიზ პატიაშვილს, მაგრამ მაინც ნა-ხულობს დროს — ისე როგორ მოისვენებს, დილაღისმარე მშენებარე ობიექტები არ ჩამოიაროს, მოახალშენეთა სიხარულსა და სატკივარს არ ჩასწვდეს, დახმარების ხელი არ გაუწოდოს.

* * *

პირველად ახალმოსახლებები სამ სოფელში დამკვიდრდნენ: ოთაში, ოშორასა და რუსთავში. უმოკლეს დროში აიგეს სახლები, შრომის ფერხულში ჩაებნენ და, თენგიზ პა-ტიაშვილისა არ იყოს, დღეს აღარც განსხვავდებიან მკვიდრი მესხებისაგან.

ნათქვამია, ასევე გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო, და მოდით, ერთად ვეწ-ვიოთ ამ სოფლებს, გავეცნოთ ახალმოსახლეთა ცხოვრებასა და საქმიანობას.

ოთა — ისტორიული სოფელი...

ადრე აქ მხოლოდ დიასპოშიები სახლობდნენ თურმე, დროის ავბედითობამ რომ მიმოფანტა საქართველოს თითქმის უველა კუთხეში, მტრის ურიცხვმა შემოსევებმა დააქცია და დააძაბუნა სოფელი, მიანგრ-მოანგრია ციხე-კოშკები და ეკლესია-მონასტ-რები, რომელთა ნაშთებიც ორმოცამდეა სოფლის შემოგარენში.

ხაბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო მიწის ახალი სიცოცხლე, აღორძინდა და აუვავდა სოფელი, გაძლიერდა და განმტკიცდა შიხი ეკონომიკა. ოთას აღმშენებლებს აქირიდანაც შეაშველეს ხელი — ფუტყეარად დამეკვიდრნენ ამ სოფელში ქიბინიძეები რაიონში სახელგანთქმული მეცხოველეები არიან ფატი და ჟოლია საგინაძეები.

მთელი სოფელი ამოუდგა მხარში ახალმოსახლეებს და ერთ-ორ წელიწადში ოთას პატარა, კეთილმოწყობილი უბანი შეემატა, აქარული უბანი...

— კარგი მიწები გამოგვიყვეს სამოსახლოდ. ამ აღვლებში თურმე ადრე ბაღების გაშენება ჰქონიათ განზრახული, მოგვცეს კრედიტი, სამშენებლო მასალები, დაგვეხ-მარნენ ტრანსპორტით, ახალმა მეზობლებმაც შეგვაშველეს ხელი და აი, ავაშენეთ კი-დეც სოფელი. — გაგვიზარა თავისი სიხარული ოთარ ფუტყარაძემ, ოთას კოლმეურ-ნეობის ბრიგადირმა.

ოთა მეცხოველეობის სოფელია. — ეს დარგია აქ წამყვანი. ფერმაში ჰყავთ 700 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 1.500 სული ცხვარი. შარშან უოველ საფუ-რაუე ძროხაზე 1.200 კილოგრამი რძის ჩამოწველა ჰქონდათ დაგეგმილი, ჩამოწველეს კი სამასი კილოგრამით მეტი. დავალების გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდეს აგრეთვე 8 ტონა ზორცი. სოფლის ამ წარმატებებში ახალმოსახლებესაც მიუძღვით წვლილი — უკვე რაიონში სახელგანთქმული მეცხოველეები არიან ფატი და ჟოლია საგინაძეები.

— ჩვენს სოფელში ბევრია ნასახლარი და გვახარებს ახალი მეზობლების შემომა-ტება, გვიხარია, რომ ისევ ქართველები მკვიდრდებიან აქ. მეგობრული, გულთბილი ხალხია, კარგად შევეთვისეთ ერთმანეთს. მათი წამოსახლებით სოფელს უნდა ეშვე-ლოს... — გვითხრა ოთას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მათე ბერიძემ.

კარგად ცხოვრობენ ოშორელებიც. ამას ახალმოსახლეთა უბანში ერთი ჩავლითაც შეატუბ. ორსართულიანი, ლამაზი ოდა-სახლები მკვიდრადაა ნაგები. ეს კი იმაზე მიგ-

ვანიშნებს, რომ აღარსად წავლენ მათი მოსახლეები, დაცლა აღარ დაემუქრება ოშორას ნოყიერ მიწაზე ღაღად ბიბინებს სიმინდის ყანები, ხეხილნარშია ჩაფლული სოფელი, მთელს საქართველოშია განთქმული ოშორას ნიგოზი...

ძველი ოშორელებისაგანაც ველარ გამოარჩევთ ახალმოსახლებებს. მტკიცედაც დაუკავშირდნენ ერთმანეთს, საერთო გაიხადეს ჭირიცა და ღვინიც. მთელი ოშორა დღესასწაულობდა ხულოელი ახალმოსახლის ბადრი პაპიძისა და გიული სახელაშვილის შეუღლებას.

ისევ ემატებოდა ახალმოსახლეები ოშორას, ისევ შენდება სახლები.

რეზო შავაძეც ახლა იშენებს სახლს, შარშან ჩამოსახლებულა მახარაძის რაიონიდან.

— მახარაძის რაიონი უფრო შემოსავლიანი არ არის, რატომ ჩამოსახლდით ასპინძაში? — ვკითხეთ მას.

ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მინგრეულ-მონგრეულ ძველთაძველ ტერასებს შეავლო თვალი და თქვა:

— კინოფილმი რაიკომის მდივანი რომ ვნახე, მას შემდეგ გადავწყვიტე. გული მეტკინა ამდენი ნაოფლარის ხილვით, ჰოდა, მინდა მეც შევიტანო წვლილი მესხეთის აღორძინებაში... მეუღლითა და ხუთი შვილით ჩამოვედი, სამი ქალიშვილი მყავს და სამი ვაჟი, უფროსი გურიაში გავათხოვე, ხვარბეთში.

რეზო შავაძე უყანასქნელი ახალმოსახლეთაგანია ოშორასი, მაგრამ ინიციატივიან კაცს მალე გამოუჩნდნია თავი და ფერმის ხელმძღვანელობა მიუწვდიათ. დაუფარავი სიამაყით გვიამბო თავის მიღწევებზე:

— ჩვენამდე ამ სოფელში ზღვარი უოფილა ათასი კილოგრამი რძე ერთ ფურზე. დღეისათვის 900 კილოგრამამდე მეტი გვაქვს ჩამოწვედილი. წლის ბოლომდე ამ მაჩვენებელს 1.500 კილოგრამამდე მაინც ავიყვანთ.

— სხვები რას საქმიანობენ?

— ოღონდ სურვილი ჰქონდეს და ყველა დასაქმდება თავის ადგილას.

ასეც არის: ბევრმა გამოიჩინა თავი ფერმაში, ველ-მინდვრებში, მომსახურების სფეროში, ბევრიც კიდევ პატარების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ემსახურება.

ფრთა გაშალა რუსთავემაც. ამ სოფელში მან კომლია ჩასახლებული და, სასიხარულოა, რომ ყველა ოჯახში თითო აკვანი ირწყევა უკვე.

რუსთაველმა ბეჟან ძირკვადემ ოშორელი ცილა შავაძე დანიშნა. მალე ექნებათ ქორწილი.

გავა დრო და კიდევ ერთი ახალმოსახლე შემემატება ასპინძას, კიდევ უფრო გადიდება სოფელი.

ეს კი მესხეთის მომავალია, მისი ახალი სიცოცხლეა.

* * *

ახლა მტკვრის სათავეებისაკენ ავუყვებთ კეთილმოწყობილ შარაგზას, ვიმოგზაუროთ მესხეთის წარსულში, თვალი შევაგლოთ წინაპართაგან ნაშენებ ქალაქებსა და ციხე-მონასტრებს. სოფელი მტკვარიც იქცეა, ერთი ხელის გაწვდენაზე ვარძის ციხე-ქალაქიდან.

მტკვარი! — ყველაზე ახალგაზრდა სოფელი საქართველოში, ძველ მატთანეში მირაშხანად სახელწოდებული. „შეუნდე მირაშხნელებსაო“... — გვაუწყებს მეთერთმეტე საუკუნის კედლის წარწერა.

მაშინ ყვოდა სოფელი, მტერიც მრავლად ჰყავდა და მოყვარეც. მაინც მტერი აღმოჩნდა უმრავლესი... მსახურალმა ხელმა დააქცია იგი, გაწყვიტა მოსახლეობა, მოშალა მეურნეობა, იავარჰყო ყველაფერი, რაც ხალხმა შექმნა.

და აი, მასაც გამოუჩნდნენ აღმაშენებლები.

შუახვევისა და სულონის რაიონების მშრომელებმა გაქრეს ნახოფლარზე ახალი ფუტყა.

სულონელებს სური მამულაძე გამოუძღვა მესხეთისაკენ. იგი ორმოც წელიწადს მანწავლელობდა თბილისაში და ახალმოსახლეთა უმეტესობა, მტკვარს რომ დაუდეს სათაფე, მისი ნაშრომებია.

— ძალიან კარგი სოფელია, ნოყიერი; მოსავალი უზვი მივიღეთო. — ხარობენ ზაურ, ნოდარ ქაშაშიძეები, ჯამბულ მამულაძე და სხვები.

— აჲ ჩამოსახლებით ძველი ფუტყე ხომ არ მოგიშლიათ?

— არა. ჩვენ ოთხი ძმა ვართ, ერთი ძველ ფუტყეზე დარჩა, სამნი აქ ჩამოსახლდით. მე პირადად მყავს ორი ვაჟიშვილი. ერთი სულღოში დავტოვე, მეორეს კი აქ ვუშენებ სახლს მთავრობის დახმარებით..

დიან, პარტიისა და მთავრობის დახმარებით შენდება ამოდენა სოფელი. უმოკლეს დროში გაიღო ფართო ხიდი მდინარე მტკვარზე, გაიჭრა ნიალას მეურნეობასთან დაშავებულ მთაწმირებზე შარაგზა, ოცდაათი მეტრის სიგრძის მონაკვეთიც და, მტკვარის ნაპირ-ნაპირ შემოვა კიდეც ერთი შარაგზა. მაშინ უკვე მტკვარამდე გამოაგრძელებს გზას ავტობუსი — შუახვევი-ასპინძა.

მთავრობის დადგენილებით, ყოველ ახალმოსახლეს ერთდროული დახმარება ეძლევა — ოჯახის თავკაცზე 50, სოლო თითოეულ წევრზე 35-35 მანეთი. სუთას მანეთს უყოფენ პირუტყვის შესაძენად, აქედან მესხეთის საჩუქრად. სახლების ასაგებად და პირველმოსახლად გამოყოფილია 4.500 მანეთის კრედიტი, რომლის ნახევარი მეურნეობისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე დაიფარება, დანარჩენს კი ახალმოსახლე გადაიხდის სახლის აგებიდან ხუთი წლის თავზე 15 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, ყოველ ოჯახს ეძლევა პექტარი საკარმიდამო ნაკვეთი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პირადად ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის მზრუნველობის შედეგად ასპინძის რაიონი მომარაგებულია სამშენებლო მასალებით, უზრუნველყოფილია ტრანსპორტით.

მტკვრიდან დაბრუნებულებმა კიდეც ერთი ახლად აღორძინებული სოფლის სიღვით გავიხარეთ. ესაა გულსუნდა, მართლაც გულს რომ უნდა ისეთი სოფელი.

რაოდენ სასიხარულოა, რომ ადრე წასული მესხებიც უბრუნდებიან მიტოვებულ მამოსახლოს. ისინი სოფელ ფიაში სახლდებიან, ხერთვისთან ახლოს.

შეზინდებისას დაებრუნდით ასპინძაში.

ხვალ ივერიას უნდა ვეწვიოთ..

* * *

ახალი სოფლის კვალობაზე საქაოლ დიდი სოფელია ივერია. სამოცდაცამეტადან სამოცდაცხრა სახლის ბუხარში კვალი ამოდის უკვე. თვალს იტაცებს სიმინდის ყანები, კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესები. მტკვარზე ჩადგმული წყალსაქაჩი მაცივრებელ ტენს აწვდის მათ.

ამ სოფლის დაშენება სოსო ჩოგაძის სახლის საძირკველში ქვის ჩადებით დაიწყო და ჩვენც სოსოს ვეწვიეთ ზირველად. თავისი ორსართულიანი ლამაზი სახლის გვერდით ახალ სახლს აგებდა სოსო ჩოგაძე.

ივერიის აღმაშენებლები ძირკვამებელი, ბოძაურელი, ოქტომბრელი და ოქრუშ-ვილგებელი მშრომელები არიან, გავიცანით მათი წარმომადგენლები — იოსებ აბულაძე, ისმაილ აბაშიძე, ეორა შავაძე, მურად შანთაძე და სხვები.

— როგორ ააწყეთ ცხოვრება? — ვკითხე მათ.

— აქ მანამდე სოფელი არ არსებობდა, ჩვენი ჩამოსვლით ჩაეყარა მას საფუძველი. დასახლებაზე დავათვალიერეთ, შევამოწმეთ, შეიძლება თუ არა აქ ცხოვრება. შეიძლება, სარწყავი წყლის გამოყვანა, მოგვეწონა და ჩამოვედით. ჭერჭერობით შედეგები დადებითია, პერსპექტივა კარგი, არა ვართ უქმაუფილო...

— ადგილი კარგია, სამოვარი კარგი. ჩვენებური საქონელი ადგილობრივს არ ჩამოუვარდება უკვე.

— რამ განაპირობა თქვენი აქ ჩამოსახლება?

— არ გვყოფნიდა ხულოში მიწები, ცალკე ოჯახებად გაყოფა გვიჭირდა, აქ კი... დაუსახლებელი ადგილები, შეხედეთ, რამდენია... თუმცა არც ეს ყოფილა უმთავრესი მიზეზი, სხვაგანაც შეიძლება დასახლებულიყავით, მაგრამ გამოვეჩმაურეთ პარტი-ისა და მთავრობის მოწოდებას ასპინძის რაიონის განაშენიანებისა და ნასოფლარების აღ-დგენის თაობაზე. ამ მიზნით გადავწყვიტეთ მასობრივად ჩამოსახლებულიყავით. ას-პინძის კოლმეურნეობას შევეუერთდით, ახალი სოფელი დავაარსეთ და ვცხოვრობთ... ჩვენი სოფელი ინახულა ამხანაგმა ელდუარდ შევარდნაძემ, სახელიც მან გამოუძენა და პირველი საძირკვლის ქვაც მან ჩადო.

— რა კეთდება თქვენი სოფლის განაშენიანებისათვის? — უორა შევამე სოფელ ივერიის მშენებელთა ბრიგადის ხელმძღვანელია და ამ კითხვით მას მივმართე.

— ამჟამად შენდება საშუალო სკოლა, გაგყავს სასმელი წყლის შიდა ქსელი. სარწყავი წყალი ამოყვანილია, სამედიცინო პუნქტი გახსნილია, მაღაზია გვაქვს.

— აჭარიდან ხომ არ დაგვიწყეს?

— პირიქით, გვებმარებიან. გამოგვიგზავნეს წყლის ბაქები, სამ კომლზე თითო, ექვსი კილომეტრის სიგრძის მილები და ახლა ყველა ეზოში სასმელი წყალია. გვინახუ-ლეს კიდეც, აჭარის მთავრობა ჩამოვიდა აქა. მაღლობელი ვართ, შევეცდებით არ შევარცხვინოთ.

იმ დღეს მეორედ მოვიხილა ივერიელებთან სტუმრობა, ამჯერად აჭარის მწერლებ-თან ერთად.

მასპინძელთაგან სასურველ სტუმრებს ყველაზე უბუცესი ივერიელი, 88 წლის მემედ ჩოგაძე მიესალმა, პოეტები თავისი შვილის, — სოსო ჩოგაძის, სახლში მიიწვია და ბედნიერი ღიმილით თქვა, რომ ამ სახლის საძირკველში პირველი ქვა ამხანაგმა ელდუარდ შევარდნაძემ ჩადო.

სტუმრებმა ყველაზე პატარა ივერიელიც ინახულეს — ივერი იაკობაძე. იგი ამ სოფლის ტოლაა და მასთან ერთად დგამს პირველ ნაბიჯებს.

...ერთმანეთს ცვლიდნენ ფრიდონ ხალვაში, ჯემალ ქათამაძე, მამია ვარშანიძე, შო-თა როყვა, ზურაბ გორგილაძე, შოთა ზოიძე და დავით თედორაძე.

დაიდგარა რუსთაველის სამშობლოში ქართული ლექსის ეზი და სურნელი.

იმ დღეს ვარძიაში, ძველი ციხე-ქალაქის გვერდით, კიდევ ერთხელ ითქვა ძველ-ქართული მხარის აღორძინების საგლობელი, სადიდებელი მენსეთის აღმაშენებლებისა. ამ კუთხის მკვლევარი, არქეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გივი გაფრინ-დაშვილიც აქ გავიცანით.

მესხეთის აღორძინებაზე, რომ ჩამოვუგდეთ საუბარი, გვითმარა:

— მტკვრის ამ ხეობაში უამრავი ნასოფლარია და სასიხარულოა, რომ აქ ისევ ეფუძვნებიან. ესაა უდიდესი მოვლენა ამ კუთხისათვის, რადგან აღორძინდება ნასოფ-ლარები, აღორძინდება ცხოვრება და სიცოცხლე ისევ დამკვიდრდება ძველ ნასახლა-რებში. თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალი ფენა ჩნდება მომავალი საუკუნეების კვლევა-ძიებისათვის.

სწორად ბრძანა პატივცემულმა გვიმ. სიცოცხლე ისევ მკვიდრდება მესხეთის ნა-სოფლარებში, რუსთაველის სამშობლოში, ახლებურად იწერება მისი მათიანი...

წიგნიდან „სიზგარეული მესხეთი ჩემი“

გუგუნებან ჩემი მთავი...

ვაშა, ძმაო, ხულოლო, შენ მესხეთს რომ დავსახლე,
აჭარიდან მოველ სტუმრად, შენი ეზო-კარი ვნახე,
იცი, განა, რა მახარებს და გულისთქმას რატომ ვამხელ?
აჭარელიც მესხი იყო, ამას ამბობს ისტორია,
ყველა მესხი საყვარელი ჩვენეული თვისტომია,
მომხდურთ ერთად დავხვედრივართ და ძმებს ერთად გვიომია.
რუსთაველი, მგოსანთ მეფე, ჩემიც არის, შენიც არის,
თაყვანს ვცემდი, ღვთიურ თაყვანს, როცა თავი შევიცანი,
რუსთაველი, მგოსანთ მეფე, ჩემიც არის, შენიც არის.
ჩვენი იყო ოპიზართა მოკაშკაშე ჩუქურთმები,
დიდი ტბელი — ჩვენი პირმშო, ნათლად მქცევი უკუნ მთების,
ომი იყო — ჩვენ მესხები ომში ერთად ვგუგუნებდით.
გვიხაროდა, რომ აჭარლებს მესხი გვერქვა, ძმები გვერქვა.
მოსკდებოდნენ ხმალ-კაპარჭით, მოგვეშველე, ერთი გვეთქვა,
ო, რამდენი საუკუნე ჩვენი გული ერთად ფეთქავს!
ჩვენი გული ერთია და მარადისად გაუბზარი,
წამლად უნდა? — საკუთარ გულს მესხს საჩუქრად გავუგზავნი,
ერთი არის ჩვენი კერა, ჩვენი ცეცხლი, მუგუზალი.
ჰოდა, ახლა გიჭირს, მესხო? ველარ გასწვდი შენს კიდე-განს?
ცარიელს რომ ვხედავ სოფლებს, გულზე ცეცხლი მეკიდება.
საყვარელი მესხეთისკენ რაღაც ძალა მეკიდება.
მოვალთ და მანდ დავსახლდებით — ზარზმაში თუ ოშორაში,
გავამრავლებთ გოგონებს და ბიჭებს ოქროს ქოჩორაშლილს,
მოვალთ და ჩვენ დავსახლდებით ზარზმაში თუ ოშორაში.
გუგუნებენ ჩვენი მთები, ახმაურდა გზა მესხეთის,
ჩემი ლექსი, ჩემი გულიც იმ მშობლიურ გუგუნს ერთვის,
სულ აქ მალე დაბრძანდება სილამაზის ჩემი ღმერთი.

ჭერი დაშილოცა!

ვარძიაში მოვედი და ხელს მხვევს ვარდი, ხელს მხვევს ია,
მარგალიტის მპოენელი ვარ, რომ ვნატრობდი, ის ზევია,
არ გეგონო უცხო ვინმე, ჩემო ტურფავ, მე მესხი ვარ!

ვინ შეარქვა მას მესხეთი, ვინ დასახლდა აქ პირველად?
 ასე რატომ გამიღიმა, ნეტავ, ეს ცა რას მპირდება?
 აწ გზა ვერას ჩაგვიხერგონ იმ ბოროტმა ვამპირებმა.
 აქ ესახლა წინაპარი, სადაც ჰყრია ნანგრევები?
 სწორედ მეც აქ დავსახლდები, მსურვალედ და აგრე ნებით,
 მე აქ ლურჯაც მეყოლება ამ მინდორში ნაგელვები.
 შაპატიე, წინაპარო, ბუხარი რომ გაგიცივე,
 ახლა მოველ, აქ ვსახლდები, ანგელოზო გამიცინე,
 ღმერთო, ჭერი დამილოცე, ღმერთო, ჭირი ამიცილე.



ჩემი წინაპარით ფესვმაგარი კაცი ვარ,
 შწვანე ხე ვარ, არასდროს ფოთლები არ დამცვივა,
 მე გული მაქვს უცვლელი, მე გული მაქვს ქართული,
 ჩემი სულის ტაძარი არ იქნება დანთქმული.
 არა, არ ვარ უვიცი, ვიცი ყოვლი ფარული,
 ვიცოცხლებ თუ მოგკედები, მხოლოდ ამ სიყვარულით.
 შავშელი ვარ, კლარჯი ვარ, ძველისძველი მესხი ვარ,
 უნდა გული ვიჯერო შენზე ხოტბის შესხმითა.
 ა, ეს ჩემი მამული განა აქვე თავდება?!
 ჩემი სული ქართული შორს, შორს მითავთავდება.
 ვეტრფი კახეთს, გურიას, სამეგრელოს, ჩემს მესხეთს,
 აი, მტკვარში, ჩვენს მტკვარში ვაფათურებ მე ხელებს,
 იქ ჩემს ამბავს უამბობს ჩემს საყვარელ მესხელებს,
 აბა, ჰკითხეთ რა ჰქვია ჩემს მთებსა და ჩემს ხევებს,
 მის დიდ სახელს მივეტრფი, მის დიდ სახელს ვიჩემებ,
 სიყვარულს და ოცნებას ვერვინ ვერ შემიჩერებს,
 ახლოს მოდი, ჭირიძე, მე ჩემს თეთრ გულს გიჩვენებ,
 სიყვარულს და ოცნებას ვერვინ ვერ შემიჩერებს.
 ერთხელ ჩემმა ბაბუამ ტბეთის ტაძარს მაფიცა,
 ყოვლი ჩვენეული მე სიყვარულით დავიცვა,
 გული რომ ამიდუღდა, მერე აღარ დამიცხრა,
 ყოვლი ჩვენეული მე სიყვარულით დავიცვა.
 აი, ეს მზე შენც გათბობს, ეს ცა შენაც გახურავს,
 შენი მთების სურნელი მომიტანა ზაფხულმა.
 შო, გული გულს მივაღოთ, მე შენს ნახვას ვნატრულობ,
 მე შენს ნახვას ვნატრულობ, დო, ღვთის დახატულო,
 ჩემო ღებო და ძმებო,
 მე თქვენს ნახვას ვნატრულობ.

დავყოვნე და მგონია მეძღურის,
ჩემი თმოგვი შორიდანვე ვიცანი,
მესხეთია ჩემი მამულ-დედული,
მესხეთია ჩემი დასაფიცარი.

ციხის თავზე ფირუშები კამკამებს,
თამარ მეფის თვალთა ანარეკლია,
არსად წაეღ, აქ დაერჩები ამ ღამეს,
განმაშორე, ღმერთო, წუთებს ეკლიან.
შოთა რუსთველს ოქროს დავესესხები,
რომ სტრიქონი ვარაყებით მოფეგრო,
გამარჯობა, ჩემო ძმებო მესხებო,
გამარჯობა, შენ ახალო სოფელო!
ვერ წაუშველ ავ ზმანებას, არ იქნა,
უცებ ზავით ჩამიქროლეს ქარებმა,
ჰე, მესხებო, ჩქარა ხელი ხმალს იკართ,
ფაშა ჯარით აქეთ მოეჩქარება.
ურდულებით ვარძიის კარს ჩავკეტავთ,
ბასიანში მივუხტებით არჯალებს,
ვაჩქრიალებთ მომხდურთა სისხლს ჩან-

ჩქრებად,

დამიწყნარდი, დედი, შენ რა გაჯავრებს!
აქა ვარ და მეზმანება კრწანისიც,
ძმას რომ დაჰკრეს, მე ათასჯერ მეტკინა,
და მგონია მე კოცონზე დავიწვი,
და მე, მესხი ლამაზები მეტრფიან.
მეტრფიან და თან მიხვევენ იარებს,
მათი ხელი თაფლზე უტკბილესია.
შენ, ურჯულოვ, ცხრა მთა გადაიარე,
რისთვის ანთხევ აქ სამსაღას გესლიანს?!

ღავივიწყოთ წამიერად ყოველი,
ახალ მესხეთს, მოდიოთ, მივეტრფიალოთ,
და პოეტი მე აქ მიტომ მოვედი,
რომ მოვიხმო, ხმავე, ველურო, ტიალო.
მოგიხმო და თან ამოგლო ავშარა,
ჩემს ნებაზე წარამართა გაბრუნო,
შენ მესხეთო, ათასჯერაც ვაშა და
ცამდე ზღაპრულ ცისარტყელად გაბმული.

სიყვარულით ჩემს მტკვარს მინდა შევხედო,
სიტყვის ელვას ნისლი გაგაკვეთინო,
გამარჯობა, აჭარელო მესხებო,
გამარჯობა, ყველა ჩემო კეთილო!

აი, ეს არის მისი საკანე...

ო, როგორ მიყვარს ჩემი მესხეთი,
მინდა მოვიდე სტუმრად მალ-მალე.
აი, აქ იყო შოთა რუსთველი,
აი, ეს არის მისი საკანე,
ვიცით, აკვანი აქ ურწევიათ,
მაგრამ სად არის მისი სამარე?
ო, წლებო, წლებო, და გრიგალებო,
ღვთის ტოლა კაცი სად გადამალეთ?!
უყვარდა მგოსანს მეფე თამარი,
აზ, გული მისი ტანჯვამ დათელა,
არ მისცა ბედი შუქმომფინარი
და ღმერთმა მისთვის არ გაათენა.
ვაჰ, მიჯნურობა ძნელი ყოფილა
და არ ეგების აღმოსათქმელად,
ის ნაპერწკალი მეგონა, ღამით
ვზა რომ გააპო ციციანთელამ.
მინდა აქ დავრჩე მე მარადისად,
მარადიული ზარი აქ რეკავს,
ცოტა მოიცა და დალოცვილი
ეს მიწა ზურმუხტ-ლალებს არეკლავს,
ამღერებული საღამურითა
მეცხვარე მთისკენ ფარას გარეკავს.
ცოტა აცალეთ, ჩემი მესხეთი
აღორძინების ზარებს დარეკავს.



როგორ არა ვთქვა შენი ქებანი,
ვივლა ძაბილით კარიდან კარად,
ჩემო მესხეთო, შენ გენაცვალე,
ჩემო მესხეთო იდიდე მარად.
დაგიღამდება? — ნუ გეშინია,
მე ავენთები, მე შენთვის კვარად,

გინდა, მებრძოლად ვზად ჩაგიდგები
და სადმე გავშლი მებრძოლის კარავს.
თამარის ქოშის კვალი აჩნია
ზერთვისის ვზებს თუ თმოგვს და ვარძიას,
ვადამიქროლა მისმა აჩრდილმა,
მის ფერხთა კოცნად სულმა წამძლია,
სადაც არ ვიყო, აქეთ მოვილტვი,
ვერ ვადამღალოს გრძელმა მანძილმა,
როგორ იქნება არ ვეამბორო
ზარზმას, ზერთვისს თუ თმოგვს და ვარძიას?
ა, ის სოფელი არის რუსთავი,
და მე დავეძებ ჩარდახს რუსთველის,
თავზე მაცვივა ია-ვარდებად
მისი ლექსების მე ჩუქურთმები,
და მეც ვშაირობ აღტკინებული,
ან როგორ წავალ ლექსის უთქმელი,
მე აქ ყოველი მისი მგონია,
ვეაღერსები, ვესათუთები.
იქ კიდევ ჩემი ბასიანია,
დგას ზმალ-კაპარჭით დავით სოსლანი,
გულის ფანცქალით რომ ელოდება
ვარძიის კართან გვირგვინოსანი,
იქნებ იქ იყო ზმაშემართული
დიდი მესხი და დიდი მგოსანი,
რომლის კვალს ვეძებ ცხადად და სიზმრად
ტარიელ, ვეფხის მე ტყაოსანი.
თავი სიზმარში მგონია პოეტს,
კამკამა ლაჟვარდს ზელით ვეხები,
ჩემი სავანე თითქოს აქ ვპოვე,
ჩემს სატრფიალო ლანდებს ვეხვევი,
არსად არ წავალ, მე აქ მოგვკვდები,
თავზე დამატყდეს თუნდაც მეხები,
ეს მხარე ჩემი სატრფიალოა,
მიყვარს მესხეთი, მიყვარს მესხები!
რა ვქნა, არა მაქვს რუსთველის ძალა,
რომ აღმატებით დაგლოცო მიწვივ,
მე შენ გიწოდებ მიჯნურთა ტაძარს,
მეც მიჯნურივით ვღელავ და ვიწვი,

მე აქ დავიდგამ ოცნების კარავს,
მე ვიტყვი ჩემსას, სხვა კიდევ მის წილს,
იდიდე, შოთას მხარეც ნატრულო,
ჭირიმე შენი მაღლიან მიწის.



აგერ რომ მოჰქრის ჩემი მტკვარია,
ფერდობზე ფარა შეუფენიათ,
მივდივარ მისკენ, მიმიხარია,
სოფლისთვის მტკვარი შეურქმევიათ.
ნუ დააფედრი შენს მამულ-დედულს,
თუკი მოუვლი, მოგივლის ისიც...
ო, როგორ მინდა, რომ მოვეფერო,
აი, აგერ რომ ჩამოჰქრის ნისლი.
მიწასაც ვკოცნი, და ვკოცნი ლოდსაც,
ჩემი მესხეთის ყოვლის მეტრფე ვარ,
რამდენი რამე აქ მომაგონდა
და სევდა გულში აღარ შეტევა.
თან მიხარია, რომ აქ სიცოცხლეს
ფრთა გაუშლია ცად საფრენად,
მიწაო, შენი მეტრფე მიწოდე.
მე ლექსებს შენზე გავშლი აფრებად.
მე შენ გადიდებ, გეტრფიალები,
ჩემო მესხეთო, სიბრძნით მოცულო,
დე, აშრიალდნენ შენი ჭალები,
მე ხელაპყრობით შენზე ვლოცულობ!

ქორწილი

აჭარელი ჭაბუკი მხარმოხული,
რა იცოდნენ, რომ ჰყვარობდა ასპინძელს,
ახლა ორივე მკვიდრი არის მესხეთის
და ორივეს მე ვეძახი მასპინძელს.
ვაჟს რომ გული აუფეთქდა მხურვალედ
და ფარული ტრფილით რომ იწვოდა,
გაუმჟღავნა განა გოგოს უმაღვე,
ვაჟის ტრფობა განა გოგომ იცოდა?

ვაჟის გული ძვერდა ისე ძალუმად,
თითქოს ასულს გუჰმანითო ესმოდა,
ბოლოს ბიჭმა, რიდიანმა, კრძალულმა
ლამაზ ასულს ქამანდაო ესროლა.
მხრები ნაზად შეარხაა ლამაზმა,
„კი“ თქვას უმაღ? შერცხვა, მეტად
აწითლდა,

სიტყვა არ თქვა, პირი ისე დარაზა,
არც უარი თქვა ქალმა, ისე გასწია,
იყო ჩუმი ტრფიალი და ჩურჩული,
დაფარულმა ფიქრმა უცებ იქუზა,
გაზმაურდა ხვაშიადი ჩუმჩუმი,
სიყვარულმა არა, არ ჩაიმუხლა.
იყო ბჭობა გონიერ ბრძენკაცების,
იყო ქალთა მითქმა-მოთქმა და რაღაც...
შენ ტრფილო გულო განა დაცხრები,
სიყვარულო, დამარცხდები განაღა!
აი, ახლა ქორწილია ამ ორთა,
სიძვე სად ხარ, კარს მოგადგა მაყარი!
მეც აქა ვარ, მეც სიხარულს ამოვთქვამ,
მოანათებს გოგოს თვალი მაყვალნი.
აჭარელმა მეჭიბონემ ჭიბონი
სიყვარულის ჰანგზე აახმიანა,
ის ჭაბუკი მე მეგონა მიჰინო,
მიუტეკვა ისე ომაზიანად.
დაუკარიო, შემოსძახეთ მაყრული!
აქ ჩონგურის ოთხი სიმიც ძვერს ხელში.
სიძვე, გშვენის რხევა შენ ამაყური,
მოვილხინოთ, ქორწილია მესხეთში!



რეპრეზენტაციული მემორიალი

სუფრას უზმოდ მივუჭექი.

— შენ რატომ არ ჰამ? — ვკითხე.

— მე ვჰამე უკვე.

— უბეში ჩაკუჭულმა წერილმა ჰამის მაღაც გადაგიგდო? რას გწერს ასეთს?

— არაფერს. — დაიბნა დედაჩემი, — კვესია როგორააო.

— კიდე?

— როგორ სწავლობს?

— კიდე?

— კომკავშირში თუ შევიდაო.

— მაგი საკენკი ქათმებს დაუყარე. წერილი მაჩვენე. მე ყველაფერი ვიცი. ბავ-
შვი ალარ ვარ. მაგ წერილს, თუ გინდა მართალი, მე უნდა მწერდეს მამაჩემი და არა
შენ. კიდეც ერთ ნაწილში არიან?

— ჰო, ფრანტუე ჯერ არ გავსუფდართო, იწერება. რაღაც განსაკუთრებულ ნა-
წილში მოგზავდითო... ა, შენ თვითონ ნახე, მარა მამაშენს ნუ მიწერ, რომ შენც კით-
ხულობ მის წერილებს.

— ვიცი, რაც უნდა მივწერო. — ვთქვი მე და წერილი გამოვართვი.

„მთელი ღამეები არ მძინავს. რა დამაძინებს! მაქიმედა ხარივით პრაწავს თვა-
ლებს. ჩემმა თხოვნამ, სხვა ნაწილში გადაყვანის თაობაზე, ამაოდ ჩაიარა. სასაცილოდ
ამიღო მეთაურმა, რა დროს ოქაბურ ჩხირკედელაობაზე წუწუნია, ქვეყანა თავზე
გვენგრევო. შეასვენ ამას მაქიმედა გათახიარებულს? წარმოდგენა არ მაქვს, რა უნდა
ამ კაცს ჩემვან. ის ერთი მუტა მიწა, თავისად რომ თვლის, აქ მაქვს, ჯიბეში და არ
ვაძლევ თუ?“

თავი ავწიე.

— ხომ თქვა მაქიმედამ, ომში წასვლის წინ, ალარ გედავებით იმ მიწასო? ხომ
მიხვდა ბოლოს, რომ ის მიწა კოლექტივმა ჩამოაჭრა და არა ჩვენ?

— კი მარა, იქ ხელახლა დაუწყია იმ ღმერთგამწყარალს. — ამოიხსრა დედაჩემმა.

წერილის კითხვა განვაგრძე:

„ნამდვილი გიჟია. უფროსი მაგან არ იცის. უმცროსი, წყობილება და მეცადინე-
ობა. ასე ვინ დაანებებს. ყოველდღე ახალ-ახალ სასჯელს იღებს. „ფეთიანა“ დაარქვეს
ბიჭებმა. ერთ დღეს მეთაურისათვის შემოეკრა სახეში. ასე არ უნდაო და, მთელი ოცე-
ული დასეოდა. იცოცხლე, გემოზე დაეწებათ. თუ გადარჩებოდა, კაციშვილს არ ეგო-
ნა, მარა რა მოკლავს ეშმაკს? ვიფიქრე, ხირცხვილია-მეთქი და ვნახე. მიშველე რა-
მეო, მითხრა. მე ეუთხარი, რა გიშველო-მეთქი. ომში გინდოდა წამოსვლა და ომია
ეს-მეთქი. რა ვიცოდიო, მარა რომ ვნახე, ამ ომს, ვიცი, ჯერ დამთავრების პირი არ
უჩანსო. ახლა ამაზეც გადაშეკიდა, რატომ არ მშველიო. მოკლედ, დიდი ახირებული
კაცია. მე რა უნდა ვუშველო?“

ბიჭი რას შვრება? გაუფრთხილდი. კომკავშირში თუ მიიღეს? ფაქიზად მოეპყარა მეტი არაფერი გაგვანინა.

არ მეგონა, ასე დიდი თუ იყო ჩვენი ქვეყანა.

ძნელთა ამ უზარმაზარი ქვეყნის დამარცხება. მაქიმედას კოვზი უფარდება ნაცარ-ში და იმიტომაც, ასე რომ იღრინება.

როგორც სხვები ამბობენ, თურმე, ყურძნის მოსავალს კარგი პირი არ უჩანს არც გუბიაში და არც იმერეთში. მხოლოდ ლეღვი ყოფილა ბევრი, ქალების სიყვარული და სიხარული. შენ კი, საერთოდ, მოსავალზე არაფერს იწერები.

ხშირად მომწერე წერილი. უთხარი, ბიჭმაც მოიწეროს ერთი განაწერა“.

წერილი დავკმეც, გულის ჭიბეში ჩავიდე, აუღეკი და გარეთ გამოვედი.

— სად მიხვალ, შეილო, კვესია? — შეშინდა დედაჩემი, გარეთ გამომდია.

— არსად არ მივდივარ, რა იყო?

— არაფერი.

— თუ არაფერი, მაშინ დაქექი სახლში და საჭმელი ქამე. ახლა მაინც აღარ შე-გაწუხებს უბეში ჩაუჭული წერილი.

— ნუ მომკლავთ, ბიჭო, მთლად, — შემეხვეწა დედაჩემი, — აღამიანები არ ხარ? აღამიანის სისხლი არ გაქვთ? რა მესაჭმელება, ბიჭო, დანა პირს არ მიღებს, რა ეშ-ველება ახლა იმ უბედურს? ასე მოუშორებელი ჭირი და ისიც შენი ყურისძირის მე-ზობელი, გინახავს? თქვი, ბიჭო, კვესია, რამე!

— რა ვთქვა. მაგათი ასე სამკდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდება მართლ იმ მიწის ბრალი არაა, დამნაშავეა რაღაცაში მამაჩემი. დიდი ყოფილა ჩვენი ქვეყანა და ძნე-ლია მისი დამარცხებო, რომ იწერება, აქა რაღაც საიდუმლო, აქ მარხია, ამ სიტ-ყევებში, ძაღლის თავი.

— გადამრიო გინდა, ნენა, კვესია, შემშალო გინდა მთლად? მაგი ერთი კაცი უპი-რებლა აშხელა ქვეყანას, ვითომ, შებრძოლებას?

— სწორედ მაგაშია საქმე, მართლ რომ არ გონია თავი.

რცხილის ძირში გრძელ სკამზე ჩამოვჯექი. ნიაფი ჩატარებული სიმინდის ხმელ ფოთლებს აშრიალებდა. თეთრი ლეღვის ტოტებზე, ჭის გვერდით რომ იდგა, პატარა ჩიტები ფრთხილდებოდნენ. სული მქონდა იმ ლეღვში, ჩიტები რომ ესეოდნენ, მაგრამ ახლა ხეზე გავსდის თავი სად იყო.

— ჩაიში მივალ, ნენა, ახლა ზე. — მითხრა დედაჩემმა ცოტა ხნის შემდეგ.

— წადი მერე! გითხარი არ წახვიდე-მეთქი, თუ? — ფუპასუხე და ირიბად გავ-ხედე. კალათი ეჭირა ხელში დედაჩემს, თავზე უშველებელი ქილის ქუდი ეხურა. და-წინწყლული ლურჯი ჩითვის კაბა ეცვა. კაბის ბოლო კოჭებამდე წვდებოდა და უფრო მაღალს აჩენდა. მხოლოდ ახლა დავინახე, რომ თმებში ქალარა მომრავლებოდა, სა-ხეზე ნაოჭები მომატებოდა. შემეცოდა. ის იყო ახლა ქალიც და კაციც. ის უფროდა ვენახს, ის კრეფდა ჩაის, ის აპობდა შეშას, ის აუფრენდა ქათამს. მე რა ვიყავი; ამო-დენა მუტრუპი მისთვის? მხოლოდ მუქთამქამელი და მეტი არაფერი. გულქვა, ცივი და უპარება შეილი, ოჯახისათვის ერთი წუთითაც რომ არ ეცალა, თავისი მშობელი დედისთვის, თავის დღეში რომ ერთი თბილი სიტყვა არ დასცდენია.

იმის ნაცვლად, რომ ჩაიში წასულიყო, იქვე, ჭის ახლოს, არყის გამოსახდელ კე-რიის ქვაზე ჩამოჯდა, იდაყვით კალათის სახელურს დაეყრდნო, ზედ თავი ჩამოღო და ჩუმად აქვითინდა. გული დამეწვა. ყელში რაღაც მოსწებინა და ცხვირში რაღაც მწა-რე ვიგრძენი. არ ვიცოდი, რა-მექნა, მივსულიყავი, ბოდიში მომეხადა იმ როყო სიტყვებისათვის, წელან რომ წამოვყარანტლე, თუ ავმდგარიყავი, გადავსულიყავი ეზოდან და შინ საერთოდ აღარ დავბრუნებულისყავი?

არ მახსოვს, როდის ავდექი, როდის მივედი, როდის მოვეფერე, ან რა ვუთხარი ისეთი, რომ დედაჩემს მთლად ავუჩუყე გული.

— არა, მაინც შითხარი, ვიყავი კი ოდესმე ბავშვი? თუ მუდამ ასეთი ავყა და მიუკარებელი ვიყავი?

— შვილი მუდამ საყვარელია დედისათვის, შვილო, მაგრამ შენ ყველაზე კარგი და ტკბილი მახსოვხარ ექვსი წლის რომ იყავი. ერთხელ, თვითმფრინავმა გადაიარა. შენ მაშინვე აედევნე, შინდორ-შინდორ გაზნოდი, თვალს არ აშორებდი თვითმფრინავს და ხელებაწეული შესძახოდი: ჰაეროპლანო, წერაილები ჩამომიგდე, ჰაეროპლანო, წერი-ლები, ჩემ დედიკოს უნდა მივუტანო და გავახარო. მეტი თბილი სიტყვა მე შენგან არ მახსოვს, შვილო... რა დაგიშავე, რაში მდებ ბრალს? მე ჩემი გაჭირვებაც მეყოფა. ისედაც ჭკუაზე არ ვარ ქალი... შენი იმედო მაქვს, შვილო, შენზე ამომდის მზე და მთვარე. მეტი ვინ მყავს? ყანის თონას გავალბებ? არ გავალბებ. ჩაის კრეფაში მომეხ-მარე-მეთქი, გეუბნები? არ გეუბნები. შეშას გაპობინებ? არ გაპობინებ. ვენახში ჩადი, კაცი ხარ აწი შენ და კაცის ხელი ლოუხდება ვენახს-მეთქი, გითხარი ოდესმე? არ მით-ქვამს. ამასვე აწერება მამაშენი, ფაქიზად მოეპყარიო და მეც, რაც შემიძლია, წილე-ზე ფეხს ვიდგამ, რამეზე გული არ დავწყვიტო-მეთქი ბაღანას.

დედაჩემი ისევ არყის გამოსახდელ შავალ გამურულ კერაზე იჯდა. მე მის გვერ-დით ვიდექი, მისი ტილის უშველებელი ქუდი ხელში მეჭირა და ცალი ხელი მის ქა-ღარაგარეულ თავზე მედო.

— დედა!

— რა იყო შვილო?

— არაფერი, დედა... დედა!

— ზო, შვილო.

— შენ მუდამ იმას მასწავლი, ვიყო პატიოსანი, წესიერი, თავაზიანი, მიუყარდეს ყველა. ხომ მასწავლი, დედა?

— კი გასწავლი, შვილო.

— სხვა დედებიც ასე ასწავლიან თავიანთ შვილებს?

— აბა რა, შვილო. ყველა დედას უნდა თავისი შვილი იყოს პატიოსანი, წესიერი, თავაზიანი, უყვარდეს ყველა.

— მერე, მე რატომ არ ვუყვარვარ ყველას?

— ვითომ არ უყვარხარ ყველას? ხომ არ გეჩვენება?

— არა.

— ერთ-ორ ადამიანს თუ გულზე არ ეხატები, მაგი არაფერია, შვილო. უმტერო კაცი არც ვარგა.

— ის კაცი თუ ვარგა, რომელიც თვითონ ეძებს მტრებს?

დედაჩემმა თავი ასწია და შეშფოთებით შემომხედა.

— შენ ეძებ მტრებს?

— კი, ვეძებ!

— ვაი, რომ ჭერ ჩვენს ქვეყანაში მტრები საძებნელი არაა, მტერი რომ არ გვეყვდეს, არც ეს ომი იქნებოდა, კვსია. ცოტა რომ იყოს და თითზე ჩამოსათვლიელი. რა გვიჭირს მაშინ. მარა რატომღაც არ მჭერა შენი სიტყვები.

— მართალი კაცი არავის არ უყვარს, დედა. ნებით თუ უნებლიეთ, სწორედ მართალი კაცია, რომ ეძებს მტრებს.

— გულს ნუ გაიტებს, ნენა. ხომ იცი, განაწყენებული კაცისათვის მზეც უშნოა და უსხო. სიმაართლე მხოლოდ გლახებს წყინო. მამაშენს უყურებ?

— სწორედ ზამჩემია მართალი კაცი. ის რომ სიმაართლეს ამბობს, მე მწყინს, მე რომ სიმაართლეს ვამბობ, იმას წყინს და ამიტომ არ გვიყვარს ერთმანეთი.

— არ გეყვართ ერთმანეთი? ვაიშე, ღმერთო მომკალი! ავი რა გევიგონე! კი მა-
რა, მამაშენი რა მართალი კაცია, შვილო, მტრად გადაიკიდა მთელი ქვეყანა.

— ჰოდა, მაგაშია საქმე. წინათ მშრომელ კაცს განზე უდევია, ხომ? კაი, ბატონო,
გაპატიეს ის შენი წარსული. დღეს მობრუნდი ჩვენსკენ, ბევრს არაფერს არ გთხოვთ,
იშრომე და ლუავი ჩვენთან, სწავან ნუ გაგირბის თვალიო. არ შვრება.

— ჩვენთანაა, აბა, სადაა, ბიჭო? ახლანდელზე თუ აწამო, ახლა ომშია, და რის-
თვისაა, აბა, ომში?

— ის ომში შენთვის და ჩემთვისაა, აგერ ამ ჭის, ამ ოდის, ამ ხის, ამ მიწისათ-
ვისაა ომში. ჰოდა, სწორედ ამის მეშინია.

— რაა მაგაში ცუდი, რიბი გეშინია?

— იცი, რისი მეშინია? ისეთი კაცი, რომელსაც ჰგონია, რომ ხე, მისი სამშობ-
ლოს გარდა, არსად სარბობს, ასეთი მაღალი მთები და ლამაზი მინდვრები მისი ქვეყნის
გარდა, არც ერთ ქვეყანაში არაა, მერე ადგება და ნახავს, რომ ხე, მთა, მინდორი და,
მდინარე ყველა ქვეყანაშია, ყველა ქვეყანაში ანათებს მზე და მთვარე, ყველა ქვეყა-
ნას აქვს თავისებური სილაქნე, ასეთი კაცი შინ რომ აღარ დაბრუნდეს, სულაც არაა
გახსებური.

— კაცმა იმას თუ უყურა, რომელი უკეთესიაო, მკობნის მკობნი ამ ქვეყანაზე
არასდროს დაიღვეა.

— ჰოდა, რა ვთქვა მე ხვალ კომკავშირის კრებაზე, არ ვარ მამაჩემის შვილი-მეთქი?

— არ დაადგა შენს კომკავშირში შიღებას საშველი? მაინცდამაინც მამას რომ უყუ-
რებენ, დედას შენდრონ, ბატონო. მე არ ვიყავი ბოლშევიკების წერილებს ჩუმჩუმად
რომ ვარიგებდი ხალხში?

— მაგი ვის ახსოვს?

— არ ახსოვთ და გავახსენებ, თუ ვყოფილვარ კეკელიძის ქალი! ის ნიკიფორეა
თუ რაცხა ფიჭო, ბოლშევიკების დროს ბოლშევიკი იყო, მენშევიკების დროს მენშე-
ვიკი და მერე ისევ ბოლშევიკების დროს ისევ ბოლშევიკი, იმასაც გავახსენებ. ის უნდა
იყოს საბჭოს თავმჯდომარე და მისი შვილი ჩემ შვილს კომკავშირში არ იღებდეს?
ამისთანა სიმართლისთვის ვიბრძოდი მე?

— არც კი ვიცოდი, ამისთანა დედა თუ მყავდი! — წამოვიძახე მე და გახარებულ-
მა ხელში ავიტაცე დეაჩემი.

— დამსვი ძირს! როდისაა კრება, ხვალ?

— ხვალ.

— რომელ საათზე?

— არა, დედა, შენი წამოსვლა საჭირო არაა.

— რას ქვია, საჭირო არაა, რომ არ ვყვირი სხვებივით, იმიტომ თუ? მოწმეები
თუა ამისთვის საჭირო, მოწმეებიც ქვეყნის მყავს. მაშინ ისე იყო საჭირო, პროკლამა-
ციები იყო დასარიგებელი და ვარიგებდი. ახლა ჩაი კრიფეო და ვკრფ. რაც შემიძ-
ლია, იმას ვაკეთებ.

ორიოდე წუთის შემდეგ ჩაიში დეაჩემის გვერდით ვიდექი და მეც ვკრფდი.

— დედა.

— რა იყო შვილო?

— არაფერი, დედა... დედა!

— ჰო, შვილო!

— დღეს ისეთი განარბებული ვარ, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე რომ არ
ვყოფილვარ.

— ჯერ რა იცხოვრე, ბიჭო?

— არაფერი, მაგრამ გახსოვს, რა სულელი ვიყავი? შენ რომ შარშანწინ ლობიოს

თესავდი ყანაში და იძახდი: ერთი ასად, ერთი ასადო, მე ჩემთვის ჩუმად ვჭურჭურჭულობდი: ასი ერთად, ასი ერთად-მეთქი, რაშხელა სულელი ვიყავი, არა?

— გავა დრო, შვილო, კვესია, მოიხედავ უკან და განვილილ გზაზე ასჯერ უფრო მეტ სისულელეს დაინახავ, როშელიც, თურმე, შენს უნებურად ჩაგიდენია. ეს ყველას თავს ასეა

— ჰოდა, მართლაც, მერე რა, აშოსულიყო ის ღოზიო ერთი ასად, მე თუ არ შევევარა მისი ჭამა, სხვას ხომ უყვარდა? თუშცა, დედა, ის ღოზიო ხომ მაინც ერთი ასად ამოვიდა და რაღა გვადარდებს!

— ღოზიო არაფერია, შვილო, ცხოვრებაში გაცილებით უფრო უკეთესი უნდა დათესო.

ამ დროს კვლავ იმ უცნაური თვითმფრინავების ზღუზუნი გაისმა. ამ ბოლოს, ათი-ქმის ყოველ მეორე დღეს რომ გამოჩნდებოდა ჩვენს ცაზე და ჭაბრივით აწებებული, ერთ ადგილზე გაჩერებულივით გადმოგვცქეროდა ზემოდა.

ჩაიში, დაახლოებით, ორმოცამდე ქალი მაინც მუშაობდა და ყველამ მაღლა აიხელა.

— დაწეით, ქალებო, მაგი გერმანელების თვითმფრინავია! — დაიძახა ვიღაცამ და ორმოცივე ქალი, როგორც ერთი, გაუჩინარდა ჩაის ბუჩქებში. მაგრამ ხანამ თავშესაფარს იპოვიდნენ, იმისთანა წივილ-კივილი ატყდა ყურებში თითხ დაიცობდა კაცი. შვიხედ-მოვიხედე, აღარც დედაჩემი ჩანდა არსად. ამოდენა ჩაის ზღან-ტაციაში შარტო მე ვიდექი იაქესავით. უცებ ადგილიდან მოვწყდი და ნაორდალას-კენ მოვუსხვი.

— ხად გარბიხარ, შვილო, კვესია! დაწეკი, ბიჭო! — დაიკივლა დედაჩემმა. მას სხვა ქალებიც აყუენენ. მაგრამ მე უკვე აღარაფერი მესმოდა თავბრუდამხვევი სისწრაფით ვანტებოდი ჩაის ბუჩქებს, ერთი ნახტომით ვამშრალდებდი უზარმაზარ საწერეტ არხებს, გადარეულივით მივშლივინებდი თხმელის უკერძალში. ხანდახან ცას ავხედავდი წაშით და ჩემდა გასაცრად, თვითმფრინავი-ჭვარი, ცაზე გაჩერებული რომ შეგოხა, ისიც ხაორდალასკენ მიცურავდა თხელ, ქარვისფერ ღრუბლებში.

— მხედავ? თუ ვერ მხედავ, ჰიტლერის ნაშიერო? შენ გეუზნები, შენ! — ვიყვირე მე, როცა ნაორდალას მინდორზე ვიდექი. — მხედავ თუ არა, შე დამალო ფაშისტო? თუ მხედავ, რაღას უცდი? — ხელების ქნევით, სმის ჩახტეჩამდე შეგყვიროდი მე, — თუ მხედავ, რას უცდი, ჩამოაგდე ერთი ცალი ბომბი! ჩამოაგდე, წამლად ჩამოაგდე ერთი ცალი ბომბი! გინდა წამლად ჩამოაგდე, გინდა შავ ტირად, გინდა ტიფად... ოღონდ ესაა, ჩამოაგდე, ჩამოაგდე, მე შენ გელაპარაკები! ჩამოაგდე, მომარტყი და გამსრისე თუ შეგიძლია! გაშრისე, შე მათხოვარო, გამსრისე! გამსრისე!..

უცებ ვიდაცის ხელის მოკიდება ვიგრძენი.

— შენ, ბიჭო, ჰკვიანი ბიჭი მეგონე მე...

უკან მივიხედე. კასიანე იყო, თავართქილაძე. გაეშეშა.

— გამიშვი ხელი! — ვიყვირე და გაქცევა დავაპირე.

— არ გაგიშვებ. — მტაცა ხელი კასიანემ.

— მაინც რატომ არ გამიშვებ?

— იმიტომ არ გაგიშვებ, რომ სულელი ხარ ახლა შენ. სულელს, ბიჭო, მე მეძახიან, მარა მე არ ვებეწეები ღმერთს, მოშკალი-მეთქი და შენ ფაშისტს ებეწეები მოშკალიო? ფაშისტს ხეწენა რად უნდა, ისედაც მთლად რომ გაწყვიტოს აღმაიანის ყოვლის სინსილა დედამიწის ზურგზე, ის უნდა, და შენ ვინ ხარ, ვის დარჩენილ-ხარ? გამოდი აქეთ, ხანამ ავაწრიბე მაგი ზაკუსკის საინებივით ყურები! უფურეთ ერთი, ამ აბღლას?!

— არ ვარ მე აბლაღე, კასიანე ბიძა! — დავწყნარდი ცოტა.

— აბლაღე სარ, აბა, რა ხარ? ის ბომბი რომ დაგეცეს, ბიჭო, გაგსრისავს ჯერ კიდევ ქვესკნელში ჩაგიტანს, იცი შენ?

— ვიცი.

— ჰოდა, რომ იცი და მაინც ეძახი, ჩამოაგდე ბომბიო, იმიტომ ხარ აბლაღიც, სულელიც და შტერიც.

— შენ იცი, რად შინდა, რომ ჩამოაგდოს ის ბომბი?

— რად გინდა, ქოთნად გამოიყენებ, ღობიოს მოხარშავ შეიგ, თუ — ჭურად, და ღვინოს ჩაასხამ შეიგ? არა, როგორ შეიცვალა ღრობა. რას არ მოესწრება კაცი თურ-შე, აგერ გუშინდელივით მახსოვს, ცაზე გადავლილ თვითმფრინავს რომ მისდევდი ყვირილით: აეროპლანო, წერილები ჩამომიგდეო და ახლა ბომბი მოგინდა?

— ის ბომბი, კასიანე ბიძა, მე თუ მომკლავს, ჯანდაბას ჩემი თავი! იქ კი, იქ რომ ჩამოაგდოს, ფროხტზე, ათობით და, შეიძლება, ასობით წითელარმიელი მოკლას. მე შინდოდა, ერთი ბომბით ნაკლები ჰქონოდა იმ ფაშისტს, გესმის?

— რა თქვი, ბიძიკო? შენ ავაშენა ღმერთმა! — გაშეშდა კასიანე თავართქილაძე, დამუწვდა, თვალეზად იქცა. — აგი ზანაირად მოიფიქრე, ა? არა, ა! ახლა მართლა რომ ჩამოაგდოს ბომბი იმ ფაშისტსა, სელს, შენ კი არა, მე შევეშვერ, კვე-სია ბიძა, თავს შევეშვერ, გულს, სხეულს, ყველაფერს, ოღონდ შენ არ დაგეცეს. ოღონდ შენ არ მოგკლას, შენ, აგი ჭკუით დატენილი ყაზილარი და ჩემი თავი! ჯანდაბას! ერთი ყრუ ბერეკაციო ნაკლები იქნება თუ მეტი, მაგას რა მნიშვნელობა აქვს!.. რამხელა თავი გაქვს, ბიჭო! კეკელიძის ქა-ლო, — მიუბრუნდა გულგახეთქილ, სირბილისაგან ყელში სულმოხრჩენილ დედაჩემს, ქვეშელ-ქვეშელით რომ ამოასკდა ნაორდალას შინდორს, — ამ ბაღანას მოუფრთხილდი, თუ ქალი ხარ, თავი არ გაუსკდეს, ტვინია ცარიელი! ახლა კი გადავარჩინე, მარა სულ არ ვეყოლები გვერდში!..

— დარღუა შენი თავი, კასიანე თავართქილაძე, საცხა! კაციშვილი ვერ გაგიგებს, რას ამბობ! — მიაძახა დედაჩემმა, მაჯაში ხელი ჩამავლო და ნაორდალიდან ძალით გადამართია. — ისე, სანამ გინდა ასე რეზუსებით ილაპარაკო?.. წამოდი, ბიჭო, შინ!

კასიანეს უკვე ჩვენთვის აღარ სცალოდა, რაიონიდან მოზავალ კოჭლ ჭიჭიკოს, ისიღორე თოლორდავას ძმას, ჩვენი კოლმეურნეობის ხილ-ბოსტანის გამგეს ლილი-ნით ეგებებოდა:

რამდენი ჩიტი ჭიჭიკოებს.

იმდენი სკინტი ჭიჭიკოს...

— წამოდი, ბიჭო, შინ! — მექაჩებოდა დედაჩემი. მე კასიანეს არ ვაშორებდი თვალს. კასიანეზე აშბობდნენ გიჟია, სულელია, გადარეულია და ახლოს არ მიეკარო-თო, ვაჟინებდნენ ბავშვებს. ჰოდა, დავინახავდი თუ არა სადმე კასიანეს, მიმავალს ან მომავალს, გზის შორიახლო ბუჩქნაშენში ჩავუსაფრდებოდი და მოგვიანდოვდებოდა თუ არა, „ვიიფ, კასიანეო!“ — შევძახებდი. „ვიიფ და, დედიქვენისო!“ მოგვიძახებდა კასიანე, დაწვდებოდა ქვას, გორკს, ბელტს, ჭოხს, სარს... სულ ერთია, რაც ხელში მოხვდებოდა და მოგვაწვდოდა ზურგში.

ეს რომ მახსენდებოდა, უნებურად სიცილს ვერ ვიკავებდი. მაგრამ მეორე მხრივ, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, — კასიანე ახლა სულელად კი არა, ყველაზე ჭკვიან კაცად მომეჩვენა მთელს ხოფელში ამ უპაცობის დროს.

— წამოდი, ბიჭო, შინ, რომ გეუბნები, — მექაჩებოდა დედაჩემი, — რომ მო-გიღრეცია კისერი, კასიანე შტერს უყურებ? მაგის ჭკუაზე დადვა, რაც ქვეყანაზე ფაშისტია!

— ლოცავ ახლა შენ ფაშისტებს თუ წყევლი? — ვკითხე უცებ.

— ვწყევლი, აბა კაის ვშვებები? — მიბასუსა დედაჩემმა.

— ლოცავ შენ ახლა ფაშისტებს.

— ვლოცავ? — ეწყინა დედაჩემს, შეჩერდა, მაჯაში ჩაფრენილი ხელი გამიშვა და დაშავიერდა.

— ჰო, ლოცავ, მაგრამ მაინც წყევლი. — ვთქვი მე.

— თუ ვლოცავ, რანაირად ვწყევლი, ბიჭო? — მოეშვა გულზე დედაჩემს. — მაგი მაქლია, კაციჟამიები ვლოცო.

— კასიანესთანა კაცთმოყვარე კაცი ჰერ არ დაბადებულა დედამიწის ზურგზე.

დედაჩემმა მიყურა, მაყურა და ვერაფერი აზრი რომ ვერ გამოიტანა ჩემი ნათქვამიდან, შევიწუხნა, შეილო, გული, როგორც მე შემეწუხეო, დამიძახა და ჩაიწი გალაუხნა.

არც იმ დამეს შიძინა წესიერად. ეტყობა, ძალზე ვწრიალებდი ლოგინში. რადგან რამდენჯერმე, სიბნელეში, თვალი მოვკარი დედაჩემის გულზე ხელმედაკრეფაო სილუეტს. იდგა ასე, წუთობით თუ საათობით დედაჩემი და არ ვიცი, ქვითინებდა, არ ვიცი, რაღაცას ჩუმად შესთხოვდა ღმერთს.

დილით, როგორც ყოველთვის, ნაკვერჩხლებზე გაფიცებული, ლოყებდაბარწული, კიდეჩაშავებული ჭადი და თხის ჭყინტი უველი დამახვედრა სამუადში დედაჩემმა.

ხმას არ იღებდა. მამაჩემის მიერ მოწირკნილ განჭინასთან იდგა და ისე მიყურებდა, როგორც ავადმყოფ, მარჩენალ ძროხას, რომელსაც წამლის მიცემის შემდეგ გულისფანცქალით აკვირდებიან, გადარჩება თუ არაო.

— რას მიყურებ? ვერ მიცანი? კაი შესახელი ვარ, ხომ?

დედაჩემს ხმა არ ამოუღია. იგი ისევ იმ ადგილას იდგა. შეწუხებული სახით. ჩემმა სიტყვებმა თვალები მოუწყლიანა, ხელების ფშვინეტა დააწყებინა.

ავდექი. რაღაც უაზროდ ვისაუზმე. წინათ, იმის სინდისი კი მყოფნიდა, მეფიქრა, ყველა რომ შევჭამო, მერე დედაჩემი რას ჭამს-მეთქი, მაგრამ ახლა არაფერი გამსხენებია. ფინჩხალი ჭადი არ დანთოვებია.

— ჭამე, შეილო, კარგად ჭამე. — თქვა მან, ავდექი თუ არა, თუმცა კარგად ხელავდა. შესაქმელი აღარაფერი იყო.

— რომ შევჭამე, ახლა მეუბნები? სად იყავი აშდენ-ნანს? — ვთქვი მე და ხელები შარვლის ტოტებზე გავისვი. დედაჩემმა, დამნაშავესავით განზე გაიხედა. მერე ზურგს უკან ხელი გააცურა, რაღაც შეხვეული გადმოიღო და მითხრა:

— გულშინ, საღამოს, მარიკამ ხატი მოიტანა კვესიას მიეციო.

— ხატი?

— ჰო.

— მაგი ვუთხარი მერე მე? ხატი თვითონ უნდა წამოეღო სკოლაში.

— ვერ წამოვა მარიკა დღეს სკოლაში.

რატომღაც ასე მეგონა, რომ მარიკა ახლა შუაგულ ეზოში იდგა, საწიგნით ხელში და მე მელოდებოდა.

— ვიცი, ვერ წამოვა.

— შენ რა იცი?

— მშიშარაა.

— პატარაა, ბიჭო, ჯერ ის, კვებია.

— პატარა? მაგებლა გოგოები სასწაულებს ახდენენ რუსეთში!

— მაგისთანა შედარების მოყვანა არ შეიძლება, — თქვა დედაჩემმა და მრავალაზროვნად გადმოხედა, — მაგებლობას მეც სასწაულებს ვახდენდი. მაგრამ ახლა რა სასწაული გინდა რომ მოვახდინოთ ან მე, ან შენ, ან მაგან? მარა სასწაული არაა,

შვილო, კვებისა, აგი? ნახე, — თქვა დედაჩემმა და იმ გაზეთის კითხვა დაიწყო რომ იყო შიგ გახვეული: „რაიონის მშრომელებმა, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა შეაგროვეს და სატანკო კოლონა „საქართველოს კოლმეურნის“ და „ნორჩი პიონერის“ სახელზე ნახევარ მილიონამდე მანეთი ჩაირიცხეს, რაც გაცილებით მეტია ამას წინათ რესპუბლიკის სახელით ჩაირიცხულ თანხაზე“...

მე ჩამეცინა

— რა გაცილებს? — მკითხა დედაჩემმა.

— არაფერი. — ვთქვი მე. დედაჩემმა კითხვა განაგრძო:

„რაიონის მშრომელი მოსახლეობის სასახელოდ უნდა ითქვას ისიც, რომ ამ დღეებში დამატებით შეაგროვეს ათი ათას ორასი ცალი სწავლასხვა სახის თბილი ტანსაცმელი და თეთრეული, მარტო სექტემბრის თვეში წითელ არმიას გაეგზავნა ორას სამოცდათექვსმეტი წყვილი წინდა, ორას ჩვიდმეტი წყვილი ხელთათმანი, ორმოცდაცამეტი ათასი სწავლასხვა სახის საჩუქარი.“

საუკვავიასტყელმა კოლმეურნე ქალებმა წითელი არმიის მებრძოლებს დამატებით გაუგზავნეს: ოცდასუთი წყვილი წინდა, თხუთმეტი წყვილი ხელთათმანი, ორი წყვილი თეთრეული, ორი ქუდი, სუთი პირსახოცი, სამოცდათექვსმეტი კილო ფქვილი, რვა კილო ლობიო.

ზოლო ვაზიანის კოლმეურნეებმა: ორას რვა ლიტრი ღვინო, ცხრა ლიტრი არაყი, შვიდი კილო ყველი, ორი ცალი ქათამი, სამი კილო ჩირი, თვრამეტი კილო თხილი“.

— არაა ახლა აგი სასწაული? — მკითხა დედაჩემმა და დაამატა. — კია სასწაული! სასწაულზე მეტია, ის კი არა, წელეებზე ფეხის შემოდგმა ეს, სასწაული კი არა! პირზე ტყავის გახდა ეს, სასწაული კი არა!

— მე რომ ქადის უკანასკნელი ფინჩალიც შევსანსლე და შენ, მთელი დღე მშეირმა, უნდა იმუშაო სადამომდე, აგიც ხომა სასწაული? — წამოვიძახე მე და, პირველად ჩემს ცხოვრებაში ცრემლი ვერ შევიკავე, გავქანდი და დედაჩემს კისერზე ჩამოვეციდე.

— რა მოგდის, ბიჭო? — შემომიძახა დედაჩემმა, — რა გატირებს ამხელა კაცს, არ გრცხვენია? — და თვითონაც ატირდა.

— მე მაინც მეშინია, დედა, არ ვამბობ, თორემ მაინც მეშინია, დედა, გეხმის?

— გაჩუმდი, არ გაუშარჯვებს ღმერთი პიტლერს! სტალინმა ტყვილა კი არ თქვა, ჩვენი საქმე სამართლიანიაო. სამართლიანია ჩვენი საქმე და უსამართლო კაცი ვერასოდეს ვერ გაიხარებს ამ ქვეყნად, შვილო!

(გაგრძელება იქნება)



ვაზის გახიზვნა

„ვაზის გახიზვნა“ ვუწოდებ ახალ ეპიკურ პოემას, რომელიც ჩვენს გმირულ წარსულს ასახავს.

„მრავალი წლის დამაუძღურებელი თავდასხმების შემდეგ მტერმა საწადელს მიაღწია, 1627 წელს დაიპყრო საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე „ურჩი“ საერო-სოფო — აჭარა.

პოემაში, რომლის ერთ თავსაც ვთავაზობ მკითხველს, ვცადე ამესახა ის მდგარი წინააღმდეგობა, რომელსაც წააწყდა მტერი აჭარაში და რომელიც შემდეგ სამას სისხლიან წელიწადს გრძელდებოდა...

სოფლად გავარდა ხმანია,
ავის ამბავის მომტანი,
ხევს შეესია ასკერი,
წარყვნა ბაღი და ბოსტანი.
სადაც სკა (ნახეს, ანგრივნეს,
თაფლ იღვენთება ცრემლადა.
ძალი არ ჰქონდა სხვა რამე,
ხევი გადიქა წყევლადა.
სანახავ იყო სურათი
კაცის თვალ-გულის მთუთქავი,
დაჭზუნუნებდა, დანგრეულ
ბუდეს გლოვობდა ფუტკარი.
მტერი კი თვისასა ჰქნავდა,
არად მიაჩნდა ძვირია:
ველარ დაანთოთ სანთლები,
ვერ გამოადნოთ ცვილია!
დაეხეტოდნენ სახლებში,
კედლიდან ჰვლეჯდნენ ხატებსა.
თვალს რისხვით აბრიალებდნენ,
ჰგვანდნენ ცოფიან კატებსა.
ისმოდა ქალთა ქვითინი,
გმინვა გულჯავრით კაცისა.
ჟამ იდგა არგაგონილი,
დღე დათვლილიყო ვაზისა.
იქ კი,
რა ზდება ხუნისას,

რა ცოდვას იზამს წყეული,
კარ ჩაურახავს ოდისა,
ცოფი ჰყავს გამომწყვდეული.
თვითონ კი ბაღში ჩასულა,
ხელი გაუკრავს ცულზედა.
ვაზს სჩეზავს მსხმოიარესა,
პირს მოუღერებს ცურზედა.
უწყალოდ გაიმეტებდის,
კენესა არ ესმის წმინდისა.
ვერ გაამრთელებს ღმერთიცა
ერთხელ გატეხილ სინდისსა.
სჩენდა და სჩენდა ფესვწმინდას,
სულ დაიდვარა ოფლადა.
ვაზს ჰკაფავს თვისსავ ხელითა,
ყანას დააგდებს ობლადა.
ღუშმანის გულეებს ახარებს,
სოფელს არ აგდებს სოფლადა.
ვაგლახ, ძის მაგინებლისა
მშობელი არ ღირს მშობლადა.
გასწირავს მამა-პაპეულ
წმინდა მარანს და ჭურსაო,
ხელს ვაზის სისხლში გაისვრის,
არად ჩააგდებს რჯულსაო.
ყურად არ იღებს ურჯულთ
ცრემლნაყარ ვაზის ვედრებას:
„ნუ მომკლავ, ჩემი სიკვდილი

შენსამც მკლავს დაეყვებოდა.
ნუ ამომავდებ უწყალოდ,
ფესვს ნუ გამიხმობ ძირზედა.
სოფელს რას ეტყვი, პატრონო,
სირცხვილ დაგაჩნდის პირზედა.
რაც გაეჩენილვარ ამქვეყნად
ერთგულად გაძლევ ნაყოფსა.
ნუ მომჭრი საესე ძუძუებს,
ღობეს ნუ მინგრევ ნაღობსა.
აქ ჩემი ცოდვა გაგახმობს,
იქ რაღას ეტყვი მკვდრებსაო.
მოყვარეს არად ჩაავდებ,
მტრებს გამოასხამ ფრთებსაო.
ნუ მომკლავ, გესმის, ნუ
მომკლავ,

შენსამცა მარჩენალსაო.
ქვად ნუ გაიხდი ე, მაგ გულს,
ნუ დამიხნელებ თვალსაო.
შვილივით მზრდიდა აქამდე
შენი გვარი და ჯილაგი.
ნუ შეგშლის ოქრო თათრისა,
იმის ხასა და თრიაქი.
შენი სხვა არის რჯულ-გვარი,
გონს ნუ შეიშლი სრულადა.
ნუ მომკლავ, შენი ჭირიმე,
მახვილს ნუ ჩამცემ
მტრულადა“...

ეხვეწებოდა პატრონსა
ვაზი ცრემლჩამომდინარი;
„ნუ მომკლავ, შვილო ნუ
მომკლავ“,
მაგრამ გამგონი ვინ არი?
მაშინ კი წყევლად გადიქცა
ხმაკენესით მღალადებელი:
„წყევლიმც იყოს უკუნით,
თვის რჯულის განმაგდებელი!
თვით გაჰხმი, ვითარც გახმება
ფესვი ეს ჩემი ბებერი.
ვით არ ისმინე ხმა ჩემი,

საბრალოდ მავედრებელი.
სიცოცხლე გერგოს იგეთი,
ვით მოღალატეს შეჰფერის,
არც რამ გეზადოს სარჩოდა,
გახდი ლუკმისა მკრეფელი.
შვილო, მშობელის მკმობელი,
არამც გწყალობდეს ბედი.
სულ თავზედ რისხვად
დაგატყდეს

რაც წყენა შეგიბედიო.
ვის შერჩეს მოძმეთ ღალატი,
ხალხთან წარხდენა პირისა.
მკვდარს დაგტიროდეს საბრალო
ცოლი, რაც ჯავრით სტირისა.
გაკრთობდეს ძალა, უგნურო,
უენო ჩემის წყევლისა,
ცოდვამც გიწიოს საზარმა,
დაღვრილი ჩემის ცრემლისა.
სულიმც გიყეფდეს ძაღლადა,
მიწამ არ გიყოს პირია.
ვითარც ასჩეხე უგულოდ
ჩემი ფესვი და ძირია!!!“
თითქო ესმოდა ხმა იგი
ხუსნი ბინდს გრძნობდა

თვალებთან,
ვითარცა მომკვლელს მშობლისას,
მარჯვენა უკანკალებდა.
მაინც ელავდა საზარი
ცული ახალის ძალითა.
არ შედრკებოდა წყევული,
ჩადენილ ცოდვა-ბრალითა.
არ შეისმენდა ვედრებას,
არც წყევლა შეაშინებდა,
არ იფიქრებდა მარჩენლად
რას უტოვებდა შვილებსა.

გონს მოსულიყო სატიჯე,
აწ გრძნობდა, რაც რამ ხდებოდა.
არცა რას გულში ფიქრობდა,

არცა რას ეუბნებოდა.

წაქცევას იყო საბრალო,
მუხლ ეკეცოდა, ბნდებოდა.

ვერას ხედავდა შველასა,
გულში იმედი ჰქრებოდა.

ვერ დამაშვრალი ტირილით
თვალშია ცრემლი შრებოდა.

და მოეჩვენა ვაზს არა,
ცეცხლი შეიღს მისას სწვდებოდა.

კენესოდა: დედავ, მიშველე,
ხმა მწარე ეყურებოდა.

ძალ წართმეოდა სრულადა,
შველას ვერ ეშურებოდა.

კვამლი ახრჩობდა ძვლებისა,
სულსამცა ხორცი სძვრებოდა

„მივაღ, ეუშველი პირმშოსა“, —
ვერ მიდიოდა, სწყრებოდა.

იღვა ამგვარის ყოფითა,
სულ ზეზეურად ჰხმებოდა.

„დედავ, მიშველე!“ — ეგ ერთი
ფურს მწარედ მოესმებოდა.

უცქერდა კოცონს ცოდვისას, —
შეიღს მკლავნი ეფერფლებოდა.

ვაგლახ, ღუშმანის ხელითა
ვაზი ქართული კვდებოდა.

ეპილოგი

ტაძართან კაცი ვიღოდა,
მწუხარე ფერსახოვანი.

წან შეეყარნენ მგზავრები,
ზოგ ხნენი,

ზოგ უწლოვანნი.

ურემზედ ქალი დაესვათ,
ქეთინ ისმოდა ხმოვანი.

კალთაში ბაღლი ეწვინა,
ძუძუსა სწოვდა ყრმოვანი.

წმინდა მარიამს ამსგავსა,
ვინც არღა იყო ქმროვანი.

ბაღლი კი — ქრისტეს, პატარას,
ფერ-ხორცი ჰქონდა ღვთავანი.

გოდერძი ბაკოელი

— საითკენ მიხვალთ შეილებო?

მგზავრები

— სად მთა გვეგულვის ტყოვანი.

გოდერძი ბაკოელი

— ეგ რაღა მიგაქვთ საგზალადა,
რით დაიმძიმეთ გზოვანი?

მგზავრები

— ვაზია, ხვეის იმედო,
ოქრომტევნების მსხმოვანი.

გოდერძი ბაკოელი

— ვაზიო?!

განა ვერ ნახეთ

სხვა უფრო რამ საზოვანი?!

მგზავრები

— ბრალია სასიკვდილოდა,
მტრისამც აგვიჩენს ხროვანი.

გაგზიზნავთ,

ტყვეს შევაფარებთ,

იხარებს იქ ფესვოვანი.

მოვიყვანთ მისსავ სამშობლოს

ოდეს დადგება დროანი...

პირჯვარ ისახა გოდერძიმ,

მაღლი დალოცა კაცისა.

პირველ ხედავდა ბრძენკაცი

ცოცხლებერ გაზიზვნას ვაზისა,

თავადაც ვაზის ჯვარ ეპყრა,

რწმენა ქართველის ხალხისა.

ღმერთს ეაჯოდა მტრის ძლევას

და გადარჩენას ხატისა.

მინაწერი

სამასს იავდრა წელიწადს,

სამასს, თუ კიდევ არ მეტს.

შვილს კაცად ზრდიდა მშობელი,

დაუბარებდა ანდერძს:

გურჯნი კართ სულით და
ხორციით,
მოკვდი, ეგ ერთი გწამდეს.
სამასს ეწამნენ წელიწადს,
კვნესა ისმოდა ცამდე.
ბარე სამასჯერ გააკრეს
მთელი აჭარა ჯვარზე.
სამას წელს სჩეხეს ვაზიცა,
ჯარი აგზავნეს ჯარზე.
გაუძლო,
მაინც გაუძლო,
სამასს თუ კიდევ არ მეტს.
მოხდა ყოველთა ძლევაი
რეაას სამოცდათვრამეტს.
გადარჩა ჯიში ქართული,
ვის ლექსი უთქმს ვაზზე.
იმღერენ აჭარაშია
დღესაც სევდიანს ხმაზე:
ზამთარი გავვიზაფხულდა,
მზე მობრძანდა ახრშია,
ბალახი ცერზედ შემდგარა,
წყალი ჩამდგარა ხეშია.
ბუნება სახეს არ ჰპარგავს,
ბუნება კაცის ხელშია.
ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო?!
აყვავებულან ველები,
ფუტკარი ბზუის,
ხეს ჰშია.
მდინარე აღიდებულა,
მთა-ხევი მოუხრეშია,
ვაზო, იმ შენსა დაკარგვას
ჩემი სიკვდილი მერჩია.
ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,
სად წადი და რომელ მხარეს?!
ჰამო, გამიწი გუთანო,
შენ გენაცვალე ყელშია.
ყანა დავთესე, დამწიფდა,

მით გავიძართე წელშია,
ვაშლები ლოყაწიფორა
ლამაზ ქალსა ჰგავს ფერშია.
ჩემო გამზრდელი ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო?!
ცალ ხელში თოხი მეჭირა,
თოფი — მეორე ხელშია.
ჩემი ღამარხვის მსურველი
თვით გადაუშვი ხევშია,
ვთიბე და ვთიბე ჭალები,
ტოლი არ მყავდა ცელშია.
მამა-პაპურო ვენახო,
სად წადი და სად მოგნახო?!
მარანს კარები შეკვიდე,
ჭურები ვრეცხე ცრემლშია.
მოგნახე ვაზი ობოლი,
ვერგასარჩევი ძველშია.
სახლში ძეობა დავლოცე,
თოფი ვაქუხე ჭერშია.
შენც მოგნახე ვაზო მალე,
შენ ძირ-ფესვებს ვენაცვალე!
სიმიინდი დამწიფებულა,
აკატრებულა წვერშია.
გპატიეებ, მტერო-მოყვარე,
მოდით, მეწვიეთ რთველშია.
მოყვარეს მოყვრად დავლოცავ,
არ ამერევა მტერშია.
ვაზო მტევნად ისხამ ლალებს,
შენ ძირ-ფესვებს ვენაცვალე!
ნეფე-პატარძალს დავლოცავ,
„მაჭახელს“ ვისვრი ჭერშია.
ავავსებ ჭინჭილს ჭაშნიკით,
დაგენაცვლები ყელშია.
შენგან ნაკურთხი სასმისი
არ გამერჩევა ცრემლშია.
ვაზო, საამდღოდ გმადე,
შენ ძირ-ფესვებს ვენაცვალე!

ქ ა რ ბ ო რ ბ ა ლ ა

შეძლება მართლაც გამოცდა და სიკეთისათვის სიკეთის გადახდის შესხენება იყო ეს, თორემ რატომ მაინცდამაინც იმავე ადგილზე და ისეთსავე პირობებში, — ნავსადგურში, ქარსა და საშინელ ავდარში შეხვდა ამ ქალს, ახლა როგორშიც თვითონ საჭიროებდა შევლას და ლაშქა მუშაყაცმა იხსნა მაშინ, მეშეთალის გონება უძლური იყო შესაფერისი ახსნა მიეცა ამ კითხვისათვის. მას არც იმის განსჯა შეეძლო, სიკეთის მოქმედი ძალა გარედან მოქმედებდა და უზიძგებდა ადამიანს კეთილის ქმნისათვის თუ თვითონ ადამიანშივე იყო დაბუდებული.

ფიქრებისაგან თავი უსკდებოდა. ქოხში შესულმა ნავთის ლამპა აანთო და ქალს შეხედა. ასეთი მშვენიერება ჯერ არ ენახა მის თვალს.

გაუპარსავი, თმებში ყურებამდე თავშერგული, ტყუპრივით მოუქნელი და მოუხეშავი მეშეთალი სასწრაფოდ დატრიალდა, ვათიშლი ქალი უსიტყვოდ ჩამოსვა ტახტზე, სველი ფეხსაცმელები გახადა. ნავთურასზე ქვაბით წყალი შემოდგა და მერე ცხელ წყალში ფეხები ჩააწყობინა...

გაწამებულ ქალს სხეულში უკიდევანო ყრუანტელივით დაუარა ცხელი წყლისა და მამაკაცის მოუხეშავი, სორკლიანი ხელების შეხებამ. მერე დადლილობამ და მოთენთილობამ თავი წაართვა და იქვე ტახტზე გადაწვა...

მეშეთალამ თავი ასწია. ქალს მკვდარივით ეძინა.

...ფრთხილად შეუშრალა ფეხები იმ პირსახოცით, თვითონ რომ ხელების იმშრალებდა ხოლმე, მერე ჩვილი ბავშვივით სათუთად აიყვანა ხელში და იატაკზე დაგებულ, ხმარებისაგან გატრეცილ, ლამაზად მოხატულ პატარა ნოსზე დააწვინა. შემდეგ, ასევე უხნაუროდ ტახტზე თავისი ერთადერთი ლოგინი გაშალა, ლამპა ჩააქრო, ქალს სველი კაბა ფრთხილად გახადა, პერანგისამარ ლოგინში გადაიყვანა და საბანი გულმოდგინედ შემოუყვცა. მღელვარებისაგან სხეული ციებიანივით უცახცახებდა...

მთელი ღამე არ სძინებია მეშეთალის — ქალის სასთუმალთან დამქდარს დაათენდა თავზე.

ბათუმური გადაუღებელი წვიმების შემდეგ, მზე რომ შემოანათებდა ხოლმე მეშეთალის პატარა სახლის ერთადერთ ფანჯარაში, მეორე დღით ისე შეანათა გამოძინებულმა ქალმა ზღვისფერი თვალები და გაუღიმა. იმ დღიდან მეშეთალის ქოხში თითქმის შეირჩე მზე ჩასახლდა, გამათანავი და მცხუნვარე იყო ეს მზე და მეშეთალი ძლივს უსწორებდა მზერას.

ორი დღე და ღამე თავი არ გამოუყვით გარეთ არც მას და არც მის „ნათაშას“.

... მერე ქალი დაზოგილ ოქროებში ჩასვა და გახალისებულ-გალაღებულნი ახალ-ფეხადგმული ბავშვი პეპელას რომ აედევნება და შეჭარბის ხოლმე, ისე შეჭარბოდა და შესციცინებდა დავიანებულ სატრფოს...

რაც მჭტი დრო გადიოდა, მეშეთალისაც უფრო მეტად ედებოდა სიყვარულის ცეცხლი... ნატაშა იყო სიცოცხლე და ახდენილი ოცნება მისი. ამასთან ტანჯავდა და



გუნებას უმღვრევდა იმის გაფიქრებად კი, რომ, ადრე, ვიღაცას უკვე წაებოდა და მისი ებოდა ამ ქალის უბოროტება... რა ღონესა და საშუალებას არ მიმართავდა, რომ ჩემ გორმე შეეღწია მის წარსულში, მაგრამ იმ წარსულს გაუმჭვირვალე, სქელი ფარდა ქონდა ჩამოფარებული და მის იქით არაფრის დანახვა არ ხერხდებოდა. ამიტომაც იყო, მეშეთალი, ზოგჯერ, ქალის წინ მუხლებზე დაეცემოდა, ფხვებს უკოცნიდა და საწყალობლად ევედრებოდა: — ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, ნუ დამიშალავ, მითხარ, რა მოხდა ჩემამდეო.

ასეთ დროს ქალს ისე ეცოდებოდა ეს ბავშვითი გულუბრყვილო, უსუსური, უმწეო კაცი რომ იმ ფარდას ცალ ყურს ოდნავ წამოუწევდა და მეშეთალიც სარბად ცდილობდა თვალი გაედევნებინა წამიერი სინათლისათვის, რომელიც ქალის დაგმართულ, ჩაბნელებულ წარსულში შედგებოდა ხოლმე. გაოჩქვებებოდა თუ არა რომელიმე უცნობი მამაკაცის სილუეტი ფარდის წამოწეული ყურის იქით, ქალი ფარდას კვლავ გულდასმით ჩამოუშვებდა და წარსულთან შესაღწევ კარიბჭესთან კვლავ წყვდობადი ისადგურებდა, მაგრამ, სინათლის იმ წამიერი გაღვების ჟამს თვალმოკრულიც კი, საკმარისი ზღებოდა მეშეთალისათვის, რომ მის სულში რაღაც საშინელი ტკივილის გრძნობა დაბუდებულიყო და მაშინ იყო, რომ უხილავი ბურღი უბურღავდა და უხვრეტდა ტერის, ყელში რაღაც ეჩრებოდა და დახრჩობას უქადდა...

მეშეთალისათვის თანდათან აუტანელი ხდებოდა არა თუ წარმოდგენა, არამედ უბრალო გაფიქრებად კი იმისა, რომ უმწეო და მიუსაფარი ქალი, ვიღაც ველური ოფიცერს (ეშმაკმა იცის, რომელი კუთხისა) ხელში ჩაეგდო, და დაპატრონებოდა.

— დონდუშ, სუნია აფიცარ! — ბრდღვინავდა და დუღდა მეშეთალი. ზღარბის ეკლემივით უხვში ჯავარი თმები ქაღალზე უდგებოდა და უფრო ეზღარბებოდა. თვალეში ცეცხლი ჩაუდგებოდა და მუშტებს გულზე გამეტებით იბრაგუნებდა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, „ნათაშა“ არ იზარებდა მეშეთალის გულისწყრომას ოფიცერის მიმართ და ამასთან გულმოღვინედ ცდილობდა, მოხერხებულად შეენიღბა ოფიცერის სხვა პარტნიორები, რომელთა შესახებაც, თუ ძალიან შეაცოდებდა მეშეთალი თავს, გახორცილებული არ იყო, რამე წამოცდენოდა კიდეც. ამიტომაც გმანავდა ქალი წარსულთან გამიჯნავ ფარდას და საგულდაგულოდ უსწორებდა ყველა ყურს. თუ რომელიმეს, ამ ყურთაგან, წამიერად წამოსწევდა, ისიც იმიტომ, რომ იქიდან კბილებამდე შეიარაღებული ოფიცერის ბუმბერაზი ტანი გამოეჩინა და მეშეთალი დაერწმუნებოდა რომ უბოროტო და უმწეო ქალი ბარბაროსმა ოფიცერმა ზარბაზნებითა და თოფებით, ხმლებითა და ხანჭლებით, დამბანებითა და ჯარისკაცების ხანგრძლივი იერიშით დაიპყრო და დაიმორჩილა. ამის მერე იყო, რომ ქუჩაში შემხვედრ ყოველ ოფიცერს დასიცხული, გაავებული კამეჩივით უბღვერდა მეშეთალი, არა და, იმდენი ოფიცერი დაეხეტებოდა იმ დროს ბათუმის ქუჩებში, რომ გავლა ჰქონდა...

ერთ საღამოს სამუშაოდან შინ დაბრუნებულ მეშეთალის „ნათაშა“ სახლში არ დაუხვდა. მეზობლებმა უთხრეს, დიდი ხანი არ არის, რაც საგარეოდ ჩაცმულ-დახურული საღვაც წავიდაო. მეშეთალი გაუყვია მეზობლების მიერ მითითებულ ქუჩას და ასილედ ნაბიჯიც არ ექნებოდა გავლილი, მუხიკის ხმა მისწვდა მის სმენას. ამ ხმამ მიუყვანა იგი ქალაქის ბულვარამდე, სადაც საღამოობით სამხედრო ორკესტრი უკრავდა და გაფიცებული ახალგაზრდა ოფიცრები საცეკვაო შოედანზე იკლავდნენ საბრძოლო უნს.

საცეკვაო შოედანზე (და არც სხვაგან) ეს ოფიცრები მაინცდამაინც დიდად არ ებუზღებოდნენ წესიერ საზოგადოებაში ძილებული ქცევის ნორმებს. ვნებაშლილი ქალების სიცილ-კისკისი, მჭექარე მუხიკის ცეცხლოვანი რიტმი, ოფიცრების განსაკუთრებულად ხაზგასმული აღვირახსნილი, თავშეუკავებელი, თამამი მანერები ცეცხლს უკიდებდა იქაურობას...

მეშეთალიმ შორიდან მოკრა თვალი ერთი კოხტა ოფიცრის მკვლავებში მოქცეულ, პეპელასავით მოფარფატე „ნათაშას“, სანთლის ალივით რომ ირხეოდა და სხვა ფაკლებული და ჩანდა, იმდენად ბედნიერი იყო, რომ სხვა არავინ და არაფერი ახსოვდა ქვეყანაზე...

— დონლუჲ, სუნია, აფიცარ! — ჩაიბურღლუნა თავისთვის მეშეთალიმ და დათვივით შეღალაჯა საცეკვაო წრეში. ნატაშამ, შენიშნა თუ არა მეშეთალი, გონს მოეგო, აღეწილი, შეფაკლებული სახე წამით ოფიცრის სახესთან უფრო ახლოს. მიიტანა, ეურში რაღაც ჩასჩურჩულა და გალაღებული შვლის ნაბიჯით წავიდა საავდროდ გამაზღებელი მეშეთალისკენ. მივიდა, მათრახივით მოქნილი, თბილი ტანით ტანზე აეკრა, თვალეზში შესცინა და ორივე მკვლავი კისერზე მოხვია „ქმარს“. მუსიკა, რაღაც ჯადოსნური ძალით, თავისთვის აღუძრავდა კაცს როკვისა და თავდავიწყების უმას... და მეშეთალიც აუვა „ნათაშას“ ნებას.

ერთ დროს, ბათუმის მომიჯნავე კახაბრის თვალუწვდენელი დაბლობი ქურობებით იყო დასახლებული. ისინი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და წელიწადში ერთჯერ, გაზაფხულზე, აუყვებოდნენ და შემოდგომაზე ჩამოუყვებოდნენ ხოლმე მდინარე აჭარისწყლის ხეობას. ამასთან, წელიწადში ორჯერ გაივსებოდა ხეობა აღმა მიდენელი და უკანმოპრუნებული უთვალავი პირუტყვით, თხა-ცხვარით, ხარ-ძროხითა და კამეჩებით, ჩარდახიანი ურმებით, საბალნიანი ცხენებითა და ჯოგის ძაღლებით, ასობით მამაკაცით, ქალითა და ბავშვით...

ამ მომთაბარეობის დროს, იყო შემთხვევაც, როცა სიკვდილი გზას გაუმართებდა ვინმეს (სიკვდილი ყველგან ასწრებს თავის საქმეს) და მაშინ იქვე გადაყენებდნენ ურმებს, ცხედარს ერთ-ერთ ურემზე დაასვენებდნენ, ჭირისუფალი ქალები თმებს გაიშლიდნენ, მარჯვენა ხელის ორი თითით აბრეშუმის ჭრელ თავსაკრავს ისე დაიჭერდნენ, ბაღდადურის მოცეკვავეებმა რომ იციან ხოლმე და რიტმული როკვითა და ხმის რაღაც უჩვეულო აუღერებით დასტიროდნენ (თუ დამღეროდნენ) მიცვალდებულს. მერე ერთ ან ორ ურემს რამდენიმე კაცი უკან შემოაბრუნებდა და აღმა მიმავალი, დაღმა დაუყვებოდნენ კახაბრის დაბლობისაკენ, სადაც ქურობების სასაფლაოზე მიწას ამარებდნენ ცხედარს...

ქურობების ეს ოთხ-ხუთდღიანი ადგილგადანაცვლება ბარიდან მთაში და მთიდან ბარში, ხმაურით ავსებდა აჭარისწყლის ხეობას. ზოგჯერ, როცა დაღლილი პირუტყვი ფეხს აითრევდა, ან კიდევ, ურმებზე ჭერებხევივით დაჟრდილ ქალ-ბავშვთ, უძროხესაგან მუხლები დაეხუთებოდათ, კაცები ურმებიდან ხარ-კამეჩს გამოხსნიდნენ, საქონელს გზის გარდიგარდმო საბალანოდ მიუშვებდნენ და ასობით ოჯახი გზის გასწვრივ გაიშლებოდა რამდენიმე საათიანი ჭგვენებისა და დანაყრებისათვის. მაშინ ერთ-ერთი ქურობი მამაკაცი ურმის ქალზე ჯაჭვით მიბმულ მოშინაურებულ დათვს გამოხსნიდა და ხანაზვროდ აღამიანების ჭკუაზე მოქცეული მხეცი უახლოეს სოფელში შეყვავდა ხეახტაროვად. სოფელელები ქურობისა და მისი დათვის გარშემო სახელდახელოდ წრეს შეკრავდნენ და პატრონის კარნახით, დათვი ათასნაირად იმანკებოდა, იგრიხებოდა და ახაიერებდა აღამიანებს... სოფლის ბავშვები უზომო მხიარულებას ეძლეოდნენ ამ ხანაზობით. მერე, როცა აღამიანად გარდასახული დათვი ცეკვის გუნებაზე დაღვებოდა უკანა ფეხებზე შემდგარი, რიტმული რწევითა და ბაჭაჯით პატრონს მიუახლოვდებოდა, წინა ფეხს, მამაკაცურად მხრებზე გადახვევდა და წრეში საცეკვაოდ იწვევდა, ქურობით შეყვებოდა ხოლმე და მაშინ იწყებოდა სერიი...

ვისაც ერთხელ მაინც ენახა დათვისა და კაცის ეს მხიარული ატრაქციონი, აღარ დაიწყებდა თავის მტკრევას იმავე უჭირით, რას აგონებდა საცეკვაო მოედანზე მეშეთალის თავაწყვტილი როკვა ვნებატენილ „ნათაშასთან“...

იმ დამეს ქალაქის ბულვარის საცეკვაო მოედნიდან შინდაბრუნებული მეშეთალი

გამლის ბირველ ყოვლიანად ეალერსებოდა „ნათაშას“ მოქნილ, ჯანსაღ სხეულს. უკვე თენდებოდა, როცა მეშეთალი ქალის წინ მუხლებზე დაეცა და საწყალობლად თხოვდა ადარ წასულიყო იმ „დონლუზ“, „სუნია“ ოფიცრებთან საცეკვაოდ. სამაგიეროდ სხვა სათამაშო მოვიგონათო რამე.

ერთ დღესაც „ნათაშას“ ბავშვური ჭირვეულობით თხოვა სამუშაოდან ახალ დაბრუნებულ მეშეთალის, — დაქერობნა ვითამაშოთო. მეშეთალის ჭერ ტანსაცმელიც არ გამოეცვალა და თანაც, რატომღაც, უხალისოდ იყო, მაგრამ ნატაშას ისე უნდებოდა ახალი კაბა და ძვირფასი სამკაულები, ისე ღამაში და მანქანით გაბრწყინებული ჩანდა, რომ მეშეთალიმ ვეღარ გაუძლო ცდუნებას და მორჩილად მიუშვირა ბომბორა თავი თვალის ასახვევად.

— სანამ ნიშანს არ ვიტყვი, არ გაბედო თვალბეჭე სახვევის მოხსნა, — კმკლუცი ღიმილით თითით დაემუჭრა ნატაშა. ეს ღიმილი იყო, მეშეთალის მუხლებში ძალას რომ ართმევდა და გული მუჭში მომწყვდეული ჩიტავით რომ აუფართხალდებოდა ხოლმე.

... მერე იდგა თვალბეჭეული მეშეთალი და ელოდა, როდის აუღერდებოდა მის ყურთან სირინოზის ხმა, როდის იტყოდა ნატაშა სანატრელ „სიტყვას“, მაგრამ ქალი დუმდა... თვალბეჭეულს მოსწყინდა ასე ღგომა და საწყალობელი ხმით შესთხოვა, ხმა გამეციო, მაგრამ ნატაშა ჭიუტად დუმდა.

... როდის, როდის შემოიგლიჯა მეშეთალიმ სახვევი თვალებიდან და გულმა რაღაც საშინელი უგრძნო... არა თუ „ნათაშა“, მისი ნაკვალევაც ვეღარსად იპოვა მეშეთალიმ... ვიღაცამ გაიხსენა: მშესავით გაბადრული, სახენათელი შენი ნატაშა ოფიცერთა ხაერებულოსთან ვნახე, ერთი კოხტა ოფიცერი ეკურკურებოდაო, მერე სხვაშაც დაუმატა: გუშინ, გვიან ღამით, რუსეთიდან გამოქცეული ოფიცრებითა და მათი ოჯახებით დატვირთული გემი გავიდაო წავსადგურიდან... ეჭვი არ იყო, რომ ფერია, მეშეთალის გასაზარად, სექტემბრის ერთ ავღრიან დღეს ზღვის მოქცევას რომ შემოყვა ბათუმში. ასევე სექტემბრის ერთ დღეს, ზღვის უკუქცევამ გაიტაცა და სამუდამოდ დაიკარგა მეშეთალინათვის.

ხალ არ ეძებდა, ვის არ ეკითხებოდა „ნათაშას“ ამბავს, მაგრამ, როგორც იტყვიან, უარის მოტანილი ქარმა წაიღო და მისთვის ყველაფერმა კელავ დაკარგა ფასი... ამ შემთხვევას მეშეთალი კინალამ გააღყვა კიდეც, — არაფერს ჭამდა, უძილობა დასწემდა, წყალი რომ წყალია, დღეები ისე გავიდოდა, ერთ პეშე წყალსაც არ ჩაიცდენდა პირში.

მერე და მერე, თითო-ორილა ღუჟმა პურს თუ გალოღნიდა და ცოტა წყალსაც დააყოლებდა ზედ, ეს იყო და ეს. ზღვა აითვალწუნა, და მტრად გადაეკიდა. ვინც იცოდა, რა განძი დაკარგა, ეცოდებოდა ეს უენო, ალაღ-მართალი კაცი, მაგრამ ზველა არაფრით შეეძლო და უსიტყვოდ უფლიდნენ გვარდს.

მეშეთალიმ სათაყვანებელ „ნათაშასთან“ გატარებული სამი წლის მანძილზე, არ იცოდა, და, ალბათ, ვერც ვერასოდეს გაიგებდა, რომ ადამიანები ოდითგანვე ხანმოკლე სიცოცხლის უკმარისობის გრძნობას მწვავედ განიცდიდნენ და იმ თავითვე ეს იყო. თემა არაერთი მითისა თუ ფანტასტიკური ზღაპრისა. ათასნაირად დახლართულ-დაკანძულები გეგმების სორცხესხმის გზაზე, ადამიანს არ ჰყოფნიდა ერთი ამოსუნთქვის ხანგრძლივობის წუთისოფელი და ამით გაღიზიანებული, ქმნიდა სფინქსის — მარადი გაახალგაზრდავებისა თუ უკვდავების მაძიებელი ჭაბუკის ფაფრავებით აღსავსე სიუჟეტებს და ასე იკლავდა სიცოცხლით გაუმადლობის უნს. მითების ეპოქის ადამიანებმაც, ჩანს, ჭერ კიდეც სრულად არ იცოდნენ, რომ უკვდავება ეს იგივეა. რაც ერთი ადამიანის მომდევნო თაობებში გასახიერება. თაობათა ცვლის ამ პროცესში, ერთი ცალკე აღებულ თაობის სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთი წელიწადი იმ დიდი ჯაჭვისა, რასაც წინა

თაობები ქმნიან. უამისოდ, ცალკე ადამიანის ერთი სიცოცხლე მხოლოდ ნაწილია დიდ სიცოცხლისა.

მეშეთალის არ მიამაღლა ბუნებამ ამ საყუთარი მემკვიდრის გაჩენის უნარი და ამიტომაც იგი წინაპრებისაგან შეკრული ჯაჭვის ბოლო, დამამთავრებელი რგოლი აღმოჩნდა დიდი სიცოცხლის გზაზე. ამ გარემოებამ უფრო აძულა ქალი, გაქცეოდა უმემკვიდრეოდ ღარჩენილი ადამიანის უინტერესო ცხოვრების სიცარიელეს და ფანტასტიკური ზღაპრების გმირების მსგავსად, უკვადეების საძებნელად გაჰყოლოდა ქაბუკოფიცერს.

ქალაქელ ბავშვებს რა გამოეპარებათ... არავინ იცის, როგორ გაიგეს მეშეთალისა და ნატაშას უკანასკნელი საღამოს ამბავი... მოკრავდნენ თუ არა თვალს ქუჩაში მიმავალ, თმა-წვერ-ულვაშს გაბურჭვნილ მეშეთალის, შორიასხლოს ფესპაკრფით აედევნებოდნენ და დახცინოდნენ.

თავიდან ფრჩხილებამდე ვულკანისებური მდუღარება დაუფლიდა მეშეთალის ტანში, სწრაფად შეკრავდა კამარას, მაგრამ ბავშვები მყისვე ამოფარებოდნენ სამალავს და ასე შიშობდებოდა ხშირად, ერთ-ორჯერ სამუშაოზეც სცადა გასელა, მაგრამ საქმეს გული ვერ დაუდო. ერთჯერ, ფიქრებში წასულმა, წერაქვი დაირტყა სეფზე და კინაღამ თითი წაიგლიჯა, მერე და მერე მეზობლები და ნაცნობ-მეგობრები აჰმევდნენ სამადლოდ. ტანსაცმელი ჩამოეძონდა, თმა და წვერი შეერდნა და მხარბექს უფარავდა. არავისი შეხედვრა აღარ უნდოდა და არაფერი აღარ ახარებდა.

...ზღვისპირა ქალაქში ყოველდღე იმდენი სახსლე და საზრუნავი იჩენდა ზოლმე თავს, რომ დროთა ვითარებაში, უთვისტომო მეშეთალისათვის ადარების ეცალა და მისი სატაშაც დაავიწყდა ყველას, ან კი, ვის ჰქონდა დრო ერთ გულუბრყვილო, გაუბედურებულ კაცზე ფიქრისათვის, როცა ქვეყანა იყო დაქცევის კარზე მისული. ბათუმში ხან თურქი ასკერები დალაგებდნენ ქუჩებში, ხან ფრანგები და ხანაც ინგლისელები, ღვნიკისი აწყვეტილი ნავაზივით მოიწევდა ამიერკავკასიისკენ და სულთმოპოვებ რეკსპუბლიკებთან კავშირში აპირებდა რუსეთის გადაჩენას „წითელი საფრთხისაგან“.

საქართველოს მენშევიკი მესეფერები შესაშური პირფერობით მასპინძლობდნენ და ფუჭქვეშ ეგებოდნენ ყველა ჯურის „მოკავშირეს“, რომლებიც, თითქოს, სტუმრად შემოდიოდნენ, მაგრამ შემოსვლისთანავე მასპინძლობას ჩემულობდნენ ზოლმე.

* * *

ერთ დამეს უცნაური სიზმარ-ცხადი ნახა მეშეთალიმ: იჭლა დიდი, მაღალი სახლის ლაშაზად მორთულ ვრცელ დარბაზში. სახლის ირგვლივ ნაყოფით დახუნძლული, ცადაწვდენილი ხეები იდგა. ლაღად გაეშალათ ტოტები ამ ხეებს... თვალისმომკრელად ელადა და ყურისწამებდალ ქუბდა. ტყვიისფერი მძიმე ღრუბლები ხან საღ და ხან საღ გაირღვეოდა და საშინელი გრუზუნითა და სრიალით ცვიოდა ციდან ქვა და ღორღი. იღეწებოდა და იმსწვრებოდა ხის ტოტები... მერე სახლისკენ გადმოინაცვლა გრვინვა-გრიგალმა. ზედ სახლის თავზე ფართოდ დააღო პირი შავზე უშავენმა ღრუ-ბელმა და ქვა-ღორღმა ჩამოლექა სახურავის ნახევარი. ირწეოდა სახლი და სადაცა მთლიანად ჩამოიქცეოდა... მეშეთალიმ გარეთ გამოსწლა დააპირა, მაგრამ აღგლიდან ფესს ვერ იცვლიდა... უნდოდა ეყვირა, შეეღა ეთხოვა და ხმა აღარ ამოდიოდა ყელიდან... თავშარდაცემულს გამოედგა... ქექლა, ღრიალებდა და ღმუოდა ზეცა, ცახცახებდა და ირწეოდა მიწა, სადაცა, მოზულრავე ტალღები ზღვის სიღრმეში შეაცურებდნენ ქალაქს.

ქარბორბალა დავლურს უფლიდა ქალაქის თავზე, სახლებს სახურავებს აგლეჯდა და ნამუსრევებს აბორგებულ ზღვას აყრიდა შემოდან. აიყალყებოდა მთისოდენა

ჭვირთი, თავს ოდნავ მოიდრეკდა და საშინელი ძალით ეწყვეტებოდა ნაპირს. ხენმო-
და, ქშინავდა და ხრიალებდა ჭვირთებში არეული ქვიშა და ზრეში... მერე ზედნა-
პირთან ჩამოეკიდა ქარბორბალა. ერთ ადგილზე ციბრუტივით ტრიალებდა და სტვენის
მსგავს ხმას გამოსცემდა. ბოლოს გრძელი სორთუმი გამოარიადა გაფუფულ, უზარ-
მაზარ სფეროს და ძაბრივით ჩაუშვა გავეშენული ზღვის ყველაზე მაღალ ჭვირთში.
მთიური ურჩხულოვით სვრტდა და ისრუტავდა მარილიან წყალს სორთუმი, ბუჟბუ-
ჟებდა და ზრტინებდა, იცხებოდა და იბერებოდა. მერე ნაპირთან ერთხელ კიდევ დაბ-
ზრიალდა, ერთი სხვა, უფრო მოწყვრ საცეცი მიწამდე ჩამოუშვა, მეშეთალი და ყვე-
ლაფერი, რაც გზაზე შენვდა, ქათმის ბუმბულოვით აიტაცა, იმ დიდი სორთუმით ამოხ-
ვრტეილ ზღვის წყალში შეაგდო და ზღვისკენ მოიქნია კული, რხევა-რწევითა და უჩვე-
ულო გრაციით სცილდებოდა ნაპირს, ასიოდე საუენიც არ ექნებოდა გავლილი, წყლით
დამძიმებულს, ტანი უფრო ჩაშოუგრძელდა, ჩამოგნერა, ჩამოუწვრილდა, ჩამოგრდვა
და მთელი ის ამოხვრტეილი წყალი ზღვასვე დაუბრუნა. სანახევროდ გაგუდული მეშე-
თალი, ზღვის ერთ-ერთ ტალღას რომ დაასკდა, უკვე აღარ სუნთქავდა.

ბუნებასაც სული უდგასო, ამოხვდა პოეტი. არავინ იცის, მდინარეებსაც თუ აქვთ
სული და თუ კი აქვთ, მაშინ სად იტევს მდინარე ქოროზი ასეთ ბოზოქარ სულს რაც
იმ ქალასა და შემართებას სჭირდება, ზოგჯერ რომ ავლენს სოლმე. ისე გა-
ცოვდება და აიქორება, კალაპოტში ველარ ეტევა და რომ მიუშვა, ახლო-მახ-
ლო ყველაფერს ჩანთქავს და წაღეკავს. აღბათ. ამიტომაც უფრთხიან და ერი-
დებიან ქოროზს.

ქოროზის ზნე და ბუნება პერსონიფიცირებული იყო ყოფაში. მას სახელე-
ბიც, აღბათ, სასიათის შესაბამისად ჰქონდა შერქმეული. ბიზანტიელი ისტორიკოსის
პროკოპი კესარიელის ცნობით, ჭანეთის მთიდან ჩამოდის მდინარე, სახელად, „ბოასი“,
რომელიც, მას შემდეგ, რაც გამოივლის მრავალ ქალასა და შემოუვლის მთავარიან
ადგილებს. ლაშთა სოფლების მახლობლად გასწევს და ერთვის ეგრეთწოდებულ ევ-
ქსინის პონტს (შავ ზღვას), მაგრამ უკვე აღარ ეწოდება „ბოასი“ მას... ადვილობრივი
მცხოვრებლები აკამფსისს უწოდებენო.

მაშასადამე, აკამფსისიც იგივე ბოასია, უფრო სწორად, ბოასის (ქოროზის)
ჩრდილოეთი ტოტია. მეორე, მცირე სამხრეთის ტოტს აფსარი, აფსარუხი ერქვა და
განა მართო ეს? ქართულ და უცხოურ წყაროებში რამდენნაირი სახელი არ რქმევია
ქოროზს. თავდაპირველი, უძველესი სახელი ჰარპასოსია, ბოასი, სპერი, კაკამარი,
აკამფსისი, ფასისი, ბევრიაო, შეიძლება იფიქროს ვინმემ. რატომ? ქოროზისთანა შე-
მართების მდინარეს ერთი ამდენიც რომ ერქვას, ეფიქრობთ, მაშინაც არ იქნება
ბევრი.

მდინარის ზემო წელზე მთას, ქოროზის ერთ-ერთ შესართავს, მდინარე წყალგველას
რომ გასდევს და ქოროზის ხეობას რომ დაჰყურებს, დღესაც ჰარპასონის მთას უწო-
დებენ.

ქოროზი ზღაპრული ურჩხულოვით არის გაწოლილი მთელს ხეობაში, საზარლად
იკლავება და იგრიბება, სმაურითა და ღრიალით ზევას უწვდენს ხმას და რასაც
მოახეტოებს, ყველაფერი ზღვაში მიაქვს. საუკუნეები დასჭირდა მთიდან მოხეტოილ
ამ ძალუმ მდინარეს ზღვასთან ჭიდილში, რომ ცოცა მაინც უკან დაეხევიენებინა, და
აბერნებდა კიდევ. მთარღვევდა ზღვის უბეს და ფართო მღვრიე ზოლად მიიწევდა
მისი შუაგულისაკენ... თავის მხრივ უბჭინდებოდა თაენება მოძალადეს, თრგუნავდა,
ათვინიერებდა და აურევდა...

მეძეთალისათვის იმ საბედისწერო ღამესაც შავზე უშავესი ღრუბლები მძიმედ ჩამო-
წოდლიყო ქოროზის თავზე. ყალყზე შემდგარი მდინარეც სადაცაა, მთელს ხეობას
ჩამოხვტავდა და ჩამორტყავდა... მეორე დღესაც ცა მიწას ერთვოდა. ზოგჯერ

მზე გამოარდევდა ღრუბლების ჯავშანს, მაგრამ ღრუბელი მალევე შეიკრავდა პირს, რომ მნათობი მოწმედ არ გაეხადა ქვეყნის დაქცევისა.

სწორედ იმ მეორე ღამეს შეუნგრია ურჩხულად ქცეულმა მდინარემ დინების მარცხენა მხარეს ერთ პატარა ქართულ სოფელს გულ-მუცელი და გაცოფებულ ზვირთებში ჩაითრია უველაფერი, რისი მოხვეტა და გამოშვებაც შეძლო. მერე მთელი ღამე მიაგელვებდა ზღვისკენ ტალახიან ზვირთებზე შემოგდებულ ფიცრული სახლების ნამსხვრევებს, საოჯახო ჭურჭლებს, ფესვებიანად ამოგლეჯილ ხეებსა და დამხრჩვალ პირუტყვს... ერთნაირად იყო არეული ქალების, კაცებისა და აკვნებში ჩაკრული ძუძუთა ბავშვების გვამები... მთელი ღამე თავში ხელების ცემითა და წივილ-კივილით ნაპირნაპირ მოუვებოდნენ გაცოფებული ჭოროხის შმაგ დინებას რაღაც სასწაულოთ გადარჩენილი, წვიმის წყლით გალუშპული, ტალახში მოსვრილი დამხრჩვალთა ჭირისუფლები და ანდოლები...

მოიკლა თუ არა ჭოროხმა ავკაცობის უინი, გრიალითა და გრუხუნით ჩამოცალა ფრთებშესხმული, ატალახებული ზვირთები ზღვის აქაფებულ უბეში და აზის შემდეგ, ალბათ, რამდენიმე ხნით მაინც დააწყობდა თავის წასულ-მოსულ წენს. ზღვის უოვლის-შშთანთქავი, ბობოქარი ტალღებიც, თითქოს არაფერი მომხდარაო, ნელა, სულ ნელა ირწყოდნენ და ლაქუციით ლოკავდნენ ნაპირს... მერე, როცა ამ წარღვის შემდეგ, მზე ზღაპრული შუეთუნახავივით გადმოდგა ბათუმის გორაზე, ღარიბთა უბნების ქოხმახებიდან ჭიანჭველებივით გამოიშეურდნენ ადამიანები და რამდენიმე ადგილზე ერთად თავი მოუყარეს გულბოროტი ჭოროხის მიერ ზღვაში ჩატანილ და ახლა უკვე ზღვის მიერ ნაპირზე დაბრუნებულ ათასნაირ ნამუსრევს. ნაპირიდან ასიოდე ნაბიჯის მოშორებით, ქალაქის ერთ-ერთ გაუქმებულ სასაფლაოზე, მიწას ზიპარეს ათიოდე ცხედარი...

დაზარალებული სოფლის მკვიდრნი, დედაწულიანად რომ ჩამოჰყლოდნენ შმაგი ჭოროხის დინებას სოფელ მირვეთამდე, არადადამიანური თავგანწირვით გადმოეგლოთ მთები და ღრანტეები, გამოერღვიათ ეკალ-ბარდები, გამოეტკაათ მთის აწვევტილი მდიხარეები, ახლა მორყეულ ბორანზე შეეყუჟული გადმა ნაპირისკენ მიაცურებდა ცალხელა მებორნე ჭინიძე. ჭრიალითა და ჯაჭვების უღრიალით უახლოვდებოდა ბორანი ნაპირს, მითოსურ ქარონს.

ნაშუადღევს მოაღწიეს ნასაფლაოზე ჭირისუფლებმა. თმაგაშლილი ქალები ისორავდნენ გულმკერდს და იგლეჯდნენ თმებს. ჯმუხი, ძვალმსხვილი, თვალებში სისხლჩამდგარი, დაბღვერილი მამაკაცები, მოტირალთა ტრადიციისამებრ შავი ბაფთები რომ ჰქონდათ შემოკრული შუბლზე, საფლავებიდან მძლავრი ხელებით ბლტავდნენ და თავზე იყრიდნენ ჭვინას... რომ ჩაეკლათ გულიდან ამოხეთქილი ღმუფილი, მუჭით პირში იყრიდნენ სილას, ღეჭავდნენ და კბილებს იმტვრევდნენ კაჟის წვრილ-წვრილ ნამუსრევებზე...

მზე თვალს უხუჭავდა ამ საშინელი ჯოჯოხეთის ვეებს და წითლად აღანძული, ღამის სათევად ეშვებოდა თვალსაწიერის გადღმა...

იღვა 1921 წლის გაზაფხულის პირველი თვე.



ჯემალ სურგანიძე

ბექირ ბათენაძე

წიგნი

მეშუტარეები

ცოლნა არის დიდი განძი,
წიგნი — ცოდნის წყარო.,
ჩვენი დიდი მეგობარა,
ძღვენი სანეტარო.
მისი ძალა უსაზღვროა,
კაცთა მოღმას კეებავს,
ნააზრევს და გულისნადებს,
ნაირფერად ღებავს.
წყურვილს გიკლავს, აღზევდება,
გაიხარებს გული,
და, ყველამ განიცადოს
წიგნის სიყვარული!

ჯაფა ადგას ილოს —
თაფლი უნდა ხილოს,
ვემო უნდა გაუსინჯოს,
პირი ჩაიტკბილოს.
უცებ სკასთან გაჩნდნენ:
ლადო, ლოლა, ლილი.
ყველას უნდა ჰქონდეს
დღეს შრომაში წვლილი.
მოიხილეს თაფლი,
გემრიელი, ტკბილი...
სათითაოდ ყველას
ერგო თავის წილი.

სიცინო ზივზივაძე

ნინოს სიხარული

დღეს პირველად ნინიკო
მიიყვანეს ბაღში,
პეპელას ჰგავს და ფრთებსაც
სიხარულით გაშლის.
კუდრაჭები ღიმილით
უყურებენ ნინოს,
თანაც ლაპარაკობენ:
ვინ მოსულა, ვინო!



ცას მისი კვალი აჩნია

გაზეთ „ლენინსკოე ზნამის“ 1981 წლის 23 აპრილის ნომერში მოთავსებული იყო დიდი სამამულო ომის მონაწილის ა. ბირგერის წერილი „ჰაერშია მოიერაშე თავაძე“. ავტორი წერდა, რომ ფეოდოსიაში ყოფნისას დაათვალიერა საქალაქო მუზეუმში. მისმა ექსპონიციებმა დააინტერესა. და აი, დოკუმენტებს შორის ნახა მოიერაშე მფრინავის კაპიტან დავით თავაძის ფოტოსურათი.

ავტორი მოკლედ აცნობდა მკითხველს შამაყი შევარდენის საბრძოლო გზას და მის თანამებრძოლებს მოუწოდებდა გაზეთის ფურცლებზე ვრცლად გაეშუქებინათ გერმანული ფაშიზმის განადგურებაში მისი წვლილი.

დავით თავაძის ცხოვრების გზა ჩვენს ქალაქში დაიწყო. დავითმა 1936 წელს საშუალო სკოლა დაამთავრა და კომკავშირული საგზურით ბათუმის აეროკლუბში ჩაირიცხა, სადაც სამუშაოს მოუწყვეტლივ სწავლობდა. განსაკუთრებული გულისყური გამოიჩინა და კურსი წარმატებით დაასრულა. ერთხანს იქვე, აეროკლუბში, დატოვეს ინსტრუქტორად, მერე კი ხერსონის საავიაციო სასწავლებელში გაგზავნეს. სასწავლებელი 1939 წელს დაამთავრა და მფრინავ-ინსტრუქტორის სპეციალობასთან ერთად უმცროსი ლეიტენანტის წოდებაც მიიღო.

ჩვენს სამშობლოს მკაცრი განსაცდელის ქაში დაუდგა. ომის პირველივე დღიდან სამხედრო ავიაციაზე განსაკუთრებული იმედები დამყარეს. სწამდით, რომ ჩვენი შამაყი შევარდენები მოსვენებას არ მისცემდნენ ვერაგ მტერს, დაუნდობლად გაჟღერდნენ ჰაერში, მიწაზე და წყალში. მფრინავები ამ მისიას ბრწყინვალედ ასრულებდნენ.

დავით თავაძემ საბრძოლო ნათლობა სტალინგრადის ველზე მიიღო. გზა აქედან ბერლინამდე „ილ-2“ თვითმფრინავით გაიარა.

სხვებთან ერთად თავდაუზოგავად ჩაება ბრძოლაში საიერში ავიაპოლკის რტოლი, რომელსაც დავით თავაძე მეთაურობდა. მისი დარტყმები მიზანს არ სცდებოდა. იწვოდნენ ფაშისტთა ტანკები და ავტომანქანები, ფეთქდებოდნენ სარკინიგზო ემულონები, ინგრეოდნენ ხანგრძლივი საცეცხლე წერტები და ძელმიწურები.

საავიაციო შენაერთის უფროსი გენერალი ტ. ზრიუკინი აღფრთოვანებული იყო დავით თავაძის მამაცობით. სახელოვანმა მფრინავმა აქ მიიღო პირველი ჯილდოები — წითელი დროშის ორდენი და მედალი „სტალინგრადის დაცვისათვის“.

სტალინგრადთან რომ მტერი დამარცხდა, დავითს საავიაციო ესკადრილია ჩააბარეს და მეოთხე საჰაერო არმიაში გადაიყვანეს, რომელსაც გენერალ-პოლკოვნიკი კ. ვერშინინი სარდლობდა. ტამანის ნახევარკუნძულზე სადესანტო ნაწილების გადასახმისას ესკადრილიამ განსაკუთრებით ისახელა თავი.

1943 წლის გაზაფხულისათვის საბჭოთა სარდლობა მცირე მიწაზე სადესანტო ნაწილების გადასახმელად ემზადებოდა. დავით თავაძის ესკადრილიას ებრძანა ქალაქ ბატისკთან მტრის „ციხფერი ზაზის“ დაზვერვა. მფრინავებმა მეტად მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვეს. სწორედ მაშინ გახდა დავით თავაძე დიდი ლენინური პარტიის წევრი. დაწერა განცხადება, რომ სურდა სამშობლოსათვის ებრძოლა როგორც კომუნისტს. პარტილეთი პირდაპირ მორიგი საბრძოლო გაფრენის დროს გადასცეს. იმ დღეს მტრის თვითმფრინავიც ჩამოაგდო და ცოცხალი ძალა და ტექნიკაც მოსპო.



ყუბანისათვის ლაშქრობაში დავითის ესკადრილიამ სამსჯე მეტი საბრძოლო გად-
რენა განახორციელა. მტერი მთებში გამაგრებულიყო. მისი საცეცხლე წერტილები
ძლიერ აფერხებდა საბჭოთა ნაწილების წინსვლას. თავადის ესკადრილიას ამ უბნის
ჩაწუმება დაევალა. ფაშისტებმა გრიჯალისებური ცეცხლი შეაგებეს, მაგრამ საბჭოთა
მფრინავები პიკირებით დაეშვნენ მტრის სიმაგრეებისაკენ და ყუმბარები დააყარეს.
საბრძოლო დავალება სანაქებოდ შესრულდა. მამაცი მეთაურის მკერდი სამამულო
ომის პირველი ხარისხის ორდენმა დაამშვენა.

1943 წლის შემოდგომაზე მე-18 არმიამ ქალაქ ქერჩში, ელტიგენის რაიონში,
დესანტი გადასხა. დავითის ესკადრილია მაღლიდან იცავდა საბჭოთა გემებს, სადესან-
ტო ნაწილებით ნაპირისკენ რომ მიეშურებოდნენ. იგი იმდენად ეფექტიანად მოქმე-
დებდა, რომ მეთაურის ვინაობით არმიის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი კონსტან-
ტინე ლესელიძე დაინტერესდა. მან მამაც მფრინავს წითელი ღროშის მეორე
ორდენი გადასცა.

ქერჩი რომ დაიხსნეს, დავითის ესკადრილია იალტის, ფეოდოსიისა და სევას-
ტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ჩაება, ოსტატურად ჩაძირა ნავსაღ-
გურში ფაშისტების თვითმავალი ბარჯა, ჩაძირა პირველსავე ცდაზე.

მტერთან შერკინებაში რამდენჯერმე დაიჭრა, მაგრამ განკურნების შემდეგ კვლავ
თავის ნაწილს უბრუნდებოდა და ჩვეული ოსტატობით ანადგურებდა ფაშისტებს.

სამშობლომ დიდად შეაფასა მისი საბრძოლო დამსახურება. სსრ კავშირის
უმალღესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 19 აგვისტოს ბრძანებულებით მაიორ
დავით თავაძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

გმირის დამ ზინაიდა ფრონტიდან ასეთი შინაარსის წერილი მიიღო: „მაიორ
ბახტინის ნაწილის პირადი შემადგენლობა გიგზავნით თქვენ, ძვირფასო ზინაიდა
ელიზბარის ასულო, მხურვალე ფრონტულ საღამს და გილოცავთ თქვენი ძმის მაიორ
დავით ელიზბარის ძე თავაძისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებას.
თქვენმა ძმამ, მაიორმა თავაძემ, ბოლშევიკური პარტიის მიერ აღზრდილმა, გერმანელ
დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომში რომ მონაწილეობს, შეუპოვარი ბრძოლე-
ბით გაიარა გზა სტალინგრადიდან შავ ზღვამდე და 129 წარმატებული საბრძოლო
გაფრენა მოახდინა, საბომბდამშენო და საიერიშო მოქმედებით მოსპო და დააზიანა
მოწინააღმდეგის 26 ტანკი, 176 ავტომანქანა, ჩაახშო 31 საზენიტო წერტი, მოსპო
39 საველე ქვემეხი, დაანგრია 19 ძელმიწური, საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, მოს-
პო 2 ორთქლმავალი და 21 სარკინიგზო ვაგონი, საპაერო ბრძოლებში ჩამოაგდო 10
თვითმფრინავი.

ომის განმავლობაში მან დიდი გზა განვლო. ნაწილში მოვიდა უმცროს ლეიტე-
ნანტად, ახლა მაიორია. მკერდს უმშვენებს ორი წითელი ვარსკვლავის, ალექსანდრე
ნეველის, საამულო ომის პირველი ხარისხის ორდენები და მედლები.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო
დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან პირადი მამაცობისა და გმირობის
გამოჩენისათვის მაიორ თავაძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და ვა-
ლენტი ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავის“ მედალი.

სამამულო ომის დამთავრებამდე დავითმა კიდევ 26 საბრძოლო გაფრენა განა-
ხორციელა, კიდევ ერთი წითელი ღროშის ორდენი მიიღო.

პირადად მან ჰაერში 1.570 გრძელი საათი დაჰყო!

ცას მისი კვალი აჩნია!
თავისი სიყრმის ქალაქში — ბათუმში მუდამ გულთ მოუხაროდა. აქ უამრავი
ნათესავი და ახლობელი ჰყავდა. ამიტომ იყო, ყველას გული დასწყევია 1979 წლის
18 ივნისს მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ.

საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტისათვის

პროლეტარიატის დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი მოითხოვდა რა ყველა ერისა და ეროვნების თანასწორუფლებიანობას, ერთა თვითგამორკვევის უფლებას, ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე აღნიშნავდა: „ჩვენ მოვიტხოვთ ჩაგრული ერების თვითგამორკვევის თავისუფლებას, ესე იგი, დამოუკიდებლობას, ესე იგი, გამოყოფს თავისუფლებას არა იმიტომ, რომ ვიცნებოთ სამეურნეო დაქუცმაცებაზე ან პატარა სახელმწიფოთა იდეალზე, არამედ პირიქით, იმიტომ, რომ ჩვენ გვინდა დიდი სახელმწიფოებისა და ერების დაახლოება, შეერთებაჲ კი, ოღონდ ჭეშმარიტად დემოკრატიულ, ჭეშმარიტად ინტერნაციონალისტურ ბაზაზე, რაც წარმოუდგენელია გამოყოფის თავისუფლების გარეშე“.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „დიდ სახელმწიფოთა უპირატესობანი როგორც ეკონომიური პროგრესის თვალსაზრისით, ისე მასების ინტერესთა თვალსაზრისით ექვეს გარეშეა“.

როგორც კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ვ. ი. ლენინიც ეროვნული საკითხის გადაწყვეტას უკავშირებდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. ის ხაზს უსვამდა იმ ჭეშმარიტებას, რომ კაპიტალიზმის დროს ეროვნული ჩაგვრის მოსპობა შეუძლებელია, რომ ეროვნული ჩაგვრა მოისპობა მხოლოდ სოციალიზმის დროს. როგორც კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ისე ვ. ი. ლენინი ეროვნულ საკითხს პროლეტარული რევოლუციის საკითხის შემადგენელ ნაწილად თვლიდა, კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს უმორჩილებდა, ეროვნული საკითხის გადაწყვეტას შესაძლებლად თვლიდა კლასობრივი ანტაგონიზმის დამსხოვის, პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ.

ვ. ი. ლენინის, ბოლშევიკების მოთხოვნას ეროვნული თვითგამორკვევის აღიარების შესახებ თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, ერთა თანასწორუფლებიანობა და სუვერენიტეტს, ეროვნული ჩაგვრისა და ხალხთა შორის უნდობლობის აღმოფხვრას დასაბამი მიეცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობამ მიმართვაში მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი განაცხადა, რომ საბჭოთა ხელისუფლება უზრუნველყოფს რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერისათვის თავისუფალი განვითარებისა და თვითგამორკვევის უფლებას. აღიარებდა ყველა ერისათვის დამოუკიდებელი, სუვერენული არსებობის უფლებას. რუსეთის იმპერიის ხალხები გათავისუფლდნენ ეროვნული ჩაგვრისაგან, მათ მიეცათ თვითგამორკვევის უფლება თვით დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე. გაჩნდა რეალური პირობები თანასწორუფლებიან ხალხთა ნებაყოფლობითი სახელმწიფოებრივი გაერთიანებისა. 1917 წლის 15 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა ერთ-ერთი პირველი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო დოკუმენტი „რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაცია“, რომელშიც ფორმულირებული იყო საბჭოთა მთავრობის ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები: რუსეთის ხალხთა თანასწო-



რობა და სუვერენობა, თვითგამორკვევის უფლება გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე, ყოველგვარი ეროვნული პრივილეგიებისა და შეზღუდვების უქმება, თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფა ეროვნული უმცირესობისა და ეთნოგრაფიული ჯგუფებისათვის.

საბჭოთა მთავრობამ, თვითგამორკვევის უფლებას რომ ახორციელებდა, აღიარა ფინეთისა და პოლონეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის ქვეყნების და რუსეთში შემავალ ყველა ერს მიეცა თვითგამორკვევის უფლება. საბჭოთა რუსეთის მტრები იმედოვნებდნენ, რომ კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად რუსეთი დაიშლებოდა და ბუნებრივად, ამით მოისპობოდა საბჭოთა ხელისუფლება და აღდგებოდა ბურჟუაზიული წყობილება. მაგრამ ისინი მალე დარწმუნდნენ, რომ ღრმად შეცდნენ ნაადრევი დასკვნების გამოტანაში. ვ. ი. ლენინი თავის სიტყვაში მიმდინარე მომენტის შესახებ სრულიად რუსეთის სამხედრო ფლოტის პირველ ყრილობაზე 1917 წლის 22 ნოემბერს, უბასუხებდა რა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს, ამბობდა: „გვეუბნებიან, რუსეთი დაქუცმაცდება, დაიშლება ცალკეულ რესპუბლიკებად, მაგრამ ჩვენ ამის არ უნდა გვეშინოდეს. რამდენიც უნდა იყოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ჩვენ ამის არ შეგვეშინდება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ სად გადის სახელმწიფო საზღვარი, არამედ ის, რომ შენარჩუნებულ იქნეს ყველა ერის მშრომელთა კავშირი ყოველგვარი ერის ბურჟუაზიასთან საბრძოლველად“.

და მართლაც, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მშრომელთა კავშირი ისე მტკიცე და ურღვევი იყო, რომ წარმატებით ანგრევდა ყოველგვარ დაბრკოლებას და ისწრაფებოდა საბჭოთა რუსეთთან ერთიანობისაკენ. „მე ღრმად ვარ დარწმუნებული, — წინასწარ. მეტყველებდა ვ. ი. ლენინი საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობაზე, — რომ რევოლუციური რუსეთის ირგვლივ სულ უფრო და უფრო შემოიკრიბება თავისუფალი ერების ცალკეული სხვადასხვა ფედერაცია. სრული ნებაყოფლობით, სიცრუისა და მახვილის გამოუყენებლად, გაიზრდება ეს ფედერაცია, და იგი უძლეველია“.

ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ სხვადასხვა ერის მშრომელი მასების უნდობლობა მთლიანად გაფანტულიყო და შეცვლილიყო შევსებული და ნებაყოფლობითი კავშირით, რასაც ყველა ერისა და ეროვნების ინტერესები მოითხოვდა. ასეც ხდებოდა, რუსეთის სფსრ გარშემო სულ უფრო და უფრო ერთიანდებოდნენ ახლად წარმოშობილი საბჭოთა რესპუბლიკები. სრულდებოდა ვ. ი. ლენინის წინასწარხედვა, რომ სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებული სხვადასხვა ერის მშრომელები თვითონ არ მოისურვებენ იზოლირებულად ცხოვრებას, რომ ისინი გაერთიანდებიან მოწინავე სოციალისტურ ერებთან.

ერთა ნებაყოფლობითი კავშირის შექმნის გზაზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს, რომელიც ჩამოყალიბდა სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის დროს. 1919 წლის გაზაფხულზე ვ. ი. ლენინმა დაწერა „პროექტი ცენტრალური კომიტეტის დირექტივისა სამხედრო ერთიანობის შესახებ“, რომელშიც მითითებდა, რომ რუსეთის სფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ხალხებს ეწარმოებინათ თავდაცვითი ომი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის თეთრგვარდიული კონტრრევოლუციისა და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერვენციის წინააღმდეგ.

1919 წლის 1 ივნისს სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დეკრეტი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ საერთო მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. შეიქმნა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო ერთიანობა, ერთიანი სამხედრო სარდლობა, ტრანსპორტის საერთო მმართველობა, სახალხო მეურნეობის გაერთიანებული საბჭოები. ყო-

ველივე ამან, ბუნებრივია, ხელი შეუწყო წითელი არმიის საბრძოლო წარმატებებს. „ჩვენ გვსურს ერების ნებაყოფლობითი კავშირი, — წერდა ვ. ი. ლენინი 1919 წელს — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, მჭერი ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობითს თანხმობაზე“. ფედერაციული წყობილების იმ დროს ჩამოყალიბებულ ფორმებს პარტია განიხილავდა როგორც გარდამავალ ეტაპს სხვადასხვა ერისა და ეროვნების მშრომელთა უფრო სრული ერთიანობისაკენ. 1919 წელს ვ. ი. ლენინი წერდა: „უფრო მეტი და გლეხებისადმი წერდა, რომ უნდა ვიპოოთ უმჯობესი კავშირით, ვინაიდან სათითაოდ ჩვენ, ალბათ, ვერ გავუძლებთო. მაგრამ, ამასთანავე, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ამ საქმეში საჭირო იყო სიფრთხილე, რათა არ აღმოცენებულიყო უნდობლობა საკავშირო სახელმწიფოს შექმნის იდეისადმი.

კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესისადმი „პირვანდელ მონაწილეობის“ თეზისებისა ეროვნულ და კოლონიურ საკითხებზე“ ვ. ი. ლენინი წერდა: „ფედერაციას რომ სრული ერთიანობისაკენ გარდამავალ ფორმად ვაღიარებთ, აუცილებლად უნდა ვისწრაფოდეთ უფრო და უფრო მჭიდრო ფედერაციული კავშირისაკენ“.

1920-1921 წლებში რსფსრ-სა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის დაიდო ორმხრივი ხელშეკრულებები როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკურ საკითხებზე. ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის თანამშრომლობამ მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლის პერიოდში მიიღო სამხედრო-სამეურნეო კავშირის ფორმა.

ეროვნულმა საბჭოთა რესპუბლიკებმა თავიანთი ერთიანობა გამოხატეს საერთაშორისო ასპარეზზეც, გენუის კონფერენციის წინ, 1922 წლის თებერვალში, მათ შორის დაიდო ხელშეკრულება დიპლომატიური გაერთიანების შესახებ. ერთიანი დიპლომატიური ფრონტის არსებობამ დიდი როლი შეასრულა შემდგომში სსრ კავშირის შექმნისათვის პირობების მოსამზადებლად.

ერთ მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების ლენინური იდეის განხორციელებაში, საბჭოთა რესპუბლიკებს შორის უმჯობესი კავშირის დამყარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის X ყრილობას. მან თავის ღადგენილებაში „პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ ნაციონალურ საკითხში“ მიუთითა, რომ „ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების იზოლირებული არსებობა მერყეობდა, სიმტკიცეს მკლებულია, რადგან მათს არსებობას კაპიტალისტური სახელმწიფოები ემუქრებიან, საბჭოთა რესპუბლიკების თავდაცვის საერთო ინტერესების, ერთი მხრივ, ომით დანგრეული მწარმოებლური ძალების აღდგენის ამოცანა, მეორე მხრივ, ეს საჭირო სასურსათო დახმარების გაწევა უბურო საბჭოთა რესპუბლიკებისათვის პურთან ჩესპუბლიკების მიერ, მესამე მხრივ, — დაყენებით გვიკარნახებენ ცალკეული საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ კავშირს, როგორც იმპერიალისტური მონობისა და ნაციონალური ჩაგვრისაგან ხსნის ერთადერთ გზას“. ყრილობამ აღნიშნა, რომ „თავისი“ და „უცხო“ ბურჟუაზიისაგან განთავისუფლებულ ნაციონალურ საბჭოთა რესპუბლიკებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ თავიანთი არსებობის დაცვა და იმპერიალიზმის შეერთებულ ძალებზე გამარჯვება, თუ ისინი მჭიდრო სახელმწიფოებრივ კავშირად გაერთიანდებიან, ანდა ისინი სრულებით ვერ გაიმარჯვებენ“.

და მართლაც, თუ უმჯობესი კავშირი არ დამყარდებოდა ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, შეუძლებელი იყო მათი არსებობა კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში. ასეთი კავშირი საშუალებას აძლევდა ახალგაზრდა ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკებს შეექმნათ ერთიანი, საერთო გეგმით მოწყობილი სოციალისტური მეურნეობა. ყველა ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკის შეგნებული ჰქონდა, რომ მათი

სახელმწიფოებრივი გაერთიანების გარეშე შეუძლებელი იყო დამოუკიდებლობის
შენარჩუნება.

საბჭოთა რესპუბლიკებს გაერთიანებისაკენ კარნახობდა აგრეთვე საბჭოთა ხელ-
სუფლების ხასიათი, საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივი ბუნება, ინტერნაციონალუ-
რი თავისი შინაგანი არსით, რომელიც მასებში ნერგავს გაერთიანების იდეას, აყენებს
მათ გაერთიანების გზაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ლენინური ეროვნული პოლიტიკის საერთო-სახელმწიფო-
ებრივი მასშტაბით განხორციელებას ხელს უწყობდა სრულიად რუსეთის საბჭოების II
ყრილობის დადგენილების საფუძველზე მუშათა კლასის დიქტატურის ერთ-ერთი უმ-
ნიშვნელოვანესი ორგანოს — ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატის შექმნა და
მისი მოღვაწეობა. კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეიქმნა ისეთი ორგანო, რომელ-
საც ევალებოდა ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის განვითარებინა თანამშრო-
მლობა, ეზრუნა მათი ეკონომიკური ინტერესებისათვის, ხელი შეეწყო ყველა ხალხის
მატერიალური და სულიერი განვითარებისათვის, ხელმძღვანელობა გაეწია ხალხთა
ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნისათვის, მოეზადებინა საბჭოთა რესპუბლიკე-
ბის ერთიან სოციალისტურ სახელმწიფოდ გაერთიანების ნიადაგი.

საბჭოთა ხალხების უფრო მაღალი სახელმწიფოებრივი გაერთიანების მომზადებაში
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას, რომლის იდეაც პირ-
ველად ვ. ი. ლენინმა წამოაყენა და უშუალო პრაქტიკული ხელმძღვანელობა გაუწია
მის ხორცშესხმას, ცნო ის უთუოდ საჭიროდ და პრინციპულად სწორად.

ამგვარად, დღის წესრიგში დადგა საკითხი რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბე-
ლორუსიის სსრ და ამიერკავკასიის სფსრ გაერთიანებისა ერთიან სოციალისტურ სა-
ხელმწიფოდ. ერ თიანობის პრობლემა მომწიფდა.

ეროვნულ საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთი-
ანებისათვის მურომელი მასების მოძრაობა, მოძრაობა ქვემოდან დაიწყო სსრ კავშირის
შექმნამდე გაცილებით ადრე. ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მოღვაწეები, ვ. ი.
ლენინის მოწაფეები, ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების
ცენტრალუ ზი კომიტეტები ეძებდნენ რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ
რესპუბლიკასთან თავიანთი რესპუბლიკების გაერთიანების საუკეთესო გზებს, ფორმებსა
და მეთოდებს. ამიტომ იყო, რომ ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების
საკითხი ყველა რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა თითქმის ერთდროულად
დააყენეს. 1922 წლის პირველ ნახევარში რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუ-
სიისა ჯა ამიერკავკასიის ფედერაციის პარტიულმა ორგანიზაციებმა რკპ(ბ) პარტიის
ცენტრალური კომიტეტის წინაშე დააყენეს საკითხი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის
უფრო მტკიცე სახელმწიფოებრივი კავშირის განვითარების აუცილებლობის შესახებ.
რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბურომ 1922 წლის 10 აგვისტოს მიიღო ვა-
დაწყვეტილება სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ.

კომისიას უნდა შეემუშავებინა კონკრეტული ღონისძიებანი ეროვნულ საბჭოთა
რესპუბლიკებს შორის სახელმწიფოებრივი ურთიერთობის შესახებ. კომისიის შემად-
გენლობაში შევიდნენ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, უკრაინის, ბელორუსიის, საქა-
რთველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის, ბუხარი-
სა და ზორგზმის ცენტრალური კომიტეტების წარმომადგენლები.

დამოუკიდებელი ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთდამოკიდებულე-
ბის ღონისძიებათა პროექტის შესამუშავებლად შექმნილი კომისიის მასალები 1922
წლის 25 სექტემბერს გადასცეს ვ. ი. ლენინს, რომელიც ამ დროს ავად იყო და გო-
რაკში იმყოფებოდა. ვ. ი. ლენინმა, როგორც კი გაეცნო კომისიის მასალებს, მეორე
დღევე პოლიტიბუროს წევრებს გაუგზავნა წერილი. ვ. ი. ლენინმა რკპ(ბ) ცენტრა-

ლური კომიტეტის პოლიტიუროს წევრებს წინადადება მისცა, რათა გაერთიანებული მთავარ იდეას მიცემოდა ისეთი ფორმულირება, რომ დამოუკიდებელი საბჭოთა კავშირი რესპუბლიკები რუსეთის ფედერაციაში კი არ შესულიყვნენ, არამედ რუსეთის სხვს რესპუბლიკასთან ერთად გაერთიანებულიყვნენ ახალ სახელმწიფოებრივ კავშირად. ვ. ი. ლენინი მითითებდა, რომ დამოუკიდებელი საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების კავშირის შექმნამ არ უნდა მოსპოს მათი დამოუკიდებლობა და ამით არ მისცემოდათ საკვები „დამოუკიდებლეს“, არამედ შექმნილიყო უფრო ახალი სართული თანასწორ-უფლებიანი რესპუბლიკების ფედერაციისა. „ჩვენ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — თანასწორუფლებიანად ვცნობთ თავს უკრაინის სსრ-სთან და სხვებთან და მათთან ერთად და მათთან თანაბრად შევდივართ ახალ კავშირში, ახალ ფედერაციაში — ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში“.

ამგვარად, ვ. ი. ლენინმა წამოაყენა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის გენიალური იდეა თითოეული რესპუბლიკის თანასწორუფლებიანობის შენარჩუნებით, რითაც პრინციპულად ახალი საფუძველი ჩაეყარა სუვერენული რესპუბლიკების ერთიანობას. ისტორიაში პირველად იქნა აღმოჩენილი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ახალი ტიპი. ამ იდეით ვ. ი. ლენინმა მარქსიზმის თეორიაში, სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის პრაქტიკაში უდიდესი წვლილი შეიტანა.

ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე შემუშავდა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი გაერთიანების პროექტი, რომელიც ერთხმად მიიღო რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1922 წლის 6 ოქტომბერს. პლენუმმა მთლიანად დაუჭირა მხარი სსრ კავშირის შექმნის ლენინურ იდეას და მიიღო დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: „საჭიროდ ჩაითვალოს ხელშეკრულების დადება უკრაინას, ბელორუსიას, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციასა და რსფს რესპუბლიკას შორის „სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში“ მათი გაერთიანების შესახებ თვითღებული მთავანისათვის „კავშირის“ შემადგენლობიდან თავისუფლად გასვლის უფლების დატოვებით“. პლენუმმა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კომისიის დაავალა, რათა შეემუშავებინა კანონის პროექტი სსრ კავშირის შექმნის შესახებ საბჭოების ყრილობაზე განსახილველად.

სსრ კავშირის შექმნის ლენინურ იდეას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი და მოიწონეს ყველა საბჭოთა რესპუბლიკის კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ყველა მშრომელმა. იგი მთელი ქვეყნის მასშტაბით საყოველთაო-სახალხო გამაერთიანებელ მოძრაობად გადაიქცა. ამ იდეაში მათ ნახეს ერთადერთი სწორი გამოსავალი და სწორი გადაწყვეტა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში წამოჭრილი ისეთი რთული საკითხისა, როგორც იყო თვითნებობისა და კაპიტალისაგან განთავისუფლებულ დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის შემდგომი დამოკიდებულება, რომლებმაც გადაწყვიტეს მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ააშენონ ახალი საზოგადოება, რომლის დროშაზეც ეწერებოდა: თანასწორობა, ძმობა და ყველა ადამიანის ბედნიერება.

1922 წლის 18 ოქტომბერს გაიმართა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ერთხმად მოიწონა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილება და მიიღო გადაწყვეტილება მშრომელ მასებში გაშლილიყო ფართო სააგიტაციო კამპანია ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნისა და მისი შესვლისათვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

1922 წლის 21 ოქტომბერს თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის კრებამ ერთხმად მოიწონა სსრ კავშირის შექმნის ლენინური იდეა. რეზოლუციაში, რომე-

ლოც მიიღო კრებამ, ნათქვამია: „მსოფლიოსათვის უხილავი ეს ახალი თანასწორობა მშური კავშირი საეკონომიკურ უპასუხებს საბჭოთა ქვეყნების მშრომელი მასების საჭიროებებზე. ინტერესებს, რომელთა პოლიტიკური სიმტკიცე და ეკონომიური განვითარება მოითხოვს კაპიტალის წინააღმდეგ მათ საბჭოების ერთიან მძლავრ კავშირად გაერთიანებას“.

ახალმშობელ მიტინგებსა და კრებებზე მშრომელები იღებდნენ რეზოლუციებს, რომლებშიც მხურვალედ იწონებდნენ სსრ კავშირის შექმნის იდეას.

1922 წლის 26 ოქტომბერს რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოაქვეყნა თეზისები სათაურით „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნა“. პარტიულ კრებებსა და მშრომელთა მიტინგებზე მუდამ სახელმწიფოებრივი კავშირის შექმნის აუცილებლობაზე მოხსენებებით გამოდიოდნენ პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელი მუშაკები. ბეკდვითი სრტყვის ორგანოებში რუბრიკით „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი“ სისტემატურად ქვეყნდებოდა სტატიები, ანგარიშები პარტიული კონფერენციების, პლენუმების, კრებებისა და მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგების შესახებ.

ისე, როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებიც მხურვალედ უჭერდნენ მხარს სსრ კავშირის შექმნის ლენინურ იდეას, მის ცხოვრებაში განხორციელებას. სსრ კავშირის შექმნის საკითხი ფართოდ განიხილებოდა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, მშრომელთა მრავალრიცხოვან კრებებსა და მიტინგებზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. რა თქმა უნდა, მრავალეროვანი ბათუმის მეშეებისა და ყველა მშრომელის ძველი ინტერნაციონალური ტრადიციები უნდა დაეცულიყო და განმტკიცებულიყო, მშრომელთა ამობასა და მეგობრობას უფრო ფართო გასაქანი უნდა მისცემოდა. ეს ბუნებრივია. ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს ერთიანი ძალით უნდა დაეცვათ სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარი და ხელიხელჩაკიდებული ეშენებინათ ახალი, სოციალისტური საზოგადოება. როგორც ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის ლენინური იდეის, ისე სსრ კავშირის შექმნის ლენინური იდეის ცხოვრებაში განხორციელებისათვის აჭარის პარტიული ორგანიზაცია 1921-1922 წლებში იღებდა კონკრეტულ ღონისძიებებს. ჯერ კიდევ 1921 წლის 18 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს კომპარტიის (ბ) ბათუმის საოლქო კომიტეტმა წინადადება მისცა პარტიულ ორგანიზაციებს, რათა დამოუკიდებელი ეროვნული საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების იდეის ცხოვრებაში განხორციელებისათვის მშრომელ მასებში ჩატარებულიყო შესაბამისი კამპანია; ხოლო 1921 წლის 26 ნოემბრის პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ მოწვევულ კომუნისტური უკრებებისა და კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებელი მდივნების თათბირზე აღინიშნა, რომ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის პროლეტარიატი ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან, ერთად იბრძოდა თვითმწყობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ და მომავალშიც ერთად ივლის, ერთიანი ძალით ააშენებს სოციალიზმს.

გამოდიოდა რა ვ. ი. ლენინის მითითებებიდან, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1922 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა წინადადება მისცა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, რათა სსრ კავშირის შექმნის საკითხი ფართოდ განეხილათ ადგილებზე მშრომელი მასების თანდასწრებით, ქალაქისა და მაზრების საბჭოების ყრილობებზე. ასეც ხდებოდა. ქედის მაზრის საბჭოების სამაზრო ყრილობაზე 1922 წლის 3 ნოემბერს მოისმინეს მოხსენება თემაზე „საბჭოთა რესპუბლიკების კავ-

შორის შექმნის შესახებ“. ერთხად მიღებულ რევოლუციაში მშრომელები სწორდნენ, რომ ისინი მზურვალედ ესალმებიან საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნას. მელშიც შევლენ: უკრაინა, ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა, ბელორუსია და რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა. „მხოლოდ მოამე რესპუბლიკების მშრომელი ხალხის მჭიდრო კავშირი, — აღნიშნულია რევოლუციაში, — იძლევა ჩვენი მეურნეობის სწრაფი აღდგენის, მრეწველობის წინსვლისა და მშრომელთა მატერიალური პირობების გაუმჯობესების გარანტიას“. შემდეგ რევოლუციაში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „მხოლოდ და მხოლოდ მჭიდრო კავშირი, სამხედრო და პოლიტიკური ძალა საბჭოთა რესპუბლიკებისა მისცემს საშუალებას მშრომელთა კლასს ბურჟუაზე საბოლოოდ გასამარჯვებლად და განათავისუფლებს აღმოსავლეთის მშრომელ ხალხს კაპიტალიზმის ჩაგვრისაგან“. რევოლუცია მთავრდება მოწოდებებით: „გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს! გაუმარჯოს გაღვიძებულ აღმოსავლეთის ერთიან განთავისუფლებას კაპიტალიზმის ჩაგვრისაგან!“

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა გაერთიანებულ ფრონტს!“
ბათუმის მაზრის (ხელეჩაურის რაიონი) საბჭოების ყრილობის 1922 წლის 28 ნოემბრის რევოლუციაში კი ნათქვამია: „...ბათუმის მაზრის საბჭოების ყრილობა ესალმება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნას და უსურვებს შომაელში მათ მიერ დასახული იდეების ვატარებას. გაუმარჯოს გაერთიანებულ პროლეტარულ ფრონტს!“

სსრ კავშირის შექმნის ლენინური იდეა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ განიხილა და მოიწონა აჭარის საბჭოების მეორე ყრილობამ 1922 წლის დეკემბერში. მოხსენებით „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ“ ყრილობაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მთავრობის წევრი ა. გიგეჭკორი. ყრილობის დღევგატებმა ერთხლოვნად მოიწონეს სსრ კავშირის შექმნის ლენინური იდეა, მზურვალედ შეზდნენ დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების ძმური კავშირის შექმნას. ყრილობაზე სიტყვით გამოსული კომუნისტები და უპარტიო მშრომელები მოითხოვდნენ, რათა მალე შექმნილიყო და განმტკიცებულიყო ასეთი კავშირი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. ყრილობის რევოლუციაში სსრ კავშირის შექმნის შესახებ ნათქვამია: „მხოლოდ ყველა ჩვენი სამეურნეო ქონებათა და ძალთა გაერთიანებით შესაძლებელია გავაძლიეროთ ჩვენი მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა და მით გავაუმჯობესოთ მუშათა და გლეხთა კეთილდღეობა“. შემდეგ რევოლუციაში აღნიშნულია, რომ „მხოლოდ მშრომელთა სახალხო რესპუბლიკების სამხედრო და პოლიტიკური კავშირის გაძლიერება შექმნის იმ ძლიერ მუშტს, რომელიც დღეს პასუხს გასცემს საერთაშორისო ბურჟუაზიის ყოველგვარ ზრახვას“, რომ „მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების ასეთი კავშირი ვახდება მსოფლიო რევოლუციის საიმედო კერად და შეგავძლებინებს აღმოსავლეთის ასმილიონიან მშრომელთა და ჩაგრულთა განთავისუფლებას ერთნულ-კაპიტალისტური ჩაგვრისაგან, განთავისუფლებას ევროპის ბურჟუაზიის ზრქყალეებისაგან“. რევოლუცია მთავრდება მისალმებით: „გაუმარჯოს მჭიდრო კავშირს ყველა საბჭოთა რესპუბლიკებისას!“

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციის ბელადს და აღმოსავლეთის გამამფხიზლე ზელს ლენინს!“

იმავ დღეს აჭარის საბჭოების მეორე ყრილობის დღევგატებმა მისასალმებლო დეპეშა გაუგზავნეს ვ. ი. ლენინს. დეპეშაში ნათქვამია:

„მოსკოვი. აშ. ლენინს.

აჭარისტანის საბჭოთა ყრილობამ მოისმინა რა ცნობა თქვენი გაჯანსაღების შესახებ, თვეის მზურვალე სალამს გიძლენით.

ყრილობა დარწმუნებულია, რომ თქვენი დაბრუნება მსოფლიო რევოლუციის

გუშაგის პოსტზე იქნება საიმედო გარანტია მშრომელთა მასების განთავისუფლებისა.
ყრილობა გზოვით მხოლოდ ერთ რამეს: შეინახოთ თქვენი თავი და თქვენი ჯანმრთელობა მსოფლიო პროლეტარიატისა და გამოღვიძებული აღმოსავლეთის საკეთილდღეოდ“.

პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის ორგანო გაზეთი „ტრუდოვოი ბატუმი“ 1922 წლის დეკემბერს ხაზს უსვამდა რა აპარის საბჭოების II ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციას სსრ კავშირის შექმნის თაობაზე, 1922 წლის 6 დეკემბერს წერდა: „მხოლოდ ასეთი კავშირის მეშვეობით შესაძლებელი გახდება სოფლის მეურნეობის აღდგენა და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება. მხოლოდ ასეთი გაერთიანება შექმნის მშრომელთა რკინისგზურ მუშტს სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად კაპიტალისტებისა და იმპერიალისტებისაგან“.

იგივე გაზეთი „ტრუდოვოი ბატუმი“ 1922 წლის 5 დეკემბერს სათაურით „აპარის ღარიბნი სსრ კავშირში“ გამოქვეყნდა აპარის ღარიბთა კომიტეტების ცენტრალური ბიუროს რეზოლუცია. მასში ნათქვამია, რომ აპარის ღარიბთა კომიტეტის ცენტრალური ბიუროს მხურვალედ მიესალმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნას, რომელშიც შევლენ ბელორუსია, უკრაინა, ამიერკავკასიის ფედერაცია და რსფსრ. მხოლოდ მოძვე საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი მასების მჭიდრო გაერთიანება მოგვცემს ჩვენი მეურნეობის სწრაფი აღდგენის, მრეწველობის წარმატებით ზრდისა და მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების გარანტიას. მხოლოდ დარაზმული საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი გაამაგრებს საბჭოთა ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკურ ძლიერებას და შექმნის შესაძლებლობას მშრომელი რესპუბლიკების გამარჯვებისა მტრულ ბურჟუაზიულ სამყაროზე და აღმოსავლეთის მშრომელი მასების განთავისუფლებისა კაპიტალისტური ჩაგვრისაგან.

საკითხი სსრ კავშირის შექმნის შესახებ განიხილა და მოიწონა ამიერკავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ. ყრილობაზე სსრ კავშირის შესახებ მოხსენებით გამოვიდა გ. კ. ორჯონიკიძე.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქების საბჭოების ყრილობების მიერ სსრ კავშირის შექმნის ღონისძიებები განხილვისა და ერთსულოვანი მოწონების შემდეგ, 1922 წლის 30 დეკემბერს, გაიხსნა საბჭოების სრულიად საკავშირო პირველი ყრილობა, რომელმაც საკანონმდებლო წესით გააფორმა სსრ კავშირის შექმნა. ყრილობას რსფსრ-იდან — 364, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან — 33, ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკიდან — 91 დელეგატი, სულ 2.215 კაცი.

გ. ი. ლენინი ავადმყოფობის გამო ყრილობას ვერ დაესწრო. ის აირჩიეს ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ და გაუზიარა მისალმება, რომელშიც ნათქვამია: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა ღვაწლათების საბჭოების I ყრილობა... უგზავნის მგზნებარე სალამს სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობის საპატიო თავმჯდომარეს და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს — ამხანაგ ვლადიმერ ილიას ძე ლენინს“.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო დეკლარაცია და სამოკავშირეო ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში „აღმოჩნდა შესაძლებელი ეროვნული ჩაგვრის ძირფესვიანად მოსპობა. ურთიერთნდობის ვითარების შექმნა და ხალხთა ძმური თანამშრომლობის საფუძვლების ჩაყრა“. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირი წარმოადგენს თანასწორუფლებიან ხალხთა ნებაყოფლობით

ხით გაერთიანებას, რომ თითოეულ რესპუბლიკას შენარჩუნებული აქვს კავშირიდან თავისუფლად გასვლის უფლება.

დეკლარაციისა და ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ სსრ კავშირის საბჭოების პირველი ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია: „იმის გამო, რომ მიღებული დეკლარაცია და დადებული ხელშეკრულება საგანგებო მნიშვნელობისაა და სასურველია მოსმენილ იქნას ამ ხელშეკრულების ტექსტის შესახებ კავშირში შემავალი ყველა რესპუბლიკის აზრი, გადაეცეს დეკლარაცია და ხელშეკრულება მოკავშირე რესპუბლიკების ცაყ-ს დამატებით განხილვისათვის, რათა მოკავშირე რესპუბლიკების აზრი წარდგენილ იქნას სსრ კავშირის ცაყ-ში მის უახლოეს მორიგ სესიაზე“.

ყრილობამ აირჩია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც 371 წევრი და 138 წევრობის კანდიდატი შევიდა.

ყრილობამ გაითვალისწინა ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „კავშირის ცაყ-ში რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ რუსი, უკრაინელი, ქართველი და სხვ.“, და სსრ კავშირის ცაყ-ში თავმჯდომარეებად აირჩია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელი.

სსრ კავშირის ცაყ-ის მეორე სესიაზე შეიქმნა სსრ კავშირის მთავრობა — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო, რომლის თავმჯდომარედ სსრ კავშირის ცაყ-მა ერთხმად დაამტკიცა ვ. ი. ლენინი. ეს იყო ლენინიზმის იდეების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფი.

როცა სსრ კავშირის საბჭოების პირველი ყრილობა მიმდინარეობდა, 1922 წლის 30-31 დეკემბერს მიმდებარე ავადმყოფი ვ. ი. ლენინი უკარნახებდა წერილს „ეროვნებათა საერთაშორისო ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“, რომელშიც ღრმად გააშუქა პარტიის ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

სსრ კავშირის შექმნასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიდა სსრ კავშირის შემდგომ განმტკიცებას. ის მიუთითებდა ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის და მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შეხამების აუცილებლობაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამასთან, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ დამოუკიდებელი რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების ზრდა ხელს არ შეუშლის ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობას. ის მოითხოვდა, რათა მცირერიცხოვან ერებსა და ხალხებს გაწეოდით უანგარო დახმარება მათი ეკონომიკური და კულტურული ღონის ამადლებით, რითაც ნათლად გამოვლინდებოდა ინტერნაციონალიზმი იმ ერის მხრიდან, რომლის ექსპლუატატორული კლასები ადრე ჩაგრავდა სხვა ერებს.

სსრ კავშირმა გაამართლა საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის იმედები. ერთიან მშურ ოჯახში სსრ კავშირის ყველა ერმა და ეროვნებამ ეკონომიკისა და კულტურის აყვავებას მიიღწია. დაძლეულ იქნა ეროვნული შეზღუდულობა და განკერძოებულობა, გაფართოვდა და გაიფურჩქნა ყველა ერისა და ეროვნების ინტერნაციონალური ურთიერთობა. სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის წლებში წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების, ეკონომიკური, სოციალური-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, მუშათა კლასის ინტერესებისა და კომუნისტური იდეალების ბაზაზე მსოფლიოში პირველად შეიქმნა ადამიანების ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ და მიზანმიმართულად მიიბიჯებს წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

მუშად ჩაპლენიზმილი,

შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სკკპ ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე.

ისტორიკოსი-გეოგრაფი

დაბადების 85 წლისთავი შეუსრულდა ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, სამუ-ზეუმო საქმის თვალსაჩინო ორგანიზატორსა და საზოგადო მოღვაწეს ხარიტონ ახვლედიანს. მის მიერ განვლილი შემოქმედებითი შრომისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზა მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს მკვლევარი ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობის საქმეს.

ხ. ახვლედიანის სამეცნიერო მუშაობის ძირითადი ასპარეზი სამხრეთ საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლა გახდა.

როგორც ცნობილია, წარსულის ბედუქუდმართობა ყველაზე მძიმედ სამხრეთ საქართველოს მოსახლეობამ განიცადა. ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის შედეგად, უძველესი ქართული კულტურის მხარეში გაჩანაგდა მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, დაქვეითდა სამეურნეო ცხოვრება. ამ მხარის მოსახლეობა აშკარა განსაცდელში ჩაეარდა, გადაუდებელი გახდა ფიზიკური მეობის გადარჩენისათვის ბრძოლა.

სახალხო-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას შეუნარჩუნა მრავალფეროვანი ქართული ტრადიციები და მშობლიური ენა. სულის სიძლიერემ ამ მხარის მოსახლეობა გადაარჩინა განადგურებას, იგი კვლავ დღესამშობლოს შევისსწლბორცა, საუკუნოვანმა ოცნებებმა ფრთები შეისხა.

დიდა ქართველი ხალხის ინტერესი სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის სამაშლოვანი ბრძოლების ისტორიის საკითხებისადმი. მის შესწავლას დიდი ყურადღებით ეციდებოდნენ ჩვენი ერის სასიყაღულო შეილები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ბაქრაძე, პეტრე უმიკაშვილი, გიორგი ყაზბეგი, ჯაქარია ჭიჭინაძე, იოსებ იმედაშვილი, ივანე კერესელიძე და სხვები. მათ ბევრი ოცნება განუხორციელებელი დარჩათ.

დღეს, როცა ვეცნობით ხარიტონ ახვლედიანის ნახევარსაუკუნოვან ნამოღვაწარს, მასში შევიცნობთ ერის მთლიანობისათვის მებრძოლი წინაპრების სახელოვან მემკვიდრეს. იგი იმ დროს გამოდის სამეცნიერო მოღვაწეობის ასპარეზზე, როცა ქართველი ხალხის გმირული, განმათავისუფლებელი ბრძოლების შესწავლა აქტუალური პრობლემა ხდება.

„იმ დროს, როდესაც ხარიტონ ახვლედიანი ისტორიკოსის შრომას შეუდგა, აჭარა მშობლიური ხალხის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ერთიან ფერხულში იყო ჩაბმული. მისი ეროვნული მრწამსი დაწმენდილი, ძველი კრილობები — მომუშებელი იყო. მაგრამ... აჭარელს კიდევ არ ჰქონდა წიგნი, რომელშიც შეეძლო ამოეკითხა გადატანილი ჭირ-ვარამის, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის დაუცხრომელი ბრძოლის ამბები“. — წერდა მწერალი ი. რურუა და, მართლაც, ხ. ახვლედიანმა ერთ-ერთმა პირველმა ხელი მოჰკიდა საშურ და საპატიო საქმეს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული წარსულის კვლევას, ამ კუთხის ქართველობის სახელოვანი წარსულის შესწავლას. ამასთან ერთად მკვლევარი ჩვენი თანამედროვე ცხოვრების აქტუური მონაწილეა. არ შეიძლება მოიძებნოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფის არც ერთი სფერო, რომ მისი დამოკიდებულება არ იყოს გამოხატული. ამაზე ნათელ წარმოდგენას მოგვცემს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ბიოგრაფიული ცნობები.

ბ. ახვლედიანი დაიბადა 1904 წლის 25 აგვისტოს სოფელ მახინჯაურში. ახვლედიანის ოჯახი მეტად მრავალფეროვანი ტრადიციების მატარებელი იყო. მამა-ვალ მკვლევარზე, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, დიდი ზეგავლენა მოახდინა უფროსი ძმის სალიხის პოლიტიკუმა ალდომ და ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლის პრინციპულმა თანმიმდევრობამ. სალიხი იყო ერთ-ერთი პირველი ადგილობრივი კომუნისტი, რომელიც სხვა თანამებრძოლებთან ერთად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების გამაგრებისა და განმტკიცებისათვის აჭარაში. სალიხს ბრძოლაში მხარს უზამდნენ უმცროსი ძმებიც — მუსტაფა და არიფი. „მთელ სამხრეთ-დასავლეთ აა-ქართველოში იმ დროს ძნელად თუ მოიძებნებოდა მეორე ისეთი ოჯახი, რომელსაც ახალი ცხოვრების ამდენი და ამგვარი ენთუზიასტები მიეცა. ასეთ წრეში დაეაყვარა ხარტონ ახვლედიანი“, — აღნიშნავს პროფ. ი. სიხარულიძე.

ბ. ახვლედიანი 1921 წლიდან ჯერ კერძო მასწავლებელთან სწავლობდა დედაენას, ხოლო შემდეგ მახინჯაურის ახლადგახსნილ დაწყებით სკოლაში განაგრძო სწავლა. ამ სკოლის პირველი გაშვ და ქართული ენის მასწავლებელი იყო ლეაწმომისილი პედაგოგი ფოკა ცქვიტინიძე, რომელმაც ძნელ ვითარებაში შესანიშნავად აუღო ალ-ლო ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს და მახინჯაურში მშრომელთა ნდობა და სიყვარული დაიმსახურა.


ბ. ახვლედიანმა საშუალო სკოლა 1929 წელს დაამთავრა. იგი წარჩინებულ სწავლასთან ერთად მრავალ საზოგადოებრივ დავალებას ასრულებდა. 1925 წელს მიიღეს ლენინური კომკავშირის რიგებში და 30-იანი წლების კომკავშირული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ხდება. ბ. ახვლედიანი გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭითა და საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების უნარით, ამიტომ იყო, რომ ერთდროულად ასრულებდა მრავალ დავალებას, იყო მახინჯაურის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, ორთაბათუმის-თემსაბჭოს რწმუნებული, მუშათა და გლეხთა კლუბის გამგე, გაზეთ „მახინჯაურის ხმის“ რედაქტორი და სხვ.

განსაკუთრებით გამოიყვება მომავალი მკვლევარის შემოქმედებითი მუშაობის უნარი და ორგანიზატორული ნიჭი 1927 წელს, როცა იგი მახინჯაურის მუშათა და გლეხთა კლუბში გადაიყვანეს სამუშაოდ. ასეთი კლუბი აჭარაში სულ რამდენიმე იყო და მათ შორის მახინჯაურის კლუბს ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეჭირა. კლუბის ახალგაზრდა გამგეს ამ დროს მრავალმხრივი საქმიანობა უხდებოდა. სოფლად კლასობრივი ბრძოლა მწვავე ხასიათს ატარებდა. ბ. ახვლედიანის მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია მშრომელი ხალხის ფართო მხარდაჭერას პოულობდა.

1929 წელს ბ. ახვლედიანი, როგორც საქმის კარგი ორგანიზატორი და მუყაითი ახალგაზრდა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ლექტორ-პრომავანდისტად დააწინაურეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ, პარტიის რიგებში მიიღეს.

1931 წელს ბ. ახვლედიანმა მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე (ფილოსოფიის განხრით). უნივერსიტეტში სწავლის მოკლე დროის განმავლობაში იგი ცნობილი გახდა პროფესორ-მასწავლებლებში და თვით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაში, აქტიურად ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში. მას ირჩევენ უნივერსიტეტის პარტკომის წევრად და სტუდენტთა ქალაქის მმართველის მოადგილედ. მთავარი ის იყო, რომ ბ. ახვლედიანი შესანიშნავად უხამებდა ერთმანეთს საზოგადოებრივ დატერითებს და წარჩინებულ სწავლას. თავისუფალ დროს სამეცნიერო თუ საჯარო ბიბლიოთეკებში იჯდა და ხან ისტორიის სამეცნიერო წრეზე წასაკითხავ მოხსენებას ამზადებდა და ხან სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციისათვის ემზადებოდა. მისი მოხსენებები ყოველთვის გამოირჩეოდა მეცნიერული კვლევის სიღრმითა და შინაარსით.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა ბ. ახვლედიანის სადიპლომო ნაშრომს „მარქ-



სისტულ-ლენინური მოძღვრება ნაციონალურ-კოლონიურ საკითხებზე“. ამ ნაშრომში „ფრიალი“ შეფასება დაიშასხურა. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრები პროფესორები ს. ჯანაშია, ბ. რამიშვილი, ს. დანელია, შ. ნუტუბიძე, ა. ნამორაძე, ა. წერეთელი, ი. სურგულაძე და სხვები ხ. ახვლედიანში ხედავდნენ მომავალ ისტორიკოს-მკვლევარს და მზრუნველობას არ აკლავდნენ. მომავალი მკვლევარის ნიჭი და მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ აკადემიკოსებს ივანე ჯავახიშვილსა და ნიკო ბერძენიშვილსაც.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ხ. ახვლედიანი ჯერ ქ. ბათუმის სახალხო განათლების განყოფილებას უდგას სათავეში, ხოლო 1938 წლიდან აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად ინიშნება. აქედან იწყება მისი მეცნიერული მოღვაწეობის ბიოგრაფია. მომავალ მკვლევარს უკვე გავლილი ჰქონდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნამდვილი სკოლა, რაც ფართო შესაძლებლობას უხსნიდა მეცნიერული მუშაობის შემართებისათვის. მომდევნო სამ წელიწადში ხ. ახვლედიანი უკვე საყურადღებო გამოკვლევის ავტორი გახდა, ხოლო 1944 წელს გამოიცა მისი ნაშრომი „ნარკვევები აჭარის ისტორიიდან“ (რედაქტორი პროფ. ს. კაკაბაძე). ამ წიგნის გამოცემას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; იგი ფაქტურად დიდი სამამულო ომის მებრძოლთა პატრიოტული მოწოდება იყო. ნაშრომში განხილული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, მხარის ისტორია, ეთნოგრაფიისა და ზეპირსიტყვიერების საკითხები დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას.

1946 წელს აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით გამოიცა ხ. ახვლედიანის მომდევნო ნაშრომი — „აჭარა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში“. გამოკვლევაში ავტორმა მეცნიერული სიცხადით წარმოაჩინა ოსმალთა ბატონობის დროინდელი აჭარის მდგომარეობა. დასახელებულ წიგნს მოჰყვა ახალი, ვრცელი გამოკვლევა „სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“, რომელიც 1957 წელს ცალკე წიგნად გამოიცა პროფესორ მ. ღუმუშაძის რედაქტორობით. ავტორმა მდიდარი საარქივო მასალებისა და წერილობითი წყაროების ანალიზით საფუძვლიანად გააშუქა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის სამსახურეთა ბრძოლები ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ ნაშრომის სხვა ლირსებების გვერდით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წინ წამოწეულია სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლების მეთაურთა პატრიოტული მისწრაფებანი სამხრეთ-საქართველოსათვის ბრძოლაში. წიგნში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სელიმ ხაშაშვილის მეთაურობით გაწეულ ბრძოლებს ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ. ავტორი ფაქტობრივად მასალების ანალიზით არკვევს სელიმ ხაშაშვილის ეპოქის სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობას და დიდ პროგრესულ მნიშვნელობას ანიჭებს სელიმის საბრძოლო საქმიანობას. წიგნის შეფასების კრიტერიუმით თვით მკითხველია. დასახელებული ნაშრომი აქამდე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. წიგნის საყოველთაო აღიარება დაადასტურა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, როცა 1961 წელს ხ. ახვლედიანს ერთხმად მიანიჭა ინტორიტულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (მეცნიერ-ხელმძღვანელი აკად. ნ. ბერძენიშვილი).

ხ. ახვლედიანის მეცნიერული მუშაობა მრავალფეროვანია, მისი კალამი მისწვდა აჭარის წარსულის თითქმის ყველა ეპოქას. ღრმა შინაარსიანი გამოკვლევები „ხიზანის ციხისა და გელესის ისტორიისათვის“, „ნეხიერიძის მოგონებანი თურქეთის მიერ სამხრეთ საქართველოში გოგო-ნიჭების მოტაცებისა და ტყვეებით ვაჭრობის შესახებ“ (შესავალი და შენიშვნები ხ. ახვლედიანისა) სპეციალისტთა და მკითხველთა დიდი ყურადღებას იმსახურებს.

გამოკვლევაში „სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი“,

რომელიც გამოცემლობა „საბჭოთა აპარამ“ ცალკე წიგნად გამოსცა 1972 წელს. ავტორმა წინა პლანზე წამოსწია იმ ადამიანთა საგმირო საქმეები, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის, ამ კუთხის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისა და კულტურული დაწინაურებისათვის. წიგნი განხილულია სელიმ ხიმშიაშვილის, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის, მემედ აბაშიძის, ჰაიდარ აბაშიძის, გულო კაიკაციშვილის, ხასან თხილაიშვილისა და სხვების დიდი დამსახურება მშობელი ერის წინაშე.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა 1971 წელს გამოცემულ მონოგრაფიას „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში“. ავტორმა ახლად მოპოვებული საარქივო მასალებისა და სხვა წერილობითი წყაროების საფუძველზე წარმოაჩინა ადგილობრივი მოსახლეობის როლი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ ნაშრომში გარკვეულია აგრეთვე აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდგომი პერიოდის ზოგიერთი აქტუალური საკითხი.

მკვლევარმა დიდი შრომა გასწია ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის პ. აბაშიძის წერილების შეკრების, მისი მეცნიერული ანალიზისა და ცალკე წიგნად გამოცემისათვის, 1960 წელს გამოცემული „წერილები“ 1963 წელს ხელმეორედ დაიბეჭდა.

ქართველმა მკითხველმა 1978 წელს მიიღო ხ. ახვლედიანის ახალი მონოგრაფია — „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“. მკვლევარმა ათეული წლების განმავლობაში მოპოვებული მდიდარი საარქივო მასალებისა და სხვა წერილობითი წყაროების საფუძველზე შეძლო მთელი სისრულით წარმოეჩინა აჭარის მოსახლეობის ისტორიული წარსული, ოსმალეთის მიერ აჭარის მიტაცების დღიდან ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე. ნაშრომში მდიდარი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე წარმოდგენილია თავები: აჭარა ოსმალთა ბატონობის ხანაში, ტყვეთა სყიდვა, სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრება და განმთავისუფლებელი მოძრაობა; რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა და ბრძოლა აჭარის განთავისუფლებისათვის; რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წ. წ. ომი და აჭარის განთავისუფლება; აჭარა 1878-1900 წლებში. მკვლევარის დამსახურებად უნდა ჩათვალოს ახალი დასკვნები მთელ რიგ შეუსწავლელ საკითხებზე. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მკვლევარის მიერ წინა პლანზე წამოწეული ისეთი ფუნდამენტური საკითხი, როგორიცაა რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა და ბრძოლა აჭარის განთავისუფლებისათვის. კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის დებულებათა საფუძველზე მკვლევარმა მართებული დასკვნები გამოიტანა რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის საკითხებზე და გააშუქა ამ დიდ პრობლემაში საქართველოს საკითხი, რომელსაც დიდი ყურადღება ეთმობოდა რუსეთ-ოსმალეთის XIX საუკუნის დიპლომატიურ ურთიერთობაში. ნაშრომში ხ. ახვლედიანმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აჭარის განთავისუფლების შემდგომდროინდელ ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას. მდიდარი წყაროების საფუძველზე წარმოეჩინა აჭარის სოციალ-ეკონომიკური აღმავლობა. ამასთან ერთად ნაჩვენებია ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მძიმე შედეგებიც.

ხ. ახვლედიანის სქელტანიან მონოგრაფიებს შორის საბატიო ადგილი დაიკავა 1983 წელს გამოცემულმა წიგნმა „გეორგიევსკის ტრაქტატის პროგრესული შედეგები“. იგი მკვლევარის ათეული წლების განმავლობაში გაწეული ნაყოფიერი მუშაობის შედეგია, შეჯერებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მათ შორის აჭარის ისტორიული წარსულის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, გაანალიზებულია რუსი და ქართველი ხალხის სეგოზობის ისტორიული შედეგები. ნაშრომი მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის იუბილეს და თამაშად შეიძლება ითქვას, რომ ავტორმა ახალი წერტილითი წყაროების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მოგვცა საყურადღებო დასკვნები.

ნები ისეთ დიდმნიშვნელოვან ნაკვთებზე, როგორიცაა საქართველოს რუსეთთან შეერთება და მისი პროგრესული შედეგები, რომელთაგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უცხოელთა ბატონობისაგან გამოსხნა და მისი კულტურულ-ეკონომიკური აღორძინება. აქარის ოსმალთა უღლისაგან განთავსუფლება და მისი ეკონომიკური და კულტურული აღორძინება სწორედ გეორგიევსკის ტრაქტატის ყველაზე უფრო თვალნათელი შედეგია საქართველოსათვის. ნაშრომის დიდი ღირსება ის გახლავთ, რომ მასში ისტორიული მოვლენების, მწვავე სოციალურ-პოლიტიკური საკითხების გაშუქებასთან ერთად ავტორი ახერხებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს საკითხების წარმოჩენას, რითაც მკითხველის თვალში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით აცოცხლებს აქარის ისტორიულ წარსულს, მისი ბედნიერი ცხოვრებისათვის დაღუპულ გმირებს, აწვევებს ამ კუთხის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობას. მონოგრაფია რუსულ. ენაზე გამოცემულია და თანამედროვე რუსი მკითხველი მასში შეიძენს საუკუნოვანი მემკობრობის ღირსეულ შედეგებს.

მეგობრობის თემატიკას მიეძღვნა ავრეთვე ხ. ახვლედიანის ამ ბოლო წლებში დასტამბული შრომა „აბაზა მეკმედ-ფაშას ბრძოლა ოსმალეთის რეჟიმის წინააღმდეგ“. მკვლევარმა ახალი წერილობითი წყაროების საფუძველზე წარმოაჩინა აფხაზი ხალხის შეილის — აბაზა მეკმედ-ფაშას როლი ოსმალეთის რეჟიმის წინააღმდეგ. აბაზა მეკმედ-ფაშა, რომელიც საპატიო ადგილზე იჯდა სულთანის კარზე, მთელ თავის ენერგიასა და შესაძლებლობას ახმარდა აფხაზი და ქართველი ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

ნაშრომის მთავარ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მასში გაშუქებულია აფხაზი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის უცნობი საკითხები, წარმოჩენილია ოსმალეთში მცხოვრები აფხაზების მიმე მდგომარეობა, გაანალიზებულია მათი დაუცხრომელი ბრძოლები. გამოკვლევის ავტორი ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ხაზს უსვამს ქართველი და აფხაზი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობის დღევანდელ შედეგს. მას მოჰყავს საინტერესო მაგალითები აქარა-აფხაზეთის ისტორიული მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საკითხებზე.

აღსანიშნავია მეტად ნაყოფიერი პუბლიცისტური მოღვაწეობა. მრავალრიცხოვანმა საჟურნალო და საგაზეთო სტატიებმა, რომლებიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, მკაფიოდ დაგვანახა მეცნიერის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის სახე. აქარის ისტორიას, მის ეკონომიკურ და კულტურულ აყვავებას მკვლევარმა 200-მდე სტატია მიუძღვნა. მისასალმებელია, რომ ავტორი არ იფარგლება თავისი კვლევის ჩარჩოებში, საჭირო შემთხვევაში თამამად განიხილავს მწვავე საზოგადოებრივ პრობლემებს. სწორედ ასეთ სტატიებში ვხედავთ ხ. ახვლედიანის პარტიულ პრინციპულობას, პირდაპირობასა და სამართლიანობას.

ასე მაგალითად, ხ. ახვლედიანი მკაცრი და მომთხოვნელი იმით მიმართ, ვინც დაუდევრად ექცევა მატერიალური კულტურის ძეგლებს. 1957 წლის 6 იანვრის გაზეთ „საბჭოთა აქარაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „შევისწავლოთ და დავიცვათ ისტორიული ძეგლები“ მკაცრად სთხოვს პასუხს იმათ, ვინც უდიერად ეპყრობა ძეგლებს. იგი თავიდანვე წინააღმდეგი იყო ციხისძირის ციხექალაქზე ლიმონარიუმის მოშენებისა, რომელიც 1937 წელს დაიწყო. წაყრუების შედეგად ზოგიერთმა ძეგლის ნანგრევებით სახლების მოშენებლობა დაიწყო. სტატიის ავტორი გულისტკივილით მიუთითებს, ძეგლის ნანგრევებიდან სვეტები და სხვა უნიკალური ნივთები სრულიად დაიკარგაო. ასევე გულისტკივილით ეხება ხ. ახვლედიანი გონიოს უნიკალური ციხე-ქალაქის ზედს, შეგვახსენებს, რომ ამ უნიკალურ ძეგლს უნდა დაუბრუნდეს პირვანდელი სახე, აღდგეს გონიოს ციხე-ქალაქში თეატრონი, გაავაცოცხლოთ იპოდრომი და კოლ-

ხური დღესასწაულს „კოლხობის“ მოწყობის ტრადიციულ ცენტრად გადაეკეთა იგი. ასეთია ხალხის გულისთვის ჩვენი საამაყო ცინე-ქალაქის გონიოს მიმართ.

ბ. ახვლედიანის პუბლიცისტური წერილებიდან ყურადღებას იპყრობს სტატია „პ. მარქსი სამხრეთ საქართველოს შესახებ“. მასში განხილულია XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-თურქეთის მწვავე ურთიერთობა და რუსი და ქართველი ხალხების ბრძოლა სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის დებულებას შეცნობილი ანალიზის საფუძველზე მკვლევარი აფასებს რუსეთის დიპლომატიურ საქმიანობას აღმოსავლეთის მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე, რომელიც ფაქტობრივად საფუძვლად დაედო რუსეთის დიდ სამხედრო წარმატებებს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში.

სტატიაში „უკვდავყოთ მათი სახელი“ მკვლევარმა მეცნიერულად დაასაბუთა აბუსერიძე ტბელის, სელიმ ხიმშიაშვილის, შერიფ ხიმშიაშვილის, სულიმან დიასამიძის, სახელობის ქუჩების დაარსება, რასაც შემდგომში პრაქტიკული შედეგი მოჰყვა, ზოგი რამ კი ამ მიმართებით კიდევ მოსავგარებელი და გასაყეთებელია.

ბ. ახვლედიანის საინტერესო პუბლიცისტური წერილები და გამოკვლევები მიეძღვნა ქართველი და ბულგარელი ხალხების საუკუნოვანი მეგობრობის საკითხებს. ავტორი ყურადღებას მიაპყრობს გ. დიმიტროვის დიდ როლს ბულგარელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განვითარება-განმტკიცების საქმეში, განხილულია აჭარისა და ბლაგოევგრადის მეგობრული ურთიერთობის საინტერესო მომენტები.

ბ. ახვლედიანის მეცნიერულ შემკვიდრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ათეიზმის აქტუალური საკითხების კვლევას, მისი დიდი დამსახურება ის არის, რომ ამ მიმართულებით ჩატარებულ მუშაობას საფუძვლად დაუდგა მდიდარი ფაქტობრივი მასალები და მეცნიერულად დაასაბუთა რელიგიის, კერძოდ, ისლამის გადმონაშთების უსაფუძვლობა აჭარაში და ამ თემაზე მრავალი სტატია და გამოკვლევა მიუძღვნა. მისი დამსახურება დიდია მეცნიერული ათეიზმის ლექციური პროპაგანდის საქმეშიც. ნახევარი საუკუნეა ბ. ახვლედიანი აჭარის ყველა სოფელსა და რაიონში გამოდის შინაარსიანი ლექციებით, რომლებიც დიდ მოწონებას იმსახურებს მოსახლეობაში, მისი სჯერათ, როგორც ცოცხალი მემატიანისა და ამიტომ არის, რომ ხანდაზმულ ლექტორს ახლაც ვხვდებით ღორჯომსა და ინჭირვეთში, შუბანსა და ოლადაურში, ჭახთსა და მერისში და სხვაგან.

ბ. ახვლედიანს განსაკუთრებული ღვაწლი სამუზეუმო საქმის განვითარებაში მიუძღვის. იგი თითქმის ხუთი ათეული წელია სათავეში უდგას აჭარის სახელმწიფო მუზეუმს — უძველეს სამეცნიერო დაწესებულებას აჭარაში. მისი ხელმძღვანელობით მუზეუმმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა. დიდი შრომა დასჭირდა მუზეუმის კოლექტივსა და მის ხელმძღვანელს მუზეუმის ფონდების შეგება-დაკომპლექტებაში. ბ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით მოეწყო პირველი კომპლექსური და თემატური სამეცნიერო ექსპედიციები აჭარაში, მოპოვებული იქნა ძვირფასი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მხარის ბუნებისა და ახალი ყოფის ამსახველი ნივთიერი და წერილობითი მასალები. მეცნიერულ სიმაღლეზე დადგა კოლექციების შეგროვება-დამუშავების საქმე. მუზეუმის სამეცნიერო ფონდების გაზიარება საფუძველი გახდა მაღალი დედად გამართული ექსპოზიციების მოწყობისა. შეიქმნა ბუნების, რევოლუციამდელი პერიოდის ისტორიისა და საბჭოთა საზოგადოების ისტორიის დამოუკიდებელი განყოფილებები, დამუშავდა საექსპოზიციო გეგმები და მოეწყო ახალი ექსპოზიციები, რაც სრულ შესაძლებლობას იძლევა ცალკეული ეპოქების მიხედვით სრულყოფილად ვაჩვენოთ აჭარის წარსული და დღევანდელი.

ხ. ახვლედიანის უშუალო ინიციატივით აჭარის სახელმწიფო მუზეუმში შეკრებულა უნიკალური ნივთიერი ძეგლები, წერილობითი წყაროები, ფოტოდოკუმენტები და მძიმე ტყუასი წიგნები, ძველი პერიოდული პრესა და სხვა.

ამჟამად მუზეუმის სამეცნიერო ფონდში 120 ათასამდე ნივთია დაცული, ხოლო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში — 65 ათასზე მეტი წიგნი არაბულ, ჩინურ, სპარსულ, სომხურ, ებრაულ, რუსულ, ქართულ და სხვა ენებზე, მათ შორის არის XIV-XIX საუკუნეების წიგნები და წერილობითი ძეგლები, რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ.

ძვირფასი კოლექციების დაცვა-მოვლას დიდი ორგანიზატორული ნიჭი სჭირდება. ხ. ახვლედიანი იბრძვის მუზეუმის ფონდსაცავებისა და საქეპსოზიციო ფართობის გაზრდისათვის. დასახულია გეგმები მუზეუმისათვის ახალი შენობის მისაშენებლად, რაც ერთიორად გაზრდის ფონდსაცავებისა და კაბინეტ-ლაბორატორიების ფართობს.

ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მუზეუმების საკავშირო დათვალიერებების დროს აჭარის სახელმწიფო მუზეუმმა დაიმსახურა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს საპატიო დიპლომები, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დიპლომები და ფულადი საჩუქრები, საიუბილეო სამახსოვრო დროშა.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმი პირველი კატეგორიის მუზეუმების ჯგუფს ეკუთვნის. იგი ერთ-ერთი მსხვილი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში. მისი დამთვალიერებელთა რიცხვი წლიურად 220-230 ათას კაცს აღწევს. სამუზეუმო საქმე თანდათანობით ფრთებს ისხამს და მასობრივი ხდება. ამჟამად მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს ნივთიერი კულტურის დაცვა-მოვლისადმი. იქმნება სახალხო მუზეუმები. ხ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით მუზეუმის თანამშრომლებმა სახალხო მუზეუმები მოაწყვეს სხალთის ტაძარში, ჰობოყეთისა და ახალშენის კოლმეურნეობებში, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კულტურის სასახლეში და სხვაგან.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმი დასავლეთ საქართველოში სანელმწიფო მუზეუმების მეთაურ მუზეუმად ითვლება. ამიტომ არის, რომ ხ. ახვლედიანს ხშირად ნახავთ ჩოხატაურისა და მახარაძის მუზეუმებში მეთოდური და მეცნიერული დახმარებისათვის. იგი არჩეული იყო სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან არსებული სამუზეუმო სამეცნიერო საბჭოს წევრად საქართველოდან. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და ინიციატივით გამოიცა მუზეუმის შრომების ათი კრებული და ცალკეული გამოკვლევები: მ. ვახლიშისა და ალ. თანდილავას „ლაზეთი“ და ა. იოსელიანის „ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან“. ამჟამად მუზეუმს ქართულ ენაზე გამოსაცემად მზად აქვს დ. ბაქრაძის „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“.

საგანგებოდ დასაფასებელია ხ. ახვლედიანის ღვაწლი ბიბლიოგრაფიული მუშაობის დარგში. 1951 წელს გამოიცა „აჭარის ბიბლიოგრაფია“. ბიბლიოგრაფიული მუშაობის დიდი გამოცდილება და ამ დარგში ხანგრძლივი კვლევის შედეგი იყო ხ. ახვლედიანის მომდევნო სქელტანიანი წიგნი — „სამხრეთ საქართველოს ბიბლიოგრაფია“. აღნიშნული წიგნი ძვირფასი შენაძენია სამხრეთ საქართველოს თემაზე მომუშავე ყველა მკვლევარისათვის. ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას ხ. ახვლედიანის შემოქმედებაში ახლა საპატიო ადგილი უჭირავს, იგი აგროვებს ახალ მასალებს მომდევნო გამოცემისათვის.

ხ. ახვლედიანის დამსახურება, როგორც მეცნიერისა, უაღრესად მნიშვნელოვანია. მის კალამს ეკუთვნის 250-მდე შრომა და სტატია, რომლებიც ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. მკვლევარმა თავისი მეცნიერული შემოქმედებითა და ყოველდღიური საქმიანობით საზოგადო მოღვაწის საპატიო სახელი დაიმკვიდრა.

როგორც ვთქვით, ხ. ახვლედიანის პიროვნებაში ჰარმონიულადაა შეთანაწყობილი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და საზოგადოებრივი საქმიანობა. ხ. ახვლედიანი არჩე-

შლია საქართველოს საისტორიო სამეცნიერო ზაზოგადობის აჭარის საოლქო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარედ, იგი ამ საზოგადოების აჭარის ორგანიზაციის დამფუძნებელია, არჩეულია აგრეთვე საქართველოს საისტორიო საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს წევრად მისი დაარსებიდან (1959 წ.).

ბ. ახვლედიანი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ბულგარეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოებაში, ამ საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და აჭარის საოლქო განყოფილების თავმჯდომარეა, არის საზოგადოება „ცოდნის“ აჭარის განყოფილების გამგეობის წევრი, კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების აჭარის განყოფილების პრეზიდიუმის წევრი, ხუთი ათეული წელია უცვლელად ასრულებს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის შტატგარეშე ლექტორის მოვალეობას.

ბ. ახვლედიანი რამდენიმეჯერ არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის წევრად, საოლქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრია, ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატია. არჩეული იყო აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მე-5 და მე-6 მოწვევის დეპუტატად.

ბ. ახვლედიანის ხანგრძლივი საზოგადოებრივი და მეცნიერული მუშაობა ფართოდ არის ცნობილი, ზოლო მისი ღვაწლი — სათანადოდ დაფასებული. იგი შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერია, დაჯილდოებულია მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, სსო კავშირის კულტურის სამინისტროს წარჩინებული მუშაკის სამკერდე ნიშნით. მინიჭებული აქვს აჭარის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის, აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებები.

ბ. ახვლედიანს ამშვენებს უაღრესად ადამიანური კეთილშობილება, პუმიანზში, თავმდაბლობა, პრინციპულობა, მეგობრობა, იგი ლენინური პარტიის ღირსეული წევრია.

არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არ ვთქვათ ბ. ახვლედიანის ოჯახზე. მისი მეუღლე თამარ კვაჭაძე ლენინის ორდენის კავალერია, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელია.

ჩვენი საზოგადოებრიობა გულითადად აფასებს ბ. ახვლედიანის მიერ განვლილ უაღრესად საინტერესო გზას. 80 წლის მკვლევარი დღესაც დაუღალავად იღვწის სამეცნიერო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სარბიელზე, და ჩვენც ახალ წარმატებებს ვუსურვებთ მას ამ კეთილშობილურ საქმეში.

ნუზგარ მგელაძე

დიდაჭარის სოფლების წარმოშობის ისტორიისათვის

დიდაჭარა უძველესი დასახლებული პუნქტია. ამის დამადასტურებელია დიდაჭარაში აღმოჩენილი ბრინჯაოს კოლხური ცულები, რომლებსაც ძვ. წ. XIV-XIII სს. აკუთვნებენ. როგორც ჩანს, ზემო აჭარასთან ერთად დიდაჭარაც (ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში) შედიოდა კოლხური კულტურის გავრცელებულ

1935
1936
1937
1938
1939
1940
1941
1942
1943
1944
1945
1946
1947
1948
1949
1950
1951
1952
1953
1954
1955
1956
1957
1958
1959
1960
1961
1962
1963
1964
1965
1966
1967
1968
1969
1970
1971
1972
1973
1974
1975
1976
1977
1978
1979
1980
1981
1982
1983
1984
1985
1986
1987
1988
1989
1990
1991
1992
1993
1994
1995
1996
1997
1998
1999
2000
2001
2002
2003
2004
2005
2006
2007
2008
2009
2010
2011
2012
2013
2014
2015
2016
2017
2018
2019
2020
2021
2022
2023
2024
2025

ბის არეალში. ყველაფერი ეს მოცემულ ხანაში დიდაჭარას მეურნეობრივად და სო-
ციალურად დაწინაურებულ რეგიონად გვისახავს, რაც ერთგვარი დასაბუთებაა ისტო-
რიულ-გეოგრაფიული სახელწოდებისა — „დიდაჭარა“, რომელიც ფეოდალური ხანის
აჭარის თავდაპირველი ცენტრი უნდა ყოფილიყო¹. არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ
მასალებთან ერთად ამაზე უნდა მიუთითებდეს ქართლის ცხოვრებაში დაცული ერთი
მეტად მნიშვნელოვანი ცნობა, რომლის თანახმად ანდრია მოციქული ტრაპიზონიდან
„შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების“². X-XI საუკუნე-
ების ისტორიულ ძეგლში ტერმინი „ქვეყანა“ სოფლის, თემის ან, საერთოდ, მიწა-
წყლის თუ მიწის მნიშვნელობითაა ნახმარი. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, ძველ
ქართულში მიწა ტერმინ „ქვეყანა“-თი აღინიშნებოდა³. ასევე, ძველ ქართულ მწერ-
ლობაში ტერმინი „ქვეყანა“ სოფლის მნიშვნელობითაა დამკვიდრებული, ხოლო სოფე-
ლი — „დაბა“-ს. მკვლევარის მიხედვით, „ქვეყნის“ თანამედროვე მნიშვნელობით ხმა-
რება VIII საუკუნიდან შემოდის⁴.

დიდაჭარა მდებარეობს ზემო აჭარაში და „მდ. აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადის
— ღორჯომის წყლის მარჯვენა მხარეს, მაღლობებზე შეფენილ ტერასას წარმოადგენს.
იგი შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან აჭარისწყლის შეყოლებით, აღმოსავლეთის მი-
მართულებით დაახლოებით 100 კმ-თაა დაცილებული, ხოლო ზღვის დონიდან 1000 მ.
სიმაღლეზე მდებარეობს“⁵. დიდაჭარა საშუალო სიმაღლეების დასახლებაა. დასახლე-
ების ძირითადი ერთეული სოფელი და უბანია⁶. აჭარაში ამ უკანასკნელის აღ-
სანიშნავად დამკვიდრებულია ტერმინები კარი და მოგვიანებით მექელე. ამასთან
უბნის აღმნიშვნელად დადასტურებული ტერმინი კარი აჭარის სხვადასხვა კუთხეში
ტოპონიმების სახითაც გვხვდება. მაგალითად, იაილაკარი⁷, ჯამიკარი და სხვა.

ადრე დიდაჭარა ხევის (თემის ტიპის) დასახლება იყო, რომლის ფორმირებას გან-
ვითარების თავისებური გზა ახასიათებდა. დიდაჭარა საერთო სახელწოდება დასახლე-
ბული პუნქტებისა; (სოფლები ხუციაშვილები, შავაძეები, წულუკიძეები და გობაძე-
ები)⁸.

აჭარაში თემის არსებობა წერილობითი წყაროებითაც დასტურდება. გასული საუ-
კუნის 80-იანი წლებისათვის დიდაჭარის თემში შედიოდა სოფლები გობაძეები, შავა-
ძეები და ხუციაშვილები. თემს ეკუთვნოდა სახნავი და ხეილიანი საკარმიდამო მიწე-
ბი — 60 დესეტინა; საძოვრები — 1.075 დესეტინა; წიწვოვანი ტყე, ადგილ-ადგილ
გაკაფული — 88 $\frac{1}{2}$ დესეტინა; გზები, ბილიკები, კლდეები, ღლეუები და ტბები — 98
დესეტინა. სულ — 2.117 დესეტინა⁹. თემის არსებობას ადასტურებს გ. ყაზბეგიც.
XIX საუკუნის 70-იან წლებში დიდაჭარის მომიჯნავე ღორჯომის თემის შესახებ ავ-
ტორი შენიშნავდა, რომ ღორჯომის „ვრცელი ტერიტორია უკავია ჯგუფ-ჯგუფად გა-
შენებულ სახლებს, მათ შორის მანძილი დაახლოებით ნახევარი ვერსი იქნება“. აქ
„არაა სოფელი ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, არამედ არის მხოლოდ თემი,
რომელსაც ღორჯომს უწოდებენ“¹⁰.

ადრე დიდაჭარის თითოეული სოფელი თემის უბანი იყო, რომლის შიგნით ერთი
ნამოთხავლობის ნათესავები მოსაშლავდნენ. მათ ჰყავდათ საერთო წინაპარი და ნათე-
საობის გენეალოგიურ ზახსაც მისგან გამოთვლიდნენ. ნათესაური ორგანიზაცია
სტრუქტურულად იყოფოდა შედარებით შორეულ და ახლო ნათესავეებად, რომლის
შემქმნა დიდი ოჯახის დაშლის ტრადიციებს უკავშირდებოდა. ახლო ნათესავეებს
გამრიგო, ხოლო შორეულს ძველით გამრიგო ან გამრიგოს გამრი-
გო ეწოდებოდა. ძველით გამრიგოზე ფართო საზოგადოებრივი გაერთიანებაა გვა-
რი, რომლის წევრები მოგვარეებად ითვლებოდნენ. მოგვარეებს შორის სისხ-
ლით ნათესაობასთან დაკავშირებული ვალდებულებები წაშლილი იყო და ნათესაობის
დაკავშირებელი ფუნქციები გვართან შედარებით მცირე სოციალური ორგანიზაციის

ნფეროში ექცეოდა. დიდაჭარაში ყველაზე მცირე სისხლით ნათესაური სოციალური ერთობა კვამლი (კომლი), რომლის პარალელურად XIX საუკუნის მეორე ნახევარში თანაარსებობდა დიდი ოჯახები, ე. წ. ერთიანობის სახლი¹⁰. აჭარის სხვადასხვა კუთხეში, ერთიანობის სახლის მსგავსი ტერმინებია ჯალაბი ოჯახი, ჯარისხელი ოჯახი, დიდი კვამლი. დიდი ოჯახის წევრები ერთობაში ცხოვრებას უწოდებენ მოქმედებას, განუყოფელ სახლობას, სამოსახლს და სხვ.¹¹ ერთიანობის სახლის სეგმენტაციის საფუძველზე განაყარი ოჯახების ახალი ნათესაურ-სტრუქტურული ერთეულები ყალიბდებოდა, ხოლო ოჯახების ზრდა-გამჭიდროვებით დიდაჭარის თემის უბნები სოფლებად გარდაიქმნებოდა. თავის მხრივ, სოფლებად წარმოქმნილი დასახლებები ადგებოდნენ უბნებად დიდვარენციაციის გზას. მაგალითად, სოფ. გობაძეები იყოფა ორ უბნად — ქვედა გობაძეებად და ზედა გობაძეებად¹².

აჭარის მთიანეთში უბნებისა და სოფლების გარკვეული ნაწილის გენეზისი საერთო-სასოფლო ან თემის გაუნაწილებელი და თავისუფალი მიწის ფონდის, ე. წ. ჯუშალი-ის¹³ ათვისების საფუძველზე მიმდინარეობდა. ამგვარ მიწებს ათვისებდნენ იმ სოფლების მეკომურები, რომელთა მფლობელობასაც ექვემდებარებოდა იგი. ამ სახითაა წარმოქმნილი ზემო აჭარაში სოფ. მერჩხეთი, სოფ. ქურდული და სხვ.¹⁴ განვითარების ანალოგიური ხაზი ახასიათებდა ღორჯომსაც. ღორჯომის თემის დასახლებული პუნქტები საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე სოფლებად ყალიბდებიან. „ეს პროცესი განვითარების იმ საფეხურს უნდა შეესაბამებოდეს, როდესაც ხევის უბანი სოფლად იქცა და კარებად დაყოფის გზას დაადგა. იგი მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის პროპორციულად მიმდინარეობდა. თუ ადრე მინთაძეები ხევის უბანი იყო, ახლა ეს პუნქტი სოფლად ითვლება და შვიდ უბანს მოიცავს“. ასეთივეა სოფ. ცეცხლაძეებიც, რომელიც ოთხ უბანს აერთიანებს და სხვ.¹⁵ ჯერ ხდებოდა ტყიანი ადგილის მოახრება,¹⁶ ტყის გაჩეხა და ტერიტორიის ბუჩქნარ-ბარდები-საგან გაწმენდა. ადგილს საყანედ და სათიბად აქცევდნენ. იგი თანდათანობით ყიშლად,¹⁷ საქონლის დროებით სადგომადაც გამოიყენებოდა, ხოლო ზოგჯერ ყიშლის ადგილას ოჯახი მკვიდრდებოდა საცხოვრებლად. ასე დამკვიდრებული ოჯახების სეგმენტაციისა და ზრდა-შემჭიდროვებით ჩნდებოდა დასახლებული პუნქტები უბნის, შემდეგ კი სოფლის სახით. ამის შესატყვისი მასალების ფიქსაცია შესაძლებელი ხდება მხოლოდ გვიან გაჩენილი უბნებისა და სოფლების გარშემო, რომელთა წარმოშობის შესახებ დღესაცაა დაცული გადმოცემები. რაც შეეხება დიდაჭარის სოფლებს, იგი ძველთაგანვე დასახლებული პუნქტები იყო და მათი გენეზისის სოციალური და ეკონომიკური საფუძვლების ძიება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. დიდაჭარის განძის, კოლხური ცულების ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ დიდაჭარა გვიანი ბრინჯაოს დასაწყისში, „შესაძლოა მის შემოგარენთან ერთად (ღორჯომი), შედარებით მცირე რაოდენობის მოსახლეობით, თვითონ წარმოადგენდა დროებით („ყიშლას“ ტიპის) საზაფხულო საძოვარს“. ამ პერიოდისათვის უკვე წარმოდგენილი იყო სიმბიოზური მეურნეობა (მიწათმოქმედება-მესაქონლეობა)¹⁸. ცხადია, ამ პერიოდისათვის არ არსებობდა სოფელი თანამედროვე მნიშვნელობით, რომელიც მოგვიანებით ადრე არსებული დასახლებული ადგილების განვითარების შედეგად ჩამოყალიბდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ დიდაჭარის სოფლები ღორჯომის თემის სოფლების ანალოგიური გზით უნდა წარმოქმნილიყო და განვითარებულიყო. საერთოდ, აჭარაში უმეტესი სამოსახლო ძველი საცხოვრისისა და ნასახლარების ადგილზე ხელმეორედაა გაჩენილი და ათვისებული. ასეთი ნასახლარები ნაქართლის სახელითაა ცნობილი.

დასახლებული პუნქტების, უბნებისა და სოფლების ფორმირების ისტორია ჯერ



ტიკურად უკავშირდება გვარის გენეზისს, მის სადაურობასა და მიგრაციის პროცესს. სოფ. ზუციაშვილებში ამჟამად არც ერთი ზუციაშვილი არ ცხოვრობს, მაგრამ ჰქონდა ჰარის დანარჩენ სოფლებში დღესაც მოსახლეობს იმ საგვარეულოს წევრები, რომელთა გვარსახელი ოდესღაც მიუღია ამ პუნქტს. მაგალითად, სოფ. წულუკიძეებში დღესაც მოსახლეობს წულუკიძეების გვარი, სოფ. შავაძეებში — შავაძეების გვარი, სოფ. გობაძეებში — გობაძეთა გვარი. ახლოვითა აქარის სხვა რეგიონების ეთნოგრაფიული მონაცემებიც, სადაც დასახლების ერთეულთა სახელწოდებაში უმრავლეს შემთხვევაში გვარსახელი წარმოშობისაა. ასეთი სოფლებია ირემაძეები, ტუნაძეები, წინააღმდეგობა, სტეფანაშვილები, ადაძეები, მინთაძეები (ლორჯომი), ვანაძეები, მეკიძეები, ზაზარაძეები (აგარა) და სხვ.¹⁹ ეს გარემოება XIX საუკუნის 70-იან წლებში გ. ყაზბეგსაც შეუნიშნავს. მისი დაკვირვებით, აქაური დასახლებული პუნქტები „სახელს მცხოვრებთა გვარის მიხედვით ატარებენ“.²⁰ ერთი კორესპონდენტის ცნობითაც, აქაურ „სოფლებს ის სახელი ჰქვია, რა გვარის კაცებიც სახლობენ“ მის შიგნით.²¹

არსებული გადმოცემების მიხედვით, დიდაჭარის სოფლების — შავაძეების, გობაძეებისა და ზუციანთების წარმოშობა შარვაშიძეების გვარს (ამ გვარის წინაპრებს) უკავშირდება. ძველად შავაძეების სამი ძმა აფხაზეთიდან მოსისხლეებს გამოექცა და ბათუმის მიდამოებში დასახლებულა. მტრებს მიუგნიათ მათი სამოსახლო და ძმები იძულებული გამხდარან კვლავ გაიზნულიყვნენ. ერთი ძმა ახალციხეში გადასულა, მეორე ძმა, რომელსაც სახელად ალიქა რქმევია, ქედის მახლობლად დამკვიდრებულა და მისი ახალი სამოსახლოსათვის ალიქიანთები დაურქმევიათ. მესამე ძმა დიდაჭარაში ასულა, გვარი შეუცვლია და შავაძედ დაწერია. შემდგომში მისი ზოგიერთი ჩამომავალი შარაშიძეს გვარზე გადასულა. დიდაჭარაში ამოსულ ძმას თან ზღებია მოსამსახურე ქიტეა და ერთი ზუცესი. სოფ. გობაძეებში დღესაც მოსახლეობს გობაძეთა გვარის ქიტიენთი მოდგმა. ადგილს, სადაც ზუცესი დასახლებულა, ზუციანთები უწოდებს.

გადმოცემის მეორე ვარიანტით, დიდაჭარის მკვიდრი წორაკიძეებისა და შავაძეების წინაპრები ვაბო და ქიტო მელვინეები ყოფილან. თქმულებით, პირველი ახლანდელ გობაძეებში, ხოლო მეორე ქიტიაშვილებში ცხოვრობდა. სოფელსა და დასახლებულ ადგილს ქიტოდან ეწოდა ქიტიაშვილები, ხოლო ვაბოდან — გობაძეები.²²

ამჟამად სოფ. შავაძეებში მოსახლეობს შავაძეთა (ესენი თავიანთ გვარს შარაშიძესაც უწოდებენ²³) რამდენიმე მოდგმა: ეფენდიანთები (1 კომლი²⁴), ბეკირიენთ ჩამომავლობა (9 კომლი), ჯელეთიენთები (7 კომლი), პაწაშაინთები (13 კომლი), შუანთები (5 კომლი), ჭოჭიენთები, იგივე ჯოჯიენთები (9 კომლი), ლაკოლიენთები, იგივე ქუჩუგალიძეები (9 კომლი), ფითიენთები (13 კომლი), ზემოანთები (4 კომლი), გედუგანთები (5 კომლი). შავაძეების გარდა აქ დასახლებულია დემეტრაძეების ერთი კომლი, რომლის წინაპარი არდაზანიდანაა მოსული და ხოჯიენთებად იწოდება.

სოფ. გობაძეებში სახლობს მელაძეთა გვარის კეკერიენთ ჩამომავლობა (14 კომლი), გობაძეთა ემრულიენთ მოდგმა (2 კომლი), ჩელებიენთები (8 კომლი), რეჯებუსრიენთი (5 კომლი), ქიტიაშვილები (16 კომლი), ხემშიენთები (4 კომლი) და სხვ.

სოფ. ზუციაშვილები დასახლებულია შემდეგი გვარებით: ბოლქვაძეთა გვარის ჯალაბიენთები იგივე ნანუზიენთ განშტოება (16 კომლი), ყარახმედიენთები (1 კომლი), ფაჩიენთები (4 კომლი). ხოზრევანიძეთა გვარის კვეტერიენთები შეადგენს ცხრა კომლს, საწიმარიენთები — ოთხ კომლს, ყარსაშვილები — ერთ კომლს და სხვ.

სოფ. წულუკიძეებში ქვედა წულუკიძეების დასახლებული პუნქტი მონოგენური. მასში მხოლოდ წულუკიძეების ოცი ოჯახი მოსახლეობს.

წულუკიძეები აღრე წორაკიძეებად იწოდებოდნენ, მაგრამ გადმოცემის თანახმად, ისინი ზულ ძველადაც წულუკიძეები ყოფილან და შემდგომში თავისი გვარის თავდაპირველი სახელწოდება დაუმკვიდრებიათ. მათ ახასიათებთ კომპაქტურობა და ტერი-

ტორიული მთლიანობა, რომელიც ლოკალური ერთობით გამოიხატება. სოფ. წულუკი-
ძეებში სქემაზე მოცემული ქვედა წულუკიძეების შიგნით მოსახლე წულუკიძეების
(წორაქიძეები) გვარის ოჯახების გარდა, მათ მახლობლად მოსახლეობს წულუკიძე-
ების ჩაუვანიენთ ნათესაური ჯგუფი (11 კომლი), პალავაიენთები (7 კომლი). პალავაიენ-
თები ამჟამად წულუკიძეებად ითვლებიან, ადრე კი ისინი ტარიელაძედ იწერებოდნენ,
რომლის სახელწოდება ებონი ტარიელადან მომდინარეა.

ამრიგად დიდაქარის, ისევე, როგორც აჰარის სხვა ხეობების სოფლების წარმოშობი-
სა და განვითარებადი ხაზის დადგენისათვის არქეოლოგიურ მასალებთან და წერილო-
ბით ცნობებთან ერთად პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება მიწისმფლობელობის
ფორმების, გვართა განსახლების, თქმულება-გადმოცემებისა და მოსახლეობის მიმოქ-
ცევის, კერძოდ, მიგრაციათა პროცესების გარკვევას. მიგრაციები აჰარაში არა მარ-
ტო შევასაზღვრო, არამედ უფრო ფართო ხასიათისაც იყო. აჰარაში მოსახლეობის მი-
მოქცევა გარკვეულ პერიოდებში სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარე-
ბით იყო განპირობებული (სისხლის აღება, შიშინაობა — მტრის თავდასხმების სა-
შისრობა, უამიანობა და ეპიდემიები, ბატონყმური ურთიერთობა, როცა ყმა გაურ-
ბოლა ბატონს და სხვ.). ადგილობრივ მოსახლეობაში შეიმჩნევა გურიიდან და მესხე-
თიდან გადმოსახლებულთა დაფენება. ხდებოდა პირუკუ პროცესებიც. მიუხედავად
მიგრაციათა სიჭარბისა, რომელიც სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა შინაარსის ატარებ-
და, დიდაქარაში და საერთოდ აჰარის მთიანეთში დასახლებული პუნქტებისა და სოფ-
ლების ფორმირება წარმოებდა ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე, კერძოდ ოჯახ-
ების ზრდა-გამჭიდროების საფუძველზე.

შენიშვნები

1 ა. ინაიშვილი, დიდაქარის განძი და კოლხური ნივთიერი კულტურის ისტორიის
ზოგიერთი საკითხი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ძეგლები, თბილისი, 1975,
გვ. 24, 49.

2 ქართლის ცხოვრება, 1, თბილისი, 1955, გვ. 39.

3 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი I, ტფილისი,
1930, გვ. 131-135, 149.

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბილისი, 1948. გვ. 1-2;
მისივე, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ტფილისი, 1928.

5 ა. ინაიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 24.

6 მაჭახლის ხეობაში ნ. კახიძეს დამოწმებული აქვს სოფ. ჩიქუნეთის უბნის სა-
ხელწოდება ი ა ი ლ ი კ ა რ ი. ეს უბანი ადრე საზაფხულო საძოვარი იყო. „ზოგიერ-
თი მესაქონლე ოჯახი დაზამთრებამდე აქ რჩებოდა, თუ საამისო პირობები არსებობდა.
ასეთი იაილები ოჯახის იმ წევრებისათვის, რომელთაც საქონლს მოვლა-პატრონობა
ჰქონდათ მინდობილი, ზამთარ-ზაფხულ საცხოვრებელსაც წარმოადგენდა და თანდა-
თანობით მუდმივი დასახლების ხასიათს ატარებდა“. (ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბა-
თუმი, 1974, გვ. 51.).

7 ადგილობრივი მკვიდრნი დასახლებულ სოფლებს შემდეგი ფორმებით მოიხსე-
ნიებენ: შავაძეები, წულუკიძეები, გობაძეები.

8 ა. ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აჰარაში, ბათუმში, 1960, გვ. 122.

9 გიორგი ყაზბეგი აჰარის შესახებ, ბათუმი, 1960, გვ. 84.

10. ვლ. მგელაძე, შრომის ორგანიზაცია და მმართველობა აჰარელთა ოჯახში ძვე-
ლად, აჰარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბილისი, 1967.

11. Т. А. Ачугба. Из истории семейного быта Аджарии, Тбилиси, 1982, с. 203.

12 ალ. რობაქიძე, მასალები პატრიონიმიური ორგანიზაციის ისტორიისათვის აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, II, თბილისი, 1974, გვ. 28.

13. Н. В. Мгеладзе. Из истории общественных отношений в верхней Аджарии. Очерки этнографии Аджарии, Тбилиси, 1982, с. 216.

14 ნ. მგელაძე, ზემოაჭარული სოფლის გენეზისის საკითხისათვის (სოფელი აგა-ოა), ჟურნ. „ქორონი“, № 2, ბათუმი, 1982, გვ. 92.

15 ვლ. მგელაძე, ზემოაჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1973, გვ. 24.

16 ნ. ჩიჯავაძე, ახლობა აჭარაში, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბილისი, 1967.

17 ვ. შამილაძე, ალბური მესაქონლეობა დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 1969.

18 ა. ინიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

19 ვლ. მგელაძე, ზემოაჭარული სოფელი ძველად, გვ. 29.

20 გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, გვ. 87.

21 გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 578. 1898.

22 ვლ. მგელაძე, ზემოაჭარული სოფელი ძველად, გვ. 31.

23 მთხრობელთა განმარტებით, შვაძედ იმიტომ დაიწერენ, რომ ეს გვარი ზოთ-ქოს ადვილი წარმოსატყმელია შარვაშიძესთან შედარებით. ვლ. მგელაძე. აჭარის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები, პირადი არქივი. როგორც ჩანს, შარვაშიძეებისა თუ შარვაშიძეების ჩამომავლებს გვარი შვაძე ამ გვარების გარეგნული მსგავსების გამო უნდა მიეღოთ.

24 ეფენდიეთ ჩამომავლობის ამ ოჯახის ერთი ძმა, რომელიც ზულოში ცხოვრობს ამჟამად შარვაშიძედ იწერება.

სათხრობი: პირობები, პერსპექტივები

შიგასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის მდგომარეობა და განვითარების ამოცანები ბათუმის სფეროებში

სკკპ XXVI ყრილობაზე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების ხანგრძლივი კურსი რომ დაიხატა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ საქმის წარმატების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ეკონომიკური ბერკეტებისა და მატერიალური სტიმუ-

ლირების უნარიანი გამოყენება.

ერთი ასეთი მძლავრი ბერკეტია გაერთიანებათა და საწარმოთა, აგრეთვე შიგასაწარმოო სამეურნეო ანგარიშსწორების სრულყოფა იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ რესურსები და მივიღოთ უკეთესი სახალხო-სამეურნეო შედეგები.

მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ სამრეწველო საწარმოში თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისობით არ არის მოწყობილი შიგასაწარმოო ანგარიშსწორება, ზოგან მოძველებული დებულებით სარგებლობენ ან სულაც არ აქვთ საკუთარი დებულება და ტიპური აუდიტით სახელმძღვანელოდ.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ბათუმის სამრეწველო საწარმოებში? შევისწავლეთ ზუთი საკავშირო და ცხრა რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმო. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ჯერ კიდევ 1966 წელს შეიმუშავეს შიგასაწარმოო ანგარიშსწორების დებულება, რომელიც აქამდე მიქმედებს. სამეურნეო ანგარიშზეა ყველა საამქრო. ამ სისტემაში ჩართულია ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ნატურალური და ფულადი გამოსახულებით, ნედლეულისა და ძირითადი მასალების ნორმატივები და პროდუქციის თვითღირებულება მისი ყველა ელემენტის დანახარჯის, მოგების, პერსონალის რიცხოვნების, ხელფასისა და პრემიის ფონდის მიხედვით. სამეურნეო ანგარიშის საამქროების მუშაობის შედეგებს გაანალიზებენ ხოლმე და გამოავლენენ შრომითი, მატერიალური და საფინანსო ნორმებისა და ნორმატივებისაგან გადახრებს და მასალებს წარუდგენენ სამეურნეო ანგარიშის ხელმძღვანელობის კომისიას, რომელიც შეაფასებს მათ ნამუშევარს და მიიღებს გადაწყვეტილებას პრემიების ოდენობის თაობაზე.

მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ნორმატივები უნდა იცვლებოდეს ყოველწლიურად მიღწეული შედეგებისა და რეზერვების შესაბამისობით, რასაც არ ითვალისწინებს ამ საწარმოში მოქმედი დებულება.

გაერთიანება „კავკაზტრანსფორმა-

ტორში“ შეუმუშავებიათ ახალი დებულება, მაგრამ იგი ჯერ არ დამტკიცებიათ და არც მოქმედებს. ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში შარშან მიიღეს ახალი ტიპური დებულება, მაგრამ მის ბაზაზე არ შეუმუშავებიათ საკუთარი, ხოლო საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანაში, 1967 წლიდან მოყოლებული, არ მიუღიათ რაიმე რეკომენდაცია ან დებულება სამეურნეო ანგარიშსწორების თაობაზე და პრაქტიკულად არც კეთდება რაიმე.

აჭარის თევზსაჭერი ფლოტის სამმართველოში 1960 წლიდან სამეურნეო ანგარიშსწორებით მუშაობენ თევზსაჭერი ტრალერები, იყენებენ ყველა მანევრებელს და სხვა საწარმოებისაგან განსხვავებით შეუმუშავებული, დამტკიცებული და გამოყენებული აქვთ მატერიალური სტიმულირების სისტემა. ყოველი რეისის დავალების შესრულებისას და გადამეტებით შესრულებისათვის სეინერის ეკიპაჟს დაენიშნება პრემია, ხოლო თუ ვერ შეასრულა დავალება, ყოველ ცალკეულ შემთხვევას განიხილავს კომისია და ეკიპაჟს მოეხსნება პრემია.

ამ სამმართველოს სანაპირო უბნებში, ისევე როგორც ზევით ჩამოთვლილ საწარმოებში, სამეურნეო ანგარიშსწორება დანერგულია ნაწილობრივ. 42 ბრიგადა იყენებს შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტს. შექმნილია და მუშაობს შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის გამოყენების, ეფექტიანობის ამაღლებისა და ამ საქმის შემდგომი განვითარების კომისია. ახლებურად უკვე მუშაობს ორი ბრიგადა: ვარაუდობენ, რომ ზუთწლედის ბოლოსათვის ამ სისტემაზე გადავა მთელი ბრიგადების 65 პროცენტი. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა აჭარის საკონსერვო მრეწველობის კომბინატში, ბათუმის საწარმოო-სავაჭრო



ფირმაში, კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში.

საბრიგადო სამეურნეო ანგარიშსწორების ფართოდ დანერგვის მიზნით სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტმა და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ დაამტკიცეს მრეწველობაში საბრიგადო-სამეურნეო ანგარიშსწორების რეკომენდაციები, რომლებიც საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ 1984 წლის აპრილში მიიღო. ზორცისა და რძის მრეწველობის საწარმოებმა — ივლისში. ამასთან ერთად მიიღეს დავალებაც, რომლის შესაბამისად აჭარის პურკომბინატს, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკას, თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანას, ხილეულის წყლებსა და ლუდის ქარხანას და საკონდიტრო ფაბრიკას სამეურნეო ანგარიშსწორებაზე უნდა გადაეყვანა თითო ბრიგადა.

რეკომენდაციებში მითითებულია, რომ ბრიგადის სამეურნეო ანგარიშსწორებაზე გადაყვანა შეიძლება ამ ბრიგადის კოლექტივის, აგრეთვე პროფკავშირის კომიტეტის თანხმობით და უნდა გაფორმდეს ბრძანებით.

ამას გარდა, საამქროს ადმინისტრაციისა და სამეურნეო ბრიგადის შორის უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება, უნდა შედგეს ბრიგადის პირადი ანგარიში. ბრიგადა ვალდებულია იღებდეს, რომ შეასრულებს სამუშაოს ნატურალური მაჩვენებლებით, უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის გამოშვების რიტმულობას დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისობით.

მაგრამ სამწუხაროდ ჩამოთვლილ საწარმოებში ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა.

შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენებაზე გადაყვანილია: საკონდიტრო ფაბრიკაში — 6 ბრიგადა, თამბაქოს ფაბრიკაში — 2, თამბაქოს

საფერმენტაციო ქარხანაში — 3, ხილეულის წყლებისა და ლუდის ქარხანაში — 4, რძის ქარხანაში — 1, ხორცის კომბინატში — 4.

კარგად არის საქმე ბათუმის ხისდასამუშავებელ კომბინატში. ახლა აქ 39 ბრიგადიდან 30 ბრიგადა იყენებს შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტს, ბრიგადებში გაერთიანებულია მთელი მუშების 82 პროცენტი.

კომბინატში დიდი ყურადღება ეთმობა საბრიგადო ანგარიშსწორების დანერგვას. ახალ სისტემაზე უკვე გადაყვანილია 3 ბრიგადა — ერთი სააეჯო საამქროს მომპირკეთებელი, ხოლო ორი ნარჩენების გადასამუშავებელი საამქროსი. ამ ბრიგადებში გაერთიანებულია 80 მუშა.

ბრიგადების სამეურნეო ანგარიშსწორებაზე გადაყვანა განაპირობა შესასრულებელი სამუშაოს ხასიათმა, რამაც საშუალება მისცა მათ განესაზღვრათ არა მარტო შრომითი დანახარჯები და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, არამედ აგრეთვე ნედლეულისა და მასალების ხარჯვის ნორმებიც.

შემოთმთქმანილი მაგალითებით აშკარად ვერწმუნდებით, რომ იმ კოლექტივებში, სადაც სერიოზულად მიუღწევნენ მეურნეობის მართვის სრულყოფას, საქმე კარგად არის, წარმატებით იწერება სამეურნეო ანგარიში. მათი მოწინავე გამოცდილება ფართოდ უნდა გავრცელდეს სხვა საწარმოებშიც.

ანა ალვანდიანი,

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების აჭარის განყოფილების უმცროსი მეცნიერი მუშაკი.

ანჟორ ზამბახიძე

იოსებ ბარდანაშვილი

ახლობლები ჩვეულებრივ სოსოს ეძახიან.

ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მაგრამ რა ბევრის გაკეთება მოასწრო პროფესიაში, რომელშიც ნამდვილი წარმატება, საყოველთაო აღიარება უფრო ხშირად ხანდაზმულ ასაკში მოდის.

ეს კი შეაძლებინა დაუღალავმა შრომამ, ცხადია, შერწყმულმა ნიჭიერებასთან, სიყვარულმა არჩეული საქმისადმი, პროფესიისადმი.

პროფესია — კომპოზიტორი.

დაბადების წელი — 1948.

დაბადების ადგილი — ბათუმი.

ყველა ბათუმელისა და არა მხოლოდ ბათუმელის მსგავსად, შეყვარებულია ბათუმზე (იქნებ ამიტომაც ჯერ მუსიკაში ვერ გაუცხადებია ეს სიყვარული). ხშირად შეხვედებით მის ქუჩებში, ზღვისპირა პარკში, სექტაკლებზე, კონცერტებზე, საზეიმო თუ საქმიან შეხვედრებზე. ჩვენს გვერდით ცხოვრობს, შრომობს, ოცნებობს. აღსავსეა გეგმებითა და ჩანაფიქრებით, რწმენითა და ენერგიით, ადამიანის სიყვარულით და მისთვის სამსახურის სურვილით.

სოსო ბარდანაშვილი ხელოვნების ურთულესი დარგის — მუსიკის საშუალებით აღწევს გამონათოს თავისი თანამედროვის ფიქრები და გრძნობები, გამოთქვას თავისი თაობის აზრები და მისწრაფებები. უხმაუროდ, უპრეტენზიოდ აკეთებს იგი თავის საქმეს: თხზავს მუსიკას, კმნის სახეთა მისეულ სამყაროს, სიხარულს, სიამოვნებას, ანიჭებს ადამიანებს. აკი კეშმარიტ ტალანტს არც ჩვევია ხმაური. არც გაყუყუჩება.

იმთავითვე სოსო ცდილობდა საკუთარი გზით ევლო, იმთავითვე ეძიებდა და ჰპოვა კიდევ საკუთარი ხელწერა, საკუთარი სტილი.

რით, როგორ დაიწყო მუსიკით მისი გატაცება?

სოსოს მამა იუზა ბარდანაშვილი მხატვარია და ეს, ბუნებრივია, საკმარისი იყო, რომ სამივე ვაჟიშვილს სულ პატარაობიდანვე ხატვის ინტერესი გასჩენოდა. სოსოც თავგამოდებით სწავლობდა ხატვას. მასაც და ყველა ახლობელსაც ეგონათ, რომ მხატვარი გამოვიდოდა, მაგრამ მოწოდებამ თავისი ჰქმნა, მუსიკამ გაიტაცა და ბათუმის მე-2 საშუალო სკოლაში, სადაც სწავლობდა, სასულე ორკესტრში დაიწყო მეცადინეობა. ხაყვირა აირჩია. მაშინ ცამეტი წლისა იყო. ასე რომ, ერთობ გვიან შეუღდა მუსიკის შესწავლას.

გატაცებას პირველი სერიოზული ნაბიჯიც მოჰყვა: სამუსიკო სასწავლებელში შევიდა, სოპრანო გავყუდილებზე. თითქმის მაშინვე დაიწყო მუსიკის შეთხზვა. წერდა იმიტომ, რომ გაუჩნდა მოთხოვნილება — მუსიკის ენით გადმოეტა თავისი გრძნობები და ფიქრები, ესეცაა: პირველ შემოქმედებით ცდებს არცთუ სერიოზულად ეკიდებოდა.

როცა „გაქადნიერდა“ და ის პირველი თხზულებები კომპოზიტორ ალექსი ფარ-

ცხალამეს აჩვენა, მან შეუძღომლად იგრძნო ყმაწვილის უზადო ნიჭი და დაბეჯითებით ურჩია თბილისში გაეგრძელებია სწავლა.

ალექსი ფარცხალაძის რჩევისამებრ, სოსო თბილისს წავიდა და მე-4 სამუსიკო სასწავლებელში განაგრძო სწავლა კომპოზიციის განხრით. შემდეგ კონსერვატორია, პროფესორ ალექსანდრე შავერზაშვილის კლასი... 1973 წელს დაამთავრა კონსერვატორია. ორი წლის შემდეგ — ასპირანტურაც.

ჯერ კიდევ პირველ კურსზე, 1968 წელს, სოსო ბარდანაშვილის ნაწარმოებები პირველად აუღერდა საჯაროდ, ახალგაზრდა კომპოზიტორთა პლენუმზე. ოცი წლის მუსიკოსისათვის უკვე ეს ფაქტი დიდი პატივი იყო და, რასაკვირველია, სტიმულიც შემდგომ შემოქმედებითს მუშაობაში.

ამ მხრივ გამიმართლათ, ამბობს, რა ნაწარმოებიც კი დაეწერე სტუდენტობისას, ყველა სულ მალე შესრულდა.

ოღონდ ცოტაა, ალბათ, ამას გაპართლება უწოდო! უბრალოდ, იმთავითვე შეამჩნიეს მისი ნიჭი და გზას ულოცავდნენ.

იმხანად არ გამართულა არცერთი სტუდენტური ფესტივალი თუ კონკურსი მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევში, მინსკში, სხვა ქალაქებში, სოსოს აქტიური მონაწილეობა რომ არ მიეღო. სისტემატურად გამოდიოდა კონცერტებზე. სხვებიც სიამოვნებით ასრულებდნენ მის ნაწარმოებებს. პირველი წარმატებებით გათამამებული, ინტენსიურად მუშაობდა. იმთავითვე დასწენდა ინტერესთა უჩვეულო სიფართოვე, ლტოლვა ეანრობრივი მრავალფეროვნებისადმი.

როცა ახალგაზრდა კომპოზიტორთა სრულიად საკეშირო დათვალეობაზე მოსკოვში ბარდანაშვილის სადიპლომო ხმამაღარი — საფორტეპიანო კვინტეტი აუღერდა, მუსიკალური სამყაროსათვის ნათელი გაჩნდა, რომ მისი სახით საიმედო ძალა მოვიდა.

თავად სოსო თვლის, რომ პირველი ნამდვილი გამარჯვება, აღიარება მას კვინტეტთან ერთად მოუტანა სავიოლინო სონატამ. ორივე დიდი წარმატებით შესრულდა თბილისში, ლენინგრადსა და მოსკოვში.

შემდეგ იყო „პოემა-დილოგი“, რომელიც პირველად შესრულდა 1976 წლის 2 აპრილს, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე, პირველად და საგანგებოდ ახალგაზრდების შემოქმედებას რომ მიეძღვნა. თვით ავტორმა იგი თავისი შემოქმედების ადრეული პერიოდის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად მიაჩნია.

„პოემა-დილოგი“ დაწერილია ფრიად უჩვეულო შემადგენლობისათვის — ჩელოს, ფორტეპიანოს, გიტარისა და ოთხი ვალტორნისათვის, დაწერილია თანამედროვე სტილში. მას საფუძვლად უდევს ადამიანის კონფლიქტი სინამდვილის წინააღმდეგობებთან. მისი გმირი საბრძოლველად იწვევს ბედისწყრას და ამ ბრძოლაში იცავს თავის იდეალებს. ფინალში ადამიანის ხმისა და გიტარის ელერას, ახალი სიცოცხლის დაბადებას რომ უმღერიათ, აღიქვამთ, როგორც ნაწარმოების ფილოსოფიურ დასკვნას — ცხოვრების, სიცოცხლის არსი ჰუმანისტური საწყისის მარადიულ ზეიმში!

„კამერული კონცერტებისა და, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მთელი პლენუმის კულმინაცია გახდა იოსებ ბარდანაშვილის „პოემა-დილოგი“, — წერდა გაზეთი „კომუნისტი“, — ამის დასტურია დარბაზის რეაქცია, რომელიც ოცაიებით შეეგება ნაწარმოების ფინალს.

ეს უდავოდ ყველაზე საინტერესო შეხვედრა იყო პლენუმზე. ბარდანაშვილის „პოემა-დილოგი“ გაოცებთ აზრის სიღრმით, ცხოვრების მოვლენების ფართო აღქმით, ადამიანურობით, გულწრფელობით. „პოემა“ ჰუმანიტარულ დრამატული ტილოა, რომელიც გულგრილს არავის ტოვებს. ფართოა ავტორის გამომსახველობითი ხერხების დიპაზონი. პლენუმზე წარმოდგენილ ნაწარმოებთაგან „პოემა“ იყო ყველაზე ნა-

თელი მაგალითი იმისა, როცა ტექნოლოგიური არსენალი თვით ნაწარმოების დედა-
რით არის განპირობებული. „პოემის“ მუსიკალური სახეები, საოცრად სახიერ-
რალურია. მუსიკალური აზრი ვითარდება ნათლად, თანმიმდევრულად და დამაჯერებ-
ლად“.

ჩინებული შეფასებაა 25 წლის შემოქმედის ქმნილებისა!

ქების სიტყვები არც სხვა გაზეთებმა დაიშურეს. „პოემა-დილოგი“ ერთხმად
აღიარეს, როგორც უაღრესად ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც გამოირჩევა
თვითმყოფადობით, შინაარსისა და აზრის სიღრმით, გამომგონებლობით.

ამის შემდეგ ავტორის რეპუტაცია განამტკიცა საფორტეპიანო სონატამ, რომლის
პირველი შემსრულებელი იყო ნანა ხუბუტია.

1977 წლის თებერვალში ბათუმში, სახელმწიფო თეატრში, გაიმართა პრემიერა
პირველი ქართული როკ-ოპერისა „ალტერნატივა“. იგი საგანგებოდ ანსამბლ „75-
სათვის“ დაიწერა. დადგმა განახორციელა რობერტ სტურუამ.

ისე როგორც ყოველმა სიახლემ, როკ-ოპერამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.
ერთნი ხელადებით უარყოფენ ამგვარ ნაწარმოებს, მეორენი დიდად კმაყოფილნი,
ტაშს უკრავდნ და მიესალმებიან.

ასეა თუ ისე, ამ ქანრის პირველ ქართულ ნიმუშს, ხარვეზებთან ერთად, აქვს
უდავო ღირსებები, მისი რამდენიმე ნომერი კი ძალზე პოპულარული გახდა და დღე-
საც სიამოვნებით ვისმენთ.

„ალტერნატივა“ ანსამბლმა საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში ჩაიტანა, შემოკლე-
ბული სახით — საზღვარგარეთაც. განსაკუთრებული წარმატება ხვდა მას ლენინგ-
რადში, სადაც წარმოდგენდნენ ისეთ საპრესტიჟო დარბაზში, როგორიცაა ოქტომბ-
რის საკონცერტო დარბაზი. რამდენიმე კვირის მანძილზე ოთხთათასკაციან დარბაზში
ანშლავები არ შეწყვეტილა.

იმ წლებში კამერული მუსიკისა და ესტრადის პარალელურად სოსო ბარდანაშვი-
ლი ნაყოფიარად მუშაობდა თეატრალურ და კინომუსიკაში. აქ გამოადგა ჯერ კიდევ ას-
პირანტურაში სწავლისას ბათუმის სახელმწიფო თეატრის სამუსიკო ნაწილის გამგედ
მუშაობა. სამი წლის მანძილზე მამინ ათამდე სპექტაკლი გააფორმა. მათ შორის „გზა,
ყარამანს ცოლი მოჰყავს“, „შვეიცია“, „ლიკა“, „საბრალებო დასკვნა“ — სტილისტუ-
რად, ჟანრობრივად, ფორმით სრულიად განსხვავებული ნაწარმოებები. მათს წარმა-
ტებაში ახალგაზრდა მუსიკოსის წვლილიც იყო.

შემდგომ, 70-იანი წლების შუახანებში, ახალგაზრდა კომპოზიტორი რუსთაველის
თეატრში მიიწვიეს შეარცის „დრაკონზე“ სამუშაოდ. სიამოვნებით იგონებს, დიდ
ბედნიერებად მიიჩნევს სოსო რობერტ სტურუასთან მუშაობას (ეს „ალტერნატივას“
დადგამად იყო). შემდეგ იქვე მუსიკალურად გააფორმა „მონოლისკი“, მარჯანიშვი-
ლის თეატრში — „ბარონ მიუნჰაუზენის ცხოვრება და გარდაცვალება“, „რომულოს
დიდი“ და სხვა სპექტაკლები.

ბევრი მოკლე და სრულმეტრაჟიანი, მულტიბლიკაციური ფილმის მუსიკის ავტო-
რია სოსო ბარდანაშვილი. „ინდი-მინდი“ და „იყო და არა იყო რა“, „ყველა წმინდა“,
„ურჩხულები“, „გოგონა საკრავი მანქანით“ და „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგ-
ზაურობა“ (ორი უკანასკნელის დამდგმელი-რეჟისორია გიორგი შენგელია), „უკვლე-
ვების თეთრი ვარდი“ (ნანა მკედლიძე) და ბევრი, ბევრი სხვა.

— მაშ, ასეთი ჟანრობრივი მრავალფეროვნების, ინტერესთა მრავალმხრივობის
ვითარებაში, ბოლოს და ბოლოს, სად მიცურდება, რომელ ნავმისადგომთან ჩაუშვებს
ღუზას მისი შემოქმედების ხომალდი?

ეს კითხვაც 1976-1979 წლებს განეკუთვნება, როცა კომპოზიტორი ყველა ჟანრ-



ში წარმატებით ცდიდა კალამს და გვახარებდა შემოქმედებითი მრავალფეროვნებით. საინტერესო მიგნებებით, პროფესიონალიზმით.

იმდროინდელია პასუხიც:

— სიმართლე რომ ვთქვა, ჩემთვის ყველა ქანრი ერთნაირად მახლობელია. საქმე ისაა, რისი თქმა რომელ ქანრში უფრო მიზანშეწონილად მივაჩნია. ესე იგი, გააჩნია კონკრეტულ შემთხვევას, კონკრეტულ ამოცანასა და კონკრეტულ ინფორმაციას, რომელიც მუსიკით უნდა გადაიცეს. ხოლო თუ ისე, განყენებულად მივუდგებით, ჩემთვის ყველაზე მახლობელი, ცხადია, სიმფონიური, კამერული მუსიკაა.

მართლაც, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ, უკვე მოწიფულობაში შესვლის პერიოდმა დაადასტურა და განამტკიცა ეს მოსაზრება. თუმცა იგი კვლავინდებურად ესწრაფვის პრაქტიკულად ყველა ქანრს დაეუფლოს.

სწორედ ამ ქანრებში შექმნა მან თავისი უმთავრესი ტილოები, რომელთა რაოდენობა ათზე მეტია!

გავიხსენოთ ტრიო „ბიზეს ხსოვნას“ (1977 წ.), რომელიც თბილისს გარდა ქვერ-და ერევანში, ტალინში, მოსკოვში. ნანა ხუბუტიას, გოგი ტოროშელიძისა და ნატო მელიქიშვილის შესრულებით იგი ფირფიტაზეც ჩაიწერა. გავიხსენოთ კონცერტი ექვს-სიმინი გიტარისა და კამერული ორკესტრისათვის (1979 წ.) და, ბოლოს, გავიხსენოთ ბარდანაშვილის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი სიმფონია, რომლითაც ერთგვარად დასრულდა, შეჯამდა მისი მოღვაწეობის პირველი, ადრეული პერიოდი, თვით კომპოზიტორის განსაზღვრებით კი — გარკვეული ეტაპი მისი შემოქმედებისა.

ნაწარმოების იდეა არის ადამიანის დამოკიდებულება გარესამყაროსთან. იგი თითქმის სამ წელიწადს იწერებოდა და დამთავრდა 1979 წლის გაზაფხულზე. პრემიერა კი გაიმართა უკვე მომდევნო წელს, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მორიგი სეზონის გახსნის კონცერტზე. სადირიჟორო პულტთან იდგა ჯანსუღ კახიძე, სოლისტი გახლდით ტენორი თენგიზ ჩაჩავა (პარტიტურაში ერთობ რთული ვოკალიზმის შეტანით გაღრმავდა თხრობის დრამატიზმი).

სიმფონიამ დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. აღნიშნავდნენ კონცეფციის მასშტაბურობას, ემოციურ დატვირთულობას, მუსიკალური აზრის გადმოცემის სიცხადეს; ხაზს უსვამდნენ, რომ ავტორი უდავოდ პროფესიულად ფლობს ორკესტრს, აქვს უნარი გააქარწყლოს ტემბრული „ლაქები“.

აი, რას წერდა მუსიკისმცოდნე რუსუდან ქუთათელაძე ჟურნალ „სოვეტსკაია მუსიკას“ 1981 წლის მეოთხე ნომერში.

„სიმფონია პროგრამული არ არის, მაგრამ მკაფიო ჩანაფიქრით, რელიეფური თემატიკით მრავალრიცხოვან ალუზიებს წარმოშობს. მუსიკალური თემა განპირობებულია ბარდანაშვილის ხელწერისათვის დამახასიათებელი თავისებურებით. ჩამოყალიბდა რა 60-70-იანი წლების ქართული მუსიკის ნიადაგზე, იგი ამასთან წვდება ებრაული ფოლკლორის დამახასიათებელ თვისებებს და ქმნის ინტონაციურად ახალ, შთამბეჭდავ შენაერთს. არის სიმფონიაში სხვა სტილური შრეც — ციტატა მალერის მეხუთე სიმფონიიდან, ოღონდ აქ იგი მოცემულია არა კოლაჟურად, არამედ თითქმის ავტორისეული მუსიკის ქლერადობიდან ამოიზრდება, მასთან შერწყმულია“.

შემდეგ, რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ეს თხზულება — პირველი ცდა ესოდენ რთულ, კომპოზიციურ ქანრში — უზადო როდია. კერძოდ, უსაყვედურებს ავტორს, რომ მუსიკალური მასალის ინტენსიური განვითარება წარმოქმნის ვაჭიანურებებს, რის გამოც იკარგება სიმწკობრე. მიუხედავად ამისაო, ასკენის რ. ქუთათელაძე, სიმფონიამ თვალნათლივ დაადასტურა, რომ „ბარდანაშვილი შეიძლება ჩავაყენოთ მისი თაობის მუსიკოსთა ყველაზე უკაფიო წარმომადგენელთა რიგში“.

იგივე სახეთა სამყაროა მოცემული კონცერტში ფორტეპიანოს, ჩელოსა და სპი-

ლენძის ჩასაბერი საკრავებისათვის (1981 წ.) მისი პრემიერა გაიმართა საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ახალგაზრდა კომპოზიტორთა კონკურსში. პლენუმზე თბილისში. მემსრულებლები: ნანა ზუბუტია, გოგი ტორთაშვილი და საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის სოლისტთა ანსამბლი ავტორის დირიჟორობით. ზამენელთა ხსოვნაში იგი აღიბეჭდება ავტორისეული შესრულების იმპროვიზაციული სილამით, ტემპერამენტით.

პლენუმისადმი მიძღვნილ ვრცელ მიმოხილვაში ცნობილი მოსკოველი მუსიკის-მცოდნე ნატალია ზეიფასი იმავე „სოვეტსკაია მუსიკაში“ (№ 3, 1983 წ.) წერდა, რომ იოსებ ბარდანაშვილმა, უკვე ჩამოყალიბებულმა კომპოზიტორმა, რომელიც ღრმად და თანადროულად აზროვნებს „თავისთვის აღმოაჩინა ახალი ინტონაციური სფერო — ებრაული ხალხური და ძველებური საეკლტო მუსიკა.

სწორედ ამ ნადავზე იწყო განსაკუთრებულად გახსნა მისმა იშვიათმა მელოდიურმა ნიჭმა: უწყვეტი ინტონაციური დენი განსაზღვრავს მისეული კომპოზიციის ინდივიდუალურ კონტურებს — ეპიკური განფენილობის რიტმით, მკვრამ აღსაყვ მალალი ემოციური დამაბულობით.

დრამატურგიული ღერძი კონცერტისა — ეს არის გზა მელოდიისაკენ (მეოთხე ნაწილს აქვს ქვესათაური „სიმღერა“), რომელზეც ერთმანეთს ეჯახება კონტრასტული სახეები. მათი დაპირისპირება ქანრიითაც გამართლებულია. კლასიკური სიმფონიის ერთ-ერთი „წინაპარი“ კონცერტი ხომ ამასთან უახლოეს კავშირშია სუიტასთან და ოდიტგანვე მიილტვის თეატრალური ფერადონებისაკენ, პლაკატურობისაკენ. ციკლის სტილისტური პლასტები ესაა შესავალი ელეგია — ბეთჰოვენის მთვარის სონატის ფაქტურული ალუზია, საოცრად შერწყმული რომანსულ ინტონაციასთან; ესაა ელეგარე „როხდო-ტოკატა“, სასიცოცხლო ენერგიის კოლოსალური მუხტით; ესაა პირქუშ-ექსტრემური ფსალმოდია „ლოცვები“, ქორალური კულმინაციის პესტროთით — პირველი გაბმული მელოდიით, რომელიც ჯერ კიდევ არ იმღერება, ჯერ მხოლოდ სკანდირებით წარმოითქმება და, როგორც შედეგი, იბადება „სიმღერა“ — დინჯი, მკაცრი (მიუხედავად საყრდენი ბგერების დეკლამაციურ-მელიზმატური ჩამღერებისა) და სიბრძნით გასხივონებული“.

1979 წელს საქართველოს სახელმწიფო საუნდო კამელამ (სამხატვრო ხელმძღვანელი ზივი მუხიშვილი). წარმატებით შეასრულა კომპოზიტორის ოთხი მინიატურა ებრაული პროზიდან (ჯემალ აფიაშვილის თარგმანები). შარშან ეს ქმნილებები ცალკე ფორმად გამოუშვა ფირმა „მელოდიამ“ მოსკოვში.

ასევე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია კონცერტი გიტარისა და კამერული ორკესტრისათვის, რომელიც ამ სამი წლის წინათ შეასრულეს აიკაზ სარქისიანმა და საქართველოს სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა ედუარდ სანაძის ხელმძღვანელობით, ბალეტი „ბალადა ქალზე“ ევგენი ევტუშენკოს პოემის მიხედვით, როკ-ბალეტი „გაზრდილი“, საგანგებოდ შექმნილი აღორძინებული საესტრადო ორკესტრის „რეროს“ პირველი პროგრამისთვის და ჩინებულად დადგმული ბორის ეიფმანის მიერ.

როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით ის ხომალდი იოსებ ბარდანაშვილის შემოქმედებისა არცერთ ნავსადგურში არ აპირებს ბოლავის სიმყუდროვეში თვლმას. იგი ისევ ისე მრავალფეროვანი და მრავალმხრივია, როგორც მოღვაწეობის დასაწყისში.

ბარდანაშვილის მუსიკის სულიერ, სახიერ სამყაროს ტრივიალიზას ვერავენ დასწამებს. საკმარისია მარტო ლიტერატურულ პირველწყაროებს გადაავლო თვალი და ცხადი შეიქმნება, თუ რა დიდია მისი თვალსაწიერ, რაოდენ ფართოა სფერო მისი ინტელექტუალური ინტერესებისა. ჩვეულებრივ სოსო ირჩევს ხოლმე ფილოსოფიურ, ღრმა დრამატიზმით აღბეჭდილ პოეტურ ქმნილებებს. იმას კი არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს — მისი თანამედროვეა პოეტი და მოაზროვნე, თუ შორეული წარსუ-

ლისა, მაგალითად, ვოკალურ-სიმფონიურ პოემას „„ბედისწერას“ საფუძვლად უდევს მოშე იბნ ეზრას ლექსები, ვოკალურ-სიმფონიური პოემა-მინიატურას „ფიქრებს“ კი მარკ ავრელიუსის და გებიროლის ტექსტები, ვოკალურ ციკლს „თოჯინას ბალადას“ კი მიქელანჯელოსი. ჰემინგუეის სახეებითაა შთაგონებული სიმფონიური პოემა „ზღვა და აღამიანი“, ლირიკული სიმღერების ციკლი კი — ვაჟა-ფშაველას პოეზიით.

არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ ბოლო დროს კომპოზიტორმა რამდენიმე სა-ესტრადო სიმღერა შექმნა ახალგაზრდა ბათუმელი პოეტის ვახტანგ ღლონტის ლექსებზე. კომპოზიტორს შეუმჩნეველი არ დარჩა პოეზიაში ახალი სახელის გამოჩენა. და, აი, გაჩნდა სიმღერა „გმაღლობთ, სიყვარულო“. თუმცა მისი ჟანრი საესტრადოა, აბა, ვინ იტყვის, რომ მას აკლია სიღრმე, განწყობილება, მელოდიურობა, ყოველივე ის, რაც ეგზომ მნიშვნელოვანია სერიოზული მუსიკალური ნაწარმოებისათვის და, რაც უფ-ლებას აბრუნებს ამ ნაწარმოების არსებობა რიგით, ორდინარულ ფაქტად მივიჩნიოთ. „...შინა ვადაუნდელ ვალთა ამხსენ, პოეზიის მაღლო, მე ხომ განწირულ ვარ და... გმაღლობთ, სიყვარულო გმაღლობთ!“

მღერის ირმა სოხაძე, ისმენ დიდი ექსპრესიით გამსჭვალულ სიმღერას და აღტა-ცებას ვერ ფარავ, ემოციები გეძალება, გინდება სურვილი — გაშიფრო, ღრმად ჩასწვდე ავტორთა და შემსრულებლის ჩანაფიქრს, საცნაური გახადო მისი ილუმინა-ციით აღსავსე, სიყვარულისათვის ეგზომ დამახასიათებელი საილუმინაციებით მოცული შინაარსი, მისი კონტრასტული განწყობილება.

საოცარია პირდაპირ: ამ პატარა სიმღერა-მინიატურაში, რომელიც სულ რაღაც ორწუთისხანისაა გრძელდება, არის ნაზი ლირიზმიც და აუწყრელი სევდაც, დაეჭვებაც და ვერაგობაც, სილაღეც და უსახლეროდ ნათელი ოპტიმიზმიც, ზღვისებრ უკიდვანო ნივრტაც და ვიწრო ხეულის ბლიკები. ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც მუდამ თან ახლავს ხოლმე სიყვარულს.

და აქ არის მაღალი პროფესიონალიზმი, ჰემარიტი ოსტატობა ავტორისა. ხომ ბედნიერი კავშირია — ახალგაზრდა პოეტი, ახალგაზრდა კომპოზიტორი და ღირიფორი, ახალგაზრდა მომღერალი. საგულისხმოა, რომ თავის პირველ ფირფიტა-გიგანტს, ამას წინათ რომ გამოუშვა „მელოდიამ“, ირმა სოხაძე ამ სიმღერის სათაური მისცა — „გმაღლობთ, სიყვარულო“.

გმაღლობთ, სოსო, ამ მშვენიერი სიმღერისათვის!

გმაღლობთ ბევრი სხვა შესანიშნავი ნაწარმოებისათვის, მთელი შენი ნათელი შემოქმედებისათვის; გასაოცარი შრომისმოყვარეობისა და შრომისუნარიანობისათვის! დიახ, ძვირფასო მკითხველო, იშვიათი შემოქმედებითი ნაყოფიერებით გამოირჩევა სოსო ბარდანაშვილი.

უამრავი კამერული ნაწარმოები — არის, სიმფონია — არის, ბალეტი — არის, როკ-ოპერა და როკ-ბალეტი — არის, საესტრადო სიმღერები — არის, ოცამდე დიდი და მცირე ფილმის მუსიკა — არის. რაღა დარჩა?

ჰო, არის ნამუდვილი, სერიოზული ოპერაც! მისი სახელწოდებაა „მოხეტიალე ვარ-სკვლავები“ და შექმნილია იგი ებრაული ლიტერატურის კლასიკოსის შოლომ ალენზე-მის ნაწარმოების მიხედვით. ლიბრეტო თავად კომპოზიტორმა დაწერა ჩესი ლეზგიშ-ვილთან ერთად. ლექსები — ჯემალ აჯიაშვილისა. ოპერა დასადგმელად მიიღო მოსკო-ვის ებრაულმა მუსიკალურმა თეატრმა. უკვე ეს ფაქტი მოწმობს, რომ საქმე გვაქვს ორიგინალურ, ულტრათანამედროვე საოპერო ნაწარმოებთან.

მოგუსმინოთ თვით ავტორს:

— უპირველეს ყოვლისა, უარი ვთქვი ტრადიციულ არიებზე. ორმოქმედებიანი ოპერა მთლიანად წარმოადგენს ცალკეული სცენების კალეიდოსკოპს. სხვათა შორის,

მუშაობისას არა მარტო მუსიკალურ სახეებზე ვფიქრობდი, არამედ მთელ მოქმედებას, ყოველ მიზანსცენასაც კი ვხედავდი.

— ეს, ალბათ, თეატრში საკმაოდ დიდი ხნის მუშაობის ანარეკლია.

— მართალია. უთუოდ დიდად დამეხმარა თეატრში მუშაობის გამოცდილება, და გამოვიყენე კიდეც გამჭოლი განვითარება, პარალელური მონტაჟი, სცენების დაპირისპირება, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ დინამიურობას, ერთი სიტყვით უწყვეტი განვითარების პრინციპი, რაც ჩვენს თეატრში რობერტ სტურუამ შექმნა და დამკვიდრა.

— სოსო, ზემოთ, შენს შემოქმედებით მრავალფეროვნებაზე, მრავალმხრივობაზე ლაპარაკისას საკმაოდ ხმამაღლა ბევრი „არის“ გამომივიდა და მაინც გამომრჩა კიდეც ორი მხარე შეხი მოღვაწეობისა — საშემსრულებლო ხელოვნება და პედაგოგობა... თავი დავენებოთ დროის დეფიციტს, მოუცლევლობას, თუ გნებავს, მუდმივ ცაიტნოტს, რასაც შენი შრომისუნარიანობის კაცი აუცილებლად უნდა განიცდიდეს. შენ კი საკმაოდ ინტენსიურ საკონცერტო მოღვაწეობასაც ეწევი. ხშირად გამოდიხარ, უკრავ, მღერი, დირიჟორობ, აქარის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთანაც გამოსულხარ ერთობ რთული პროგრამით (არა საკუთარით). მაშასადამე, გიზიდავს სცენა?

— ყველა კომპოზიტორი, იმავდროულად არტისტიცაა და არტისტისათვის სცენა, მოგეხსენებათ, რაც არის. ასე რომ, დროის პრობლემა, მოუცლევობა არ არსებობს, სცენა ჩემი მთელი შემოქმედების განუყოფელ ნაწილად მიმაჩნია და ამიტომაც მიზიდავს მუდამ.

— მაშ, პედაგოგიურ მუშაობასაც დაახლოებით იმავე მნიშვნელობას ანიჭებ, რაკი კონსერვატორიის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში. ესე იგი, ვარკვეულ ფუნქციას აკისრებ პედაგოგის შრომის შერწყმას ძირითადთან და მთავართან — შემოქმედებასთან.

— დიახ და ისევ და ისევ შემოქმედებაში მეტი გაქანებისათვის. ესეც არ იყოს, კომპოზიცია, პოლიფონია და საკრავთმცოდნეობა — საგნები, რომლებსაც ვასწავლი, ძალიან მიყვარს და მუსიკოსისათვის აუცილებლად მიმაჩნია. ამიტომაც ყოველ გაკვეთილს თვითვარ გამოცდად აღვიქვამ, გამოცდად ჩემი მოსწავლეების წინაშე და საკუთარი თავის წინაშეც. მუდამ ვცდილობ ეს გამოცდა ფრიადზე თუ არა, კარგზე მაინც ჩავაბარო!

საკმარისია ითქვას, რომ პედაგოგ იოსებ ბარდანაშვილის ოთხი აღზრდილი: მერაბ ვახიშვილი, თემურ იმნაძე, ოლეგ კოგანი და ვახტანგ მეგრელიძე კონსერვატორიაში ჩაირიცხა და წარმატებით განაგრძობს კომპოზიციის ურთულესი ხელოვნების დაუფლებას. სოსო სისტემატურად ხვდება მთ, დიდ ინტერესს იჩენს მათი წინსვლისადმი, ყოველნაირად ეხმარება. რასაკვირველია, ყველას, ალბათ, არ გაუღიმებს ბედი და ვერ გავა დიდი ხელოვნების გზაზე. მაგრამ ერთი-ორიც ხომ საკმარისია!

— პედაგოგობის მიმართ ესოდენ ინტერესს, არცთუ იშვიათად, საკუთარი პედაგოგი, ან პედაგოგები განაპირობებენ. ვინ იყო შენი საყვარელი პედაგოგი მთელი სწავლის მანძილზე?

— ჩემს კომპოზიტორად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა პროფესორმა ალექსანდრე შავერზაშვილმა და, ცხადია, მახსოვს ეს. დიდად დავალებული ვარ აწ განსვენებულ დავით თორაძისგანაც. მაგრამ პირველი და, ამდენად, დაუვიწყარი პედაგოგი ჩემთვის მუდამ იქნება ალექსი ფარცხალაძე. სწორედ მას ვუმაღლი, რომ კომპოზიტორი ვარ და რაღაც წარმატება მაქვს. აქვე არ შემიძლია სინანული არ გამოთქვა იმის გამო, რომ დღეს, ათეული წლების მანძილზე ერთადერთი პროფესიონალი კომპოზიტორი, ბათუმში რომ მოღვაწეობდა, ეს შესანიშნავი პედაგოგი და ორგანიზატორი, რომელსაც უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენს ქალაქში მუსიკალური კულტურის განვითარებას, რატომღაც მივიწყებულა. არ იქნა და მემორიალური დაფაც კი ვერ გავა

კარით სახლზე, რომელშიც იგი ცხოვრობდა. ალექსი ფარცხალაძის ნაღვანი კი მტკიცედ იმსახურებს. ქუჩაზე რომ არაფერი ვთქვათ, ქალაქის ექვსი სამუსიკო სკოლიდან ერთი რატომ არ უნდა მიკუთვნებოდა მისი სახელი? ამაზეც, ბათუმის მუსიკალური სინამდვილის სხვა მხარეებზე გულისტყვივით ვწერდი შარშან „საბჭოთა ხელოვნებაში“.

— სისო, მოვეშვით გაცვეთილ კითხვას მომავლის გეგმებზე, რადგანაც, გასაგებია, გეგმა-ჩანაფიქრი, კონკრეტული ამოცანა უამრავი გეგნება, უბრალოდ, გაგვაცანი სიახლეები, დაკავშირებული შენს შემოქმედებასთან, იქნება ეს თხზვა, შესრულება, ჩაწერა თუ სხვა რამ.

— დავამთავრე კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, რომელსაც სახელწოდებაც აქვს — „სერენადა“ და, რომელიც ჩვენს ბრწყინვალე მევიოლინეს ლიანა ისაკაძეს მივუძღვენი. ნაწარმოებს, ალბათ, წელსვე თვითონ შესრულებს თავის კამერულ ორკესტრთან ერთად.

თებერვალში ლენინგრადში გაიმართება პრემიერა საფორტეპიანო სონატინისა... ვფიქრობ, მეორედ შევევლიდო სიმფონიას.. და, ალბათ, კვლავ მომიხდება მუშაობა კინომუსიკაში.

— მე შევეცადე „ქოროხის“ მკითხველთათვის მიმეწოდებია ის შეძლებისდაგვარად ვრცელი ინფორმაცია, ყოველ შემთხვევაში, ვგონებ არ გამომიტოვებია არც ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები. მათგან რომელი მიგაჩნია ყველაზე მნიშვნელოვან კმინილებად, ან გამორჩეულად გიყვარს?

— არ მინდა გავიმეორო ტრივიალური გამოთქმა იმის თაობაზე, რომ ავტორისათვის ყველა ნაწარმოები ერთნაირად მახლობელი და ძვირფასია.

— და, მაშასადამე, მნიშვნელოვანიც...

— დიახ. მნიშვნელოვანია ყველა ნაწარმოები. მნიშვნელოვანი — ამა თუ იმ ეტაპზე მუშაობისას. იმიტომ, რომ თავის დროზე მის შექმნას გარკვეული მიზანი და დანიშნულება ჰქონდა, გარკვეული ამოცანა. სხვა საქმეა, თუ როგორია ამ ამოცანის ჩემუელი გადაწყვეტა, რამდენად სწორად იყო აღებული თემა და რამდენად პროფესიულად დამუშავებული.

... ამა წლის მაისის ერთ საღამოს ბათუმის თოჯინების თეატრის კომპაქტურ დარბაზში იოსებ ბარდანაშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. უფრო ეს იყო თანაქალაქელთა შეხვედრა კომპოზიტორთან, უშუალო, ძალდაუტანებელი საღამო, რომელზეც ჟღერდა მისი ძველი და ახალი სიმღერები თამარ გვერდწითელის, ირმა სოხაძის, ანსამბლ „75“-ის შესრულებით, უკრავდა, მღეროდა და თან საუბრობდა, კითხვებს უპასუხებდა თავად კომპოზიტორი. მასზე, მის შემოქმედებაზე ჰყვებოდნენ სხვებიც... საქართველოს საგუნდო და ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერული გუნდის შესრულებით საღამოზე აჟღერდა საგუნდო მინიატურები, შექმნილი ძველებრული პოეზიის ნიმუშებზე, რომელთაც ამას წინათ, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და კომპოზიტორთა კავშირის პრემია მიეკუთვნა. ფოიეში კი მოწყობილი იყო... კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილის ნაწარმოების გამოფენა. სხვათა შორის, მისი ნამუშევრები ბევრი ცნობილი ხელოვნის პირად კოლექციას ამშვენებს.

— მუსიკის წერაც, პედაგოგობაც, სცენაც პროფესიაა შენი. ლიტერატურა, კერძოდ, პოეზია — მონათესავე დარგი და შენთვის ასევე მახლობელი და საჭირო, შხატვრობა ბავშვობიდან წამოყოლილი გატაცებაა და გატაცებადვე ზრება. ამათ გარდა კიდევ რა გიყვარს, რა საქმიანობა უფრო მოგწონს თავისუფალ დროს?

— ისევ და ისევ კითხვა, კარგი მუსიკის მოსმენა და, განსაკუთრებით — სცენტიკურესო აღამიანებთან შეხვედრები. ღრმა, ნათელ ინტელექტთან ურთიერთობა, ჩემი რწმენით, კარგ წიგნზე ნაკლებს როდი აძლევს ნებისმიერ აღამიანს!

წარსულ გაზაფხულს ბათუმში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამსვლე-

ლი პლენუმი გაიმართა. მასში აქტიურად მონაწილეობდა იოსებ ბარდანაშვილი დღესდღეობით ბათუმში მომუშავე ერთდერთი პროფესიონალი კომპოზიტორი. მაშინ საგანგებოდ „ქორხის“ ამ პუბლიკაციისათვის ინტერვიუ ჩამოვართვით ორ ქართველ კომპოზიტორს.

აი, რა მთხრა ქართული მუსიკის პატრიარქმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა ანდრია ბალანჩიშვიტმა:

— სოსო ბარდანაშვილს მე ჩემს შემოქმედებითს შვილიშვილად ვთვლი, რადგან იგი არის მოწაფე ჩემი მოწაფის — ალექსანდრე შავერზაშვილისა. კონსერვატორიაში მისი ჩარიცხვიდან ყურადღებით ვადევნებ თვალყურს სოსოს ზრდა-განვითარებას და მხარეებს მისი უღავე წარმატებები. ბარდანაშვილის სიმფონიური და კანტატურ-ორატორიული ქმნილებები ჭეშარიტად ნიჭიერი კომპოზიტორის ნამუშევრებია. ასევე ძალიან ჭარვად გამოსდის საესტრადო ჟანრის ნიმუშები. მისი ყოველი ნაწარმოები, რა ჟანრისაც არ უნდა იყოს იგი, აღბეჭდილია რაღაც საინტერესო თვისებით, ორიგინალობით, გამომგონებლობით.

ძალიან მომწონს, რომ ამ ბოლო დროს სოსო დაინტერესდა ებრაული მუსიკით და გარკვეული წარმატებებიც მოიპოვა თანამედროვე მუსიკალური ენით მის ამტყველებში.

მომწონს ისიც, რომ ბათუმში თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით სოსო დიდ, საჭირო საქმეს აკეთებს. რად ღირს მართო ის ფაქტი, რომ იგი ზრდის მომავალ კომპოზიტორებს. იმედი მაქვს, ეს ახალგაზრდები, პროფესიულ კომპოზიტორებად ჩამოყალიბებულნი, დაუბრუნდებიან ბათუმს და თავიანთ ნიჭიერ აღმზრდელთან ერთად გააჩაღებენ ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას. ეს საგულისხმოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მაშინ შესაძლებელი გახდება, როგორც აფხაზეთში, აქაც, აჭარაში შეიქმნას კომპოზიტორთა კავშირის განყოფილება. ეს დიდი საქმეა და სოსო ბარდანაშვილი მისი უაღრესად აქტიური მონაწილეა. ვფიქრობ, მას ყოველმხრივ უნდა შეეუწყოთ ხელი.

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ვაჟა აზარაშვილი:

— იოსებ ბარდანაშვილს თბილისის მე-4 საშუალო სასწავლებელში საკრავთმცოდნეობას ვასწავლიდი. მან იმთავითვე მიიპყრო ყურადღება დიდი მუყაითობით.

კონსერვატორიაში სწავლისას და შემდეგ, ძალიან ახალგაზრდამ ბევრი კარგი რამ გააკეთა. ვინ არ იცის, თუ რა ძნელია ახალგაზრდა შემოქმედისათვის, მეტადრე კომპოზიტორისათვის იპოვოს თავისი „მე“, საკუთარი თემა, გამოიმუშავოს საკუთარი ხელწერა. იოსებ ბარდანაშვილმა შეძლო ეს, შეძლო, ვიმეორებ, ძალიან ახალგაზრდამ. დღეს მას სრულიად განსხვავებული ხელწერა აქვს ქართულ მუსიკაში.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სოსოს, როგორც პედაგოგის, მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობა. მე საშუალება მაქვს თვალყური ვადევნო მის აღზრდილთ კონსერვატორიაში. ისინი გამოირჩევიან ნიჭიერებით, პროფესიული დონით.

მჯერა, მომავალში კიდევ არაერთი, უფრო და უფრო საინტერესო წარმატებებით გაგვახარებს კომპოზიტორი იოსებ ბარდანაშვილი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, კვლავაც აქტიური დაუღალავი მუშაობით აჭარაში მუსიკალური ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

... დაიწყო სიმწიფის ხანა იოსებ ბარდანაშვილის შემოქმედებისა და, უეჭველია, იგი იქნება კიდევ უფრო ნაყოფიერი, რამეთუ ნიჭიერებას, შრომისმოყვარეობას ემატება გამოცდილება, ოსტატობას რომ ვუწოდებთ.

პავლე ჯორგენაძე

რომანტიზმის არსის საკითხისათვის

როგორც ცნობილია, თვით რომანტიკოსებმა ვერ შექმნეს რომანტიზმის მწყობრი, შეცნობილად დასაბუთებული თეორია. ისე მიიწერა XIX საუკუნე, რომ რომანტიზმის რაობა კვლავ სადავო დარჩა. მაგრამ ვერც XX საუკუნის მკვლევარებმა მოგვცეს რომანტიზმის არსის სარწმუნო კონცეფცია. განსაკუთრებით ბევრი შრომა მიეძღვნა რომანტიზმის პრობლემას გერმანულ ლიტერატურათმცოდნეობაში, სადაც 1910 წლიდან 60-იან წლებამდე გამოქვეყნდა 700-მდე მცირე სტატია და ვრცელი გამოკვლევა რომანტიზმის შესახებ. 1968 წელს დარმშტადტში გამოცემულ წიგნში „რომანტიზმის ცნების განსაზღვრა“ წარმოდგენილია ჩვენი საუკუნის 20-60-იანი წლების ოცამდე მკვლევარი, რომანტიზმის არსის განსაზღვრას, მისი ცნების დადგენას რომ ცდილობდნენ. ყოველი ამ ავტორთაგანი გამოყოფს რომანტიზმის ამა თუ იმ ნიშან-თვისებას, იძლევა რომანტიზმის საკუთარ, სხვა ავტორის მოსაზრებისაგან განსხვავებულ განმარტებას.

ამერიკელი მკვლევარი ა. თ. ლავკოი, 50-იან წლებში, ერთი პირველთაგანი შეეცადა თავი მოეყარა სხვადასხვა მკვლევარის მიერ დადგენილი, რომანტიზმისათვის „დაშაბასათებელი“ ნიშან-თვისებებისათვის. მისი დაკვირვების შედეგად რომანტიზმის აირითად ნიშან-თვისებად მიჩნეულია: ლექსად შექმნილი ჟანრობრივი ფორმების სიუჟეტი, შერეული ჟანრების ესთეტიკური უფლებამოსილება, ნიუანსის შეგრძნება, გროტესკის შეთვისება, ლოკალური კოლორიტის შექმნა, დისტანციურად სივრცესა თუ დროში დაშორებული კულტურის განსხვავებულ დონეზე მდგომი ხალხების სულიერი ცხოვრებით დაინტერესება, „მე“-ს წარმოჩენა, პირველქმნილი ხალასობის ძებნა პეიზაჟში, უნდობლობა პოლიტიკური უნივერსალური დოქტრინებისადმი, ესთეტიკური ანტიპათია სტანდარტიზაციის მიმართ, მეტაფიზიკაში კონკრეტულ უნივერსუმთან აბსოლუტის იდენტურობა, დაუკმაყოფილებელი ტრიუმფის გრძნობა, ინდივიდუალური, ეროვნული და რასობრივი ფსიქოლოგიის დანერგვა, ზედაპირული სიცხადის უგულვებელყოფა და ნამდვილობის, თავისუფლების ძიება სულიერ სფეროში. ჟაკ ბარზენმა კი თავის წიგნში (1943 წ.) შეკრიბა რომანტიზმის თითქმის ნახევარსაუკუნოვან პერიოდში დაგროვებული განმარტებანი, რომელთა შორის დასახელებულია რომანტიზმის ისეთი ნიშან-თვისებები, როგორიცაა მიმართვა შუა საუკუნეებისადმი, ამბოხება გონების წინააღმდეგ, არაცნობიერის გამოთავისუფლება, რეაქცია გონივრულობის წინააღმდეგ, პანთეიზმის გამოცოცხლება, იდეალიზმის აღდგენა, კათოლიციზმის რეაბილიტაცია, მხატვრულ პირობითობათა მიუღებლობა, ემოციურობის გაძლიერება, ბუნებისადმი მიმართვა და ა. შ. ხოლო ერნესტ ბერნბაუმს სხვადასხვა ავტორის ნაშრომებიდან ამოკრებილი აქვს რომანტიზმის ოცდარვა განსაზღვრა („რომანტიკული მოძრაობა“ ნიუ-იორკი, 1956).

მეტად თავისებურად ესმოდათ რომანტიზმის ნიშან-თვისებანი დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაში. პროფ. კერისათვის რომანტიზმი იყო „წერის წარმოსახვითი მეთოდი“, ხოლო გოსს მიაჩნდა, რომ რომანტიზმისათვის უცხოა „ფაქტებისადმი მიყვლა“.

ჯეფრი სკოტის მიხედვით, რომანტიზმის საგანს წარმოადგენს „ლამცხრალის კულტი“, ე. ი. წარსულის, უკვე განვლილის კულტი. ამის საპირისპიროდ, პროფ. შელინგ-მეტცი ცებდა, რომ „კლასიკური განწყობილება შეისწავლის წარსულს, რომანტიკული განწყობილება კი უგულვებელყოფს მას“.

დარშმტადში გამოქვეყნებული კრებულის „რომანტიზმის ცნების განსაზღვრა“ მიხედვით, გერმანელ მკვლევარებს რომანტიზმის თვისებებად, ჩვეულებრივ, მიაჩნიათ ესთეტიკური, უცნაური, კათოლიკური, დინამიკური, ემოციური, არანამდვილი (fictitious), გოთიკური, პედონური, ფანტასტიკური, იაკობინური, ორზროვანი, შუახუ-კუნებრივი, ეროვნული, იდეალებით მოცული, პროგრესული, რეაქციული, სუბიექტური, ტევტონური, უნივერსალური, ბუნდოვანი, ეგზოტიკური, ახალგაზრდული.

ჩვენი საუკუნის პირველი რუსი მკვლევარები ასევე შეეცადნენ დაედგინათ რომანტიზმის არსი, მოეცათ მისი განსაზღვრა, გამოეყვანათ რუსული რომანტიზმის ეროვნული თავისებურებანი. ი. ზამოტინი რუსულ რომანტიზმში ამჩნევდა სამ ნაკადს: ინდივიდუალიზმს (ბესტუვევ-მარლინსკი), ნაციონალიზმს (ზაგოსკინი) და უნივერსალიზმს (ვ. ოდოევსკი). ხოლო პ. საკულინმა გამოყო ოთხი „მთავარი შტო“: სანტიმენტალური, ფილოსოფიური, ინდივიდუალისტური და ხალხურობის რომანტიზმი. რუსული რომანტიზმის ტიპოლოგიაში საკმაოდ გავრცელებული იყო ასეთი კლასიფიკაცია: სამოქალაქო, ფხიქლოვური, ელეგიური, მეოცნებე, ინდივიდუალისტური, მისტიკური, საგმირო, თავისუფლებისმოყვარული, პატრიოტული, ბუნტარული და ბევრი სხვა, რაც უფრო რომანტიკულ თემატიკასა და მოტივებს გულისხმობს, ვიდრე რომანტიზმის, როგორც ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერების, გნოსეოლოგიურ თუ ესთეტიკურ საფუძველს. რევოლუციამდელი რუსი მკვლევარები რომანტიზმის დამახასიათებლად გამოყოფდნენ მხოლოდ ცალკეულ და თანაც არაარსებით ნიშან-თვისებებს. ა. ვესელოვსკისათვის რომანტიზმი იყო „ლიბერალიზმი ლიტერატურაში“. ი. ზამოტინის აზრით, რომანტიზმს საფუძვლად უდევს იდეალისტური მსოფლგანება და მიილტვის უსასრულობისაკენ. ვ. სიპოვსკის განმარტებით, რომანტიზმის განმსაზღვრელია ინდივიდუალიზმი. პ. საკულინი ფიქრობდა, რომ რამდენადაც რომანტიკოსები გაურბიან სინამდვილეს, ამდენად რომანტიზმი ირეალიზმი უნდა იყოსო. ა. ბელეცკი რომანტიზმის ძირითად ნიშან-თვისებად მიიჩნევდა მისი სტილისათვის დამახასიათებელ შემკულობას, სპეციფიკურ მეტაფორულ აზროვნებას. ა. ცეიტლინი რომანტიზმს განიხილავდა როგორც „ლაშქრობას რაციონალიზმის წინააღმდეგ“ და შესაბამისად გამოარჩევდა რომანტიკული მხატვრული აზროვნების შემდეგ თვისებებს: რელიგიურობას, ინტუიციურობას, ინდივიდუალიზმს, ირაციონალიზმს, ისტორიზმს, ხალხურობას.

ქართული რომანტიზმის შესწავლა და, საერთოდ ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემაში მოყვანა, ფაქტობრივად, დაიწყო ჩვენი საუკუნის გარიყრაფე. ქართული ლიტერატურის კლასიფიკაციის, კერძოდ, ქართული რომანტიზმის გენეზისისა და თავისებურების კვლევის პირველი ცდა მოგვცა პროფ. ალ. ხაჩანაშვილმა თავის „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“ (1904-1917). მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მანამდეც ცდილობდნენ გაერკვიათ რომანტიზმის არსი და მისთვის მიეჩინათ ადგილი ქართული ლიტერატურის განვითარებაში. კერძოდ, ილია ჭავჭავაძეს „რომანტიზმი“ ესმოდა როგორც „ცრუ-კლასიკურისა“ და „სენტიმენტალურ მიმართულებისადმი“ („ვარდ-ბულბულიანისადმი“) ანტითეზურად დაპირისპირებული „რომანტიკული მიმართულება“, რომლის ნიმუშად მიაჩნდა „ვეფხისტყაოსანი“ იმ მონაზრებით, რომ ეს პოემა გამოირჩევა როგორც „ფორმით“, ე. ი. მეტაფორული სამკაულებით, ასევე მისი „შინაგანი ღირსებებით“, რაც მეტად ზოგადი და საერთოდ ყველა მაღალმხატვრული ნაწარმოების დამახასიათებელი თვისებაა. ხოლო თუკი ი. ჭავჭავაძე „რომანტიზმის“ წარმომადგენლად მიიჩნევდა ვახტანგ ორბელიანს, მას



მხედველობაში ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა, „პატრიოტული ლირიკა“, „წარსულში სიყვარული“, სახელოვანი წარსულის დატირება: „უმთავრესი ძარღვი თ. ვახტანგ ორბელიანის პოეზიისა ერთი გულსაკედში, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის, თითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თითო ცალკე მარგალიტია ცრემლისა, ღრმად ხატკენ გულისაგან წარმოღიწებულნი“.

ქართული რომანტიზმის სერიოზულ შესწავლას პირველად ხელი მოჰკიდა კიტა აბაშიძემ. თუმცა იგი იმთავითვე მოექცა ბრიუნეტიერის ევოლუციური თეორიის გავლენაში და სქემატურად ესმოდა ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორია, მაგრამ თავისი „ეტიუდებით XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“ (1911—1912) გარკვეული წესრიგი შეიტანა ქართული ლიტერატურის კლასიფიკაციაში და გამორჩევით დიდი ღვაწლი დასდო ქართული რომანტიზმის შესწავლას. კიტა აბაშიძის „ეტიუდების“ გამომცემელი პროფ. დ. გამეზარდაშვილი ამ მხრივ ასეთ შეფასებას აძლევს გამოჩენილი კრიტიკოსისა და მკვლევარის დამსახურებას ქართული ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე: „კ. აბაშიძე პირველი იყო, რომელმაც ქართული რომანტიზმი ფართო ასპექტში განიხილა და საგულისხმო დასკვნებზეც გააკეთა... ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში მტკიცედ დამკვიდრდა ეს თვალსაზრისი და დიდი ხნის განმავლობაში მისი გადასინჯვის სერიოზული ცდა არავის მოუცია; სხვადასხვა ვარიაციით კვლავ იგი მეორდება (თუმცა მის ქეშმარიტ ავტორზე არც თუ ყოველთვის მიუთითებდნენ“ რომანტიზმის ნიშან-თვისებებად კ. აბაშიძეს მიაჩნდა „პიროვნების გათავისუფლება ლიტერატურაში“, „ინდივიდუალიზმისაყენ მისწრაფება“, „ძლიერი გაურკვეველობა საზოგადო აზრთა მიმართულებისა“, სიყვარული როგორც „ცხოვრებაში უფრო ინტენსიური ძალა“, „საზოგადო კენესა“, „პირადი სევდა და ტანჯვა-ვაება“, „სულის თბობა“. საგულისხმოა, რომ კ. აბაშიძე განსაკუთრებით გამოყოფს რომანტიზმის გნოსეოლოგიურ და ესთეტიკურ საფუძველს. მისი აზრით, რომანტიზმის ყურადღების ცენტრშია „უმთავრესი საგანი ფილოსოფიისათვის—„ცხოვრების დასასრულისა და დასაბამის საგანი, კაცთა და ქვეყნის შემქმნელ ძალას შორის დამოკიდებულება, დამოკიდებულება კაცთა და ბუნებას შორის, მათი ერთიერთმანეთზედ ზეგავლენა და აგრეთვე საგანი ადამიანთა შორის ურთიერთობისა და კავშირისა, მათ შორის განწყობილებასა“, რაც პოეზიას „გაუხდია სამღერალადა და საკვენესებლად“.

პროფ. ა. ხაბანაშვილისა და კ. აბაშიძის ტრადიცია განაგრძო ვახტანგ კოტეტიშვილმა. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამგანყოფილებიანი კურსის მე-სამე ნაწილში იგი ეხება ქართული რომანტიზმის გენეზისს, განიხილავს ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ვახტ. ორბელიანის შემოქმედებას. ვ. კოტეტიშვილის აზრით, ქართული რომანტიზმის „პირველწყარო“ არის „პატრიოტიკა“, „პატრიოტული მომენტი“, „საკუთარი ინდივიდუალობა“, „მეობა“. ალ. ჭავჭავაძის რომანტიზმის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებად გამოყოფილი აქვს: „ინდივიდუალიზმი და უკიდურესი მგრძნობელობა“, „გონების ბატონობის წინააღმდეგ რეაქცია“, „სოციალური თანასწორობის მოტივი“. გრ. ორბელიანთან იგი პოულობს „სამშობლოს სიყვარულს“, „მგრძნობელობას“ ანუ „ეპიკურეიზმს“, „ნაღვლიან ოხვრას წარსულზე“, ვახტანგ ორბელიანთან — „პატრიოტულ რომანტიზმს“, ნ. ბარათაშვილთან კი—„მსოფლიო სევდას“, „თბილად შთენილ“ პიროვნების გოდებას“, აგრეთვე „ძირითად მოტივებს“: „ეროვნულ რომანტიზმს“, „სატრფილო მღერას“, „პესიმისტურ კილოს“, „ცხოვრებასთან შერბილებას“. ასევე მას მიაჩნია, რომ სამივე რომანტიკოსი გატაცებული იყო „ბუნების აღწერით“. ამრიგად, ვ. კოტეტიშვილი პირველი იყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რომანტიზმის პრობლემის შესწავლას ქართულ საბჭოურ ლიტერატურათმცოდნეობაში.

კ. აბაშიძისა და ვ. კოტეტიშვილის მოსაზრებებმა ქართული რომანტიზმის შესახებ

სხვადასხვა ვარიაციებითა თუ შესწორებებით თავისი კვალი დასტოვა მკვლევართა შემდეგი თაობების შრომებში.

რომანტიზმის პრობლემა დაუმუშავებელი დარჩა საბჭოთა პერიოდშიც. როცა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა შეუდგა რომანტიზმის შესწავლას, საკმაოდ დიდ სიძნელეებს წააწყდა. საბჭოთა მკვლევარი ა. ბელეცი 1927 წელს წერდა: „ასობით ფურცელმა მეცნიერულ გამოკვლევებში, რომლებიც მიემდგნა საკითხს იმის შესახებ, თუ რა არის რომანტიზმი, ასობით პასუხმა, რომლებიც მოცემულია სულ სხვადასხვა თვალსაზრისით, აქამდე ბოლო ვერ მოუღო უთავბოლობას, ვერ გაფანტა ბურუსი, რომელიც შეტანილია ამ ტერმინის მიერ ლიტერატურის, კერძოდ, რუსული ლიტერატურის ისტორიაში“. ასეთივე მოსაზრება გამოთქვა მ. გორკიმ 1928 წელს: „რომანტიზმის ფორმულები რამდენიმეა მოცემული, მაგრამ ზუსტი, საცხებით ამომწურავი ფორმულა, რომელსაც დაეთანხმებოდა ლიტერატურის ყველა ისტორიკოსი, ჯერ კიდევ არ არის, იგი არ არის გამოუმუშავებული.“ ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ რომანტიზმის პრობლემა გადასინჯვას, დაზუსტებას, საფუძვლიან მეცნიერულ დამუშავებას მოითხოვს.

50-იანი წლების მეორე ნახევარში რომანტიზმის პრობლემისადმი გაზრდილი ინტერესის შემდეგ, დისკუსიამ რომანტიზმის შესახებ ახალი ძალით იფეთქა 60-იან წლებში. 60-70-იან წლებში აღძრული დიდი ინტერესი რომანტიზმის პრობლემის მიმართ დღემდე არ ცხრება. ამ ხნის მანძილზე რომანტიზმის შესახებ დასავლეთში გამოქვეყნდა ვ. ჯონსის, ბ. სიორენსენის, ჰ. რიდის, ჰ. შენკის, ლ. ფერსტისა და სხვათა ფუნდამენტური მონოგრაფიები და კრებულები.

ამ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე განსაკუთრებით გაძლიერებული ყურადღების საგანი გახდა რომანტიზმის პრობლემა საბჭოთარ ლიტერატურათმცოდნეობაში. წიგნში „მიზნის ერთიანობა — ძიებების მრავალგვარობა“ (1980). ა. ელიაშვიჩი ვრცლად მიმოიხილავს საბჭოთა მკვლევართა მოსაზრებებს რომანტიზმის არსის შესახებ, თუმცა მას უფრო „რომანტიკული სტილისტიკა“ აქვს მხედველობაში, ვიდრე რომანტიზმი როგორც ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერების სისტემა. 60-იან წლებში ქურნალი „ვოპროსი ლიტერატურის“ ფურცლებზე კვლავ გაიშალა დისკუსია რომანტიზმის შესახებ. დისკუსიის ყველა მონაწილის შეხედულება გამოხატა ა. გურვეჩმა, რომელმაც აღნიშნა: „ჩვენ აქამდე, არსებითად, არ შეგვიძლია ეუბასუხოთ მთავარ საკითხებზე: რა არის რომანტიზმი, როგორია მისი უმნიშვნელოვანესი თავისებურებები და ნიშან-თვისებები, ისტორიულ-ლიტერატურულ მოვლენათა რომელი წრე უნდა მოვიკვათ ამ ტერმინით“. იგივე აზრი გამოთქვა 70-იან წლებში რომანტიზმის მკვლევარმა ე. მაიმინმა.

რომანტიზმის სერიოზული მეცნიერული შესწავლა, ფაქტობრივად, 60-იანი წლებიდან იწყება. წიგნის „რომანტიზმის პრობლემების“ (1967) რედაქცია იძულებული შეიქნა განეცხადებინა: „ბოლო წლებში რომანტიზმის ხელოვნებისა და ესთეტიკის შესახებ დაწერილია საკმაოდ ბევრი წიგნი და სტატია. მაინც ამ მნიშვნელოვანი და რთული თემის ნამდვილი მეცნიერული დამუშავება, არსებითად, ჯერ კიდევ მხოლოდ იწყება“.

რომ არაფერი ვთქვათ ცალკეულ რომანტიკოსთა შემოქმედებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებზე, უმარავ სტატიაზე, ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა რიგი ღირსშესანიშნავი ნაშრომებისა, რომლებშიც ბევრი მოძველებული მოსაზრება რომანტიზმის შესახებ გადასინჯულია და დასახულია რომანტიზმის პრობლემის გადაწყვეტის ახალი გზები, მოცემულია ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერების ამ მეტად რთული მოვლენისადმი მეცნიერულად უფრო გამართლებული მეთოდოლოგიური მიდგომის ახალი ცდები.

საბჭოთა პერიოდში ქართული რომანტიზმის მეცნიერულ შესწავლას 20-იანი წლებიდან საფუძველი ჩაუყარა ვ. კოტეტიშვილმა. რომანტიზმის შესახებ 30-40-იან წლებში დაწერილ ნაშრომთა შორის გამოირჩევა აკად. გ. ჯიბლაძის „ეტიუდები“, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რომანტიზმის გნოსეოლოგიურ და ესთეტიკურ საფუძველს, როგორც რომანტიზმის განმსაზღვრელ ფაქტორს, რომელიც რომანტიზმის გაგების ყველაზე სარწმუნო საზომი და დღეს მიღებული. ბევრი რამ დაიწერა ქართული რომანტიზმის შესახებ 40-45-იან წლებში, მაგრამ უკანასკნელ ორ ათწლეულში შექმნილი თეორიულ-ლიტერატურული და ისტორიულ - ლიტერატურული ნაშრომები მაინც გამოირჩევა თავიანთი მომწიფებული, უფრო საფუძვლიანი და მეცნიერული დამოკიდებულებით ეროვნული რომანტიზმის პრობლემისადმი, თუმცა ზოგიერთი მოსაზრება ქართული რომანტიზმის შესახებ, ვფიქრობთ, გადასასინჯავი და დასაზუსტებელია.

როგორც აღვნიშნეთ, მიუხედავად სპეციალური ლიტერატურის სიუხვისა, რომანტიზმის პრობლემა ჯერ კიდევ არაა დადგენილი, ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია. სამართლიანად შენიშნავს უ. ფოხტი: გამაზვილებული ინტერესი რომანტიზმისადმი, მისი სპეციფიკისადმი, მისი ბედისადმი თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი ცხადი ნიშანია. სულ უფრო და უფრო სხვადასხვაგვარ და მრავალრიცხოვან ნაშრომებში შეისწავლება ცალკეულ მწერალ-რომანტიკოსთა შემოქმედება, და რომანტიზმის თავისებურება სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურაში, რომანტიკული ხელოვნების ზოგადი პრინციპები.

ბევრი ამ გამოკვლევის უმჯველ ღირსებებთან ერთად ყველაზე უფრო სუსტ მხარედ რჩება მეცნიერული ტერმინების გაურკვეველობა, ბუნდოვანება, დაახლოებითობა, როგორცაც იყენებენ ავტორები, და უპირველეს ყოვლისა, თვით ცნების „რომანტიზმის“ გაურკვეველობა.

მაშასადამე, მკვლევართა წინაშე დასმული პრობლემის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ დღესაც კი არ არის დადგენილი რომანტიზმის საკვლევი არე, არ არის მისი ცნების სარწმუნო განსაზღვრება: „მგონი არ არის ჩვენს თანამედროვე ლიტერატურულ მეცნიერებაში უფრო გაურკვეველი, დახლართული და სადავო ტერმინი, ვიდრე რომანტიზმი“, დასძენს გ. პოსპელოვი. ასეთივე მდგომარეობაა დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაშიც.

როგორც ვხედავთ, რომანტიზმის მრავალი დეფინიციის მიუხედავად, დღემდე არ არის მისი უნიფიცირებული გაგება, რომელსაც შეეძლებოდა მოეცვა ყველა ეროვნული რომანტიზმისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშან-თვისებანი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საქმე ვეაქვს ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერების არა ერთიან მაგისტრალურ მოძრაობასთან, არამედ ცალკეულ, თავის თავში ჩაკეტილ ეროვნულ რომანტიზმებთან, რამაც ბ. რეიზოვი მიიყვანა დასკვნამდე: „ისტორიაში ჩვენ ვხვდებით არა რომანტიზმს, არამედ რომანტიზმებს“. („ვოპროსი ლიტერატურის“, № 1, 1957).

რა თქმა უნდა, ესპერანტო ხელოვნება საერთოდ არ არსებობს, ნებისმიერი მწიგნულოვანი მხატვრული ნაწარმოები უადრესად ეროვნულია, ყოველი ეპოქის ფილოსოფიურ თუ ესთეტიკურ-მხატვრულ ცნობიერებას თავისი ეროვნული დალი აზის, მაგრამ ეს გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ეპოქალურად გაპირობებულ საერთო ნიშან-თვისებებს, რომელთა ფარგლებში ვითარდება ეროვნული ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერება. კიდევ უფრო მეტი. განსხვავებული არიან არა მარტო ეროვნული რომანტიზმები, არამედ რომელიმე გარკვეული ერის რომანტიკოსებიც. მიუ უმეტეს, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სხვადასხვა ერის წარმომადგენლები, რომელთა შემოქმედების ინდივიდუალურ თავისებურებათა ნიველირება სავალალო შედეგს მოგვცემდა. სამწუხაროდ, რომანტიზმის ზოგადი ნიშან-თვისებებისადმი გამოდევნებისას ხშირად ვე-

ვიწყდება თვით შემოქმედი პიროვნების ინდივიდუალური, სუბიექტური თავისებურება-
ნი და ზოგადის გამო ერთი რომელიმე ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლები
დაგვყავს ერთი თარგი გამოჭრილ ნივთიერებულ დონემდე. ამ სავალალო ტენდენ-
ციის გამო ენათონი თორღი წერს: „უნდა ითქვას, რომ ჩვენ შევეცდებოდით გავვე-
სახდეთ, როგორი ღირსების იყო ცალკეული ავტორის ნაწარმოებები ან რამდენად ნა-
მდვილი იყო მათი ცალკეული ფილოსოფიური შეხედულებები უპირატესობისა თუ
დასაშვები გამუდმებითი საზომით, ნაცვლად იმისა, რომ გვეცადა გავვეგო ისეთი ინ-
დივიდუალურად სავსებით განსხვავებული პიროვნებები, როგორიც არიან, ვთქვათ,
უორდსუორთი და კიტტი, ან ჰიუგო და მიუსე, არაფერი რომ არ ვთქვათ ნოვალისზე
და ჰუსტინზე, ან ლეოპარდინზე და ლერმონტოვზე, საერთო რომანტიკული სულისკვე-
თების, ან უნივერსუმის იდემალებასთან მათი ერთობლივი, მაგრამ არასრული მიახ-
ლოების თვალსაზრისით“ („რომანტიკული მოძრაობა“. ნიუ-იორკი, 1967).

მაგრამ ეროვნული რომანტიზმების თავისებურებათა ან ერთი რომელიმე ქვეყნის
ცალკეულ რომანტიკოსთა წერის მანერის განსხვავებულობის მიუხედავად, რა თქმა უნ-
და, მათ შორის არის სინამდვილის მხატვრული გააზრების საერთო პრინციპები, მსოფლ-
გაგებისა და პოეტიკის მსგავსება (და არა იდენტურობა) ესთეტიკურ-მხატვრული ცნო-
ბიერების გარკვეული სისტემის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით რენე უელევი ასე ახა-
სიათებს ევროპულ რომანტიზმს: „მთელ ევროპაში ჩვენ ვპოულობთ პოეზიის ერთსა
და იმავე კონცეფციას პოეტური წარმოსახვის გამოყენებისა და ხასიათის შესახებ, ბუ-
ნების ერთსა და იმავე კონცეფციას, მის მიმართებას ადამიანისადმი და არსებითად
ერთსა და იმავე პოეტურ სტილს ხატოვანების, სიმბოლიზმის და მითოსის გამოყენე-
ბით, რომელიც თვალნათლივ გამოირჩევა მეტერამეტე საუქუნის ნეოკლასიციკტური
სტილისაგან“ („კრიტიკული იდეები“. ნიუ ჰევენი და ლონდონი, 1963).

რომანტიზმი, როგორც ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერების გარკვეული სის-
ტემა მეტად რთული მოვლენაა, რომელსაც ვერ ამოწურავს რაიმე უნიფიცირებული
დეფინიცია, რა „უნივერსალურიც“ უნდა იყოს იგი. ასე რომ, რომანტიზმის (და არა
მარტო რომანტიზმის), „უნივერსალური დეფინიცია“ მუდამ მარცხით მთავრდებოდა,
რამდენადაც საქმე გვაქვს ცნობიერების მოქნილ, განვითარებად, ცვალებად, წინააღ-
მდეგობრივი ხასიათის სისტემასთან, რომლის „ფორმულად“ ჩამოყალიბება ვერავინ
შოახერხა, და, ვფიქრობთ, საჭიროც არ არის. მთავარია გავიგოთ რომანტიზმის არსი,
დავადგინოთ მისი განვითარების საზღვრები, გამოვიცვლიოთ, როგორ აითვისა და შემო-
ქმედებითად როგორ გადაამუშავა წინა საუკუნეთა ენოსეოლოგიური და ესთეტიკურ-
მხატვრული ნააზრევის მასალა, რა სიახლე შეიტანა და რა კვალი დატოვა ხელოვნების
განვითარების ისტორიაში.

რომანტიზმი, როგორც ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერების სისტემა, ყალიბდ-
ბოდა XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან კანტის, ფიხტეს, შელინგისა და ჰეგელის
იდეალისტური ფილოსოფიური სისტემების ფორმირების კვალდაკვალ და მათ მსგავსად
ჰქონდა უნივერსუმის, სინამდვილისა და ადამიანის ტოტალური აღქმის პრეტენზია.
რომანტიზმამ სისტემის ხასიათი მიიღო, რაც არ შეიძლება ითქვას ბაროკოზე, კლასი-
ციზმზე, სანტიმენტალიზმზე და საერთოდ რომანტიზმამდელი ესთეტიკურ-მხატვრული
ცნობიერების ცალკეულ თეორიებზე. ისიც უნდა გავისვენოთ, რომ ადამიანის ცნობი-
ერებას თან ახლავს მისწრაფება „ახლავე“ და „ერაობაშიად“. ტოტალურად და უნივერსა-
ლურად მოიცავს სინამდვილეს. ასეთია მითოლოგიური მსოფლგაგების. ანტიკური კოს-
მოლოგიის, სამყაროს ბიბლიური სტრუქტურის, შუასაუკუნეობრივი „სიბრძნის“ და გან-
მანათლებლური რაციონალიზმის პრინციპი. ფილოსოფიური, მეცნიერული, ეს-
თეტიკურ-მხატვრული ცნობიერების განვითარების კვალდაკვალ ისახება ცალკეულ
კოდნათა სისტემად მოყვანის ტენდენცია.

სისტემის ცნება პირველად გამოიყენეს სტოიკოსებმა ანტიკურ ფილოსოფიაში. სისტემაში მოიყვანეს ფილოსოფია როგორც ლოგიკის, ფიზიკისა და ეთიკის თეორიების (ბერძნული სიტყვა „სისტემა“ სწორედ ნაწილებისაგან შედგენილ მთლიანობას ნიშნავს). ამავე დროს ონთოლოგიური თვალსაზრისით სისტემად იქნა წარმოდგენილი სამყაროს წყობა, რომელსაც საფუძვლად დაედო პერაკლიტეს კოსმოლოგიზმი, მისი მოძღვრება ცეცხლის, როგორც პირველსაწყისი სტიქიის შესახებ, რომლიდანაც გამომდინარეობს ყოველივე არსებული პირველსაწყისი სტიქიის სხვა სტიქიებად გარდაქმნის გზით. მაგრამ მაინც გერმანულ კლასიკურ იდეალიზმში განსაკუთრებით დიდი ადგილი დაიკავა სისტემის ცნებამ, რომელსაც იყენებდნენ ცნობიერების მიმართ. გნოსეოლოგიისა და ლოგიკის სახნად იქცა ცოდნათა სისტემების გამომუშავება და მათი კონსტრუირების საშუალებათა ძიება. კანტი მოითხოვდა, რომ შედგენილიყო ცოდნათა სისტემა, რამდენადაც ნაწილებისაგან შედგენილი ერთობლიობა იძლევა მთლიან წარმოდგენას სამყაროსა და ადამიანზე. ამ ამოცანის განხორციელების ცდას წარმოადგენდა ფიხტეს ფუნდამენტური ნაშრომი „მეცნიერების შესახებ ზოგადი მოძღვრების საფუძველი“ (1794). „პრაქტიკულ ფილოსოფიას“ ფიხტემ ამოცანად დაუსახა ადამიანის თავისუფლების შესაძლებლობის გამორკვევა, ხოლო მორალური ნების აქტიურობა, მისი აზრით, მხოლოდ მაშინ მიიღებს მიზანსწრაფულ მიმართულებას, თუ საქმიანობა დაეყრდნობა მკაცრად მოწესრიგებულ მეცნიერულ-თეორიულ სისტემას. სწორედ ამასთანაა დაკავშირებული ფიხტეს „მოძღვრება მეცნიერების შესახებ“. შელინგმა კი თავის მოძღვრებას პირდაპირ უწოდა „ტრანსცენდენტალური იდეალიზმის სისტემა“ (1800). ანალოგიურია ჰეგელის ფილოსოფია თავისი დიალექტიკური მეთოდით და კონსერვატიული სისტემით. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს გერმანული კლასიკური იდეალიზმის სისტემების თანამიმდევრულ ცვლილება-განვითარებასთან. კანტის, ფიხტეს, შელინგისა და ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემათა შესახებ პ. გაიდენკო წერს: „ამ ოთხი მოაზროვნის სისტემები იმდენად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ არსებითად არ შეიძლება გაგებულ იქნას ბოლომდე ერთმანეთის გარეშე. ყოველი მათგანი თავაზობს იმ პრობლემებისა და სიძნელების გადაწყვეტას, რომლებიც ისახებიან წინამორბედის მოძღვრებაში. ფიხტე იწყებს კანტისეული ფილოსოფიის ყველაზე უფრო გაუგებარი და პრობლემატური პუნქტებიდან. შელინგი ცდილობს დაძლიოს ფიხტეს სუბიექტური იდეალიზმის ცალმხრივობა, ხოლო ჰეგელს სურს გადაწყვიტოს სუბიექტისა და ობიექტის იდენტურობის პრობლემა უფრო ფართო ბაზაზე, ვიდრე ეს გააკეთა შელინგმა“. („ფიხტეს ფილოსოფია და თანამედროვეობა“, 1979). მაგრამ რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია, „გერმანული კლასიკური ფილოსოფია, — როგორც აღნიშნავს ნ. ისტრებოვა, — ცდილობდა შექმნა სამყაროსა და მისი საზოგადოებრივი კოლოზიების იდეალისტური გაგების გრანდიოზული, უნივერსალური სისტემები“ („ესთეტიკური იდეალის ფორმირება და ხელოვნება“, 1976). საგულისხმოა ისიც, რომ რომანტიზმსაც ჰქონდა სამყაროს გრანდიოზული, ტოტალური ასახვის, „უნივერსალური პოეზიის“ შექმნის პრეტენზია, „პოეზიისა“, რომელიც სინამდვილის გნოსეოლოგიურ-ესთეტიკური გაგებით არ ჩამორჩებოდა ფილოსოფიას.

განსაკუთრებით გულდასმით მუშავდებოდა შემეცნებისა და ხელოვნების კატეგორიები XVIII-XIX საუკუნის დასაწყისის გერმანულ ესთეტიკაში, რომელშიც გამორჩევი ვითარდება მოძღვრება ხელოვნებაში შემოქმედებითი საწყისის შესახებ. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან სისტემად ყალიბდება მოძღვრება სილამაზისა და ამაღლებულობის შესახებ და მხატვრული ცნობიერება, რომელთა ერთობლიობის აღმნიშვნელი ტერმინი „ესთეტიკა“ 50-იან წლებში გამოიყენა ბაუმგარტენმა, რომელსაც იგი ესმოდა როგორც „მეცნიერება მერძნობელობითი ცოდნის შესახებ“, როგორც „შემეცნების დაბალი თეორია“, რომელსაც უნდა შეეცხო ვოლფის ლოგიკა. მასასადა-

მე, მოძღვრება სილამაზის შესახებ აქ გაგებულია როგორც გნოსეოლოგიის შემადგენელი ნაწილი. შემდეგში კი ცნება „ესთეტიკა“ გულისხმობდა მხატვრული შემოქმედების ფილოსოფიას, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი შელინგისა და ჰეგელის ესთეტიკურ სისტემებში (შელინგის „ხელოვნების ფილოსოფია“ და ჰეგელის „ლექციები ესთეტიკაზე“).

XVIII საუკუნის მეორე ნახევარამდე ესთეტიკური აზროვნება ვითარდებოდა ხელოვნების ცალკეული დარგების ფორმალური თეორიების სახით. ანტიკურ ეპოქაში პოეზიის თეორიას ქმნიდნენ არისტოტელი, ლონგინოსი, პორაციუსი და კინტილიანე. მუსიკის თეორიას ეხებოდნენ არისტოქსენე, ევკლიდე, პტოლომეოსი, ბოციუსი, ხოლო არქიტექტურის თეორიულ საკითხებს ამუშავებდა ვიტრუვიუსი. ხელოვნების ანტიკური თეორიები შუა საუკუნეებში აღიქვა ქრისტიანული სპირიტუალიზმის სულისკვეთებით (ავგუსტინე, თომა აკვინელი, ერაუგენა; ბიზანტიაში — არეოპაგიტია, რომელთანაც არის დაკავშირებული რუსთაველისეული პოეტიკა). რენესანსული ესთეტიკა ძირითადად ეხებოდა სახვითი ხელოვნების თეორიას (ალბერტი, ლეონარდო და ვინჩი, დიურერი). XVII-XVIII საუკუნეების ესთეტიკაში იგრძნობა სენსუალისტური ემპირიზმის ტრადიციების შემდგომი განვითარება (ინგლისში — ფ. ბეკონი, ჰეტჩესონი, ჰომი, ბერკლი; საფრანგეთში — კონდილიაკი, დიუბო, დიდრო და სხვ.) გერმანიაში ლაიბნიც-ვოლფის ესთეტიკური ნააზრევებიდან გამომდინარე ბაუმგარტენი. ხოლო „XVII-XIX საუკუნის დასაწყისის ყველაზე ბრწყინვალე გონებანი, — როგორც აღნიშნავს ნ. იასტრებოვა, — სინამდვილეზე და ხელოვნებაზე თავიანთ შეხედულებათა სისტემის შესაბამისად... ეძებდნენ და გამოხატავდნენ ფილოსოფიური, ზნეობრივი ან ესთეტიკური ცნებებით ესთეტიკური იდეალის აღვილსა და ფუნქციებს ადამიანის საქმიანობის ფართო ასპარეზზე“. მაგრამ ამ პერიოდის ცნობიერება, — განაგრძობს იგი, — „იყო საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი. საფრანგეთის რევოლუციამ და მისმა რეზონანსმა ევროპაში, მისმა საზოგადოებრივმა შედეგებმა გამოიწვიეს სამყაროს გაგების მთელი სისტემის ახლებურად გააზრების ბოჰემა და მრავალმხრივი პროცესები... სწორედ ამ უმდიდრეს პერიოდში ხელოვნებათმცოდნეობაც და ესთეტიკაც პირველად ფართოდ აღაპარაკა ესთეტიკურ იდეალზე, და მის საზოგადოებრივ ფუნქციებზე“.

კანტის ესთეტიკაში XVII-XVIII საუკუნეების ემპირიზმისა და რაციონალიზმის ტრადიციებმა კრიტიკული დასრულება პოვა. კანტმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა ხელოვნების ავტონომიის პრინციპი, ესთეტიკური გაიგო როგორც დამაკმაყოფილებელი რგოლი ემპირიულ აუცილებლობასა და მორალურ თავისუფლებას შორის. კანტისეული ესთეტიკური შეხედულებანი განავითარა შელინგმა, რომელსაც ესთეტიკური მიაჩნდა „რეალურისა“ და „იდეალურის“ „ნეიტრალურ“ ანუ „ინდიფერენტულ იდენტურობად, „უსასრულოდ, რომელიც გამოხატულია სასრულში“. ჰეგელს კი ესთეტიკური ესმოდა როგორც იდეისა და სინამდვილეს შორის განსახიერების ერთიანობა, როგორც „იდეის მგრძნობელობითი მოვლენა“. შლეგელმა და ჰეგელმა, რომლებიც ესთეტიკას განიხილავდნენ უპირველესად, როგორც ხელოვნების ფილოსოფიას, განავითარეს და დასრულებული სახე მისცეს ხელოვნებისადმი ისტორიულ მიდგომას, რომელიც სათავეს იღებს ჯამბატისტა ვიკოს (1668-1744) ფილოსოფიაში, შემდეგ კი ყალიბდება ჰერდერის, შილერისა და ძმები შლეგელების ესთეტიკურ შეხედულებებში. როგორც მ. ოგსიანიკოვი წერს, „ჰეგელმა განავითარა გერმანული კლასიკური ესთეტიკის ტრადიციები, ლესინგის, ჰერდერის, კანტისა და შილერის მსგავსად, ხელოვნების საკითხებს იგი გადაწყვეტს ეპოქის დიდი პრობლემების შუქზე. მაგრამ იგი მიდის თავის წინამორბედებზე უფრო შორს. ჰეგელმა აღნიშნავს მარქსი, შეძლო გაეგო ისტორია როგორც „ადამიანური საქმიანობის“ შედეგი. იგი იღვას ისტორიზმის პოზიციებზე. საზოგადოებრივი მოვლენების, მათ შორის ხელოვნების, განხილვისას, იგი მუდამ ცდილობდა თვალი ედევნებინა მათი განვითარების“.

სათვის“; (გერმანული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, 1966 წ.). ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემაში აბსოლუტური გონის თვითშეცნობის სამი ფორმიდან (ხელოვნება, რელიგია და ფილოსოფია) პირველი, თუმცა ყველაზე არასრულყოფილი, ფორმა ხელოვნებაა. მაგრამ საგულისხმოა, რომ ხელოვნებას ჰეგელი დიალექტიკურ განვითარებაში განიხილავდა. ფაქტობრივად, „გერმანული კლასიკური ესთეტიკა, — როგორც აღნიშნავს ე. სავოსტიანოვი, — იყო რა თავისი ფილოსოფიური საფუძვლით იდეალისტური ესთეტიკა, ამუშავებდა (როგორც ყოველი იდეალიზმი) შემეცნების ქმედით მხარეს, მისტიფიკაციის საგნად აქცევდა რა მის პრაქტიკულ აქტიურობას. ამიტომაც გნოსეოლოგიზმთან ერთად გერმანული კლასიკური ესთეტიკისათვის დამახასიათებელია ხელოვნების როგორც შემოქმედების განმარტება, მისი განხილვა შემოქმედებითი საქმიანობის კანონზომიერებათა შუქზე. ხელოვნება გამოდის გერმანული ესთეტიკის კლასიკოსებთან არა როგორც ჰერერტის პროდუქტი, არამედ როგორც ადამიანის შემოქმედებითი აქტივობის შოვლენა. ამით ხელოვნების გნოსეოლოგიურიც და შემოქმედებითი მხარეები იღებენ ახალ დამუშავებას, მათი თეორიული გაგება ადის ახალ დონეზე, რადგანაც პირველად თანამიმდევრულად გაიხსენა ხელოვნებაში შემეცნებისა და შემოქმედების დიალექტიკა“ („შემეცნებისა და შემოქმედების ერთიანობა ხელოვნებაში“, 1977).

რომანტიზმი როგორც ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერების სისტემა, რომელიც ყალიბდებოდა გერმანული კლასიკური ესთეტიკის სისტემათა ფორმირების პერიოდში, მხატვრული კულტურის უფრო ფართო მოვლენაა, ვიდრე ლიტერატურული მიმდინარეობა ან მხატვრული მეთოდი. ხოლო, როგორც ცნობილია, ევროპული რომანტიზმი ვითარდებოდა გერმანული რომანტიკული თეორიის ზეგავლენით, ყოველ შემთხვევაში, მასზე რეაქციის სახით.

როგორც გვარწმუნებს ფ. დე ლა ბარტი, პეტრ ლასერი თავის წიგნში „ფრანგული რომანტიზმი“ (1907) ამტკიცებდა, რომ „XIX საუკუნის 20-იან წლებში რომანტიზმი გახდა სისტემა, პროგრამა. მას სურს შექმნას ახალი ფილოსოფია, ახალი შეხედულება ისტორიაზე, ახალი ფსიქოლოგია დრამასა და რომანში, ახალი ესთეტიკა“. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა უკრაინელი მეცლევარის დ. ნალივაიკოს საკმაოდ ვრცელი წერილი „რომანტიზმი, როგორც ესთეტიკური სისტემა“, სადაც რომანტიზმი დახასიათებულია როგორც „ისტორიულად ჩამოყალიბებული მხატვრული სისტემა“, აღნიშნულია, რომ „დროა გადავიდეთ რომანტიზმის როგორც ერთიანი და მთლიანი, მაგრამ ამავე დროს დიალექტიკურად მოძრავი ესთეტიკური სისტემის ახალი კონსტრუქციული კონცეფციის შექმნაზე...“ („ვოპროსი ლიტერატური“, № 11, 1982). რომანტიზმი რომ „ერთიანი მოვლენაა“, ამ აზრს იზიარებს ი. ტერტერიანიც, რომელიც დ. ნალივაიკოს წერილის შესახებ შენიშნავს, რომ „იგი „შესაძლოა, ვახდება რომანტიზმის შესახებ ფიქრების ახალი ნაკადის დასაწყისი „ვოპროსი ლიტერატური“, № 4, 1983).

„ესთეტიკური ცნობიერება“ და „მხატვრული ცნობიერება“, „თუმცა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კატეგორიებია, მაგრამ ერთი და იმავე მნიშვნელობისა მიაჩნ არ არის“. „რა თქმა უნდა, მხატვრული ცნობიერება მუდამ ესთეტიკური ცნობიერებაა, მაგრამ ესთეტიკური ცნობიერება არაა, მუდამ მხატვრული ცნობიერება“. (კრებული „ესთეტიკური ცნობიერება და მისი ფორმირების პროცესი“, 1981). რომანტიზმი უნდა გავიგოთ როგორც ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერების სისტემა სწორედ იმიტომაც, რომ „არ შეიძლება გავიგოთ მხატვრულ-შემოქმედებითი საქმიანობა „სილამაზის კანონების მიხედვით შემოქმედების“ ფართო ცნებასთან, რომლის შესახებაც წერდა მარქსი, ჰქონდა რა მხედველობაში არა მხოლოდ მხატვრული წარმოება, არამედ ადამიანური საქმიანობის სხვადასხვაგვარი სფეროები“. რომანტიზმი რომელსაც სინამდვილის უნივერსალური აღქმის პრეტენზია ჰქონდა, მოიცავდა როგორც „ფართო ცნე-

ბის“ ესთეტიკურ ცნობიერებას, ასევე ამუშავებდა მხატვრული ცნობიერების პრობლემებსაც. ამრიგად, რომანტიზმი არის ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერების სისტემა და არა უბრალოდ ლიტერატურული მიმდინარეობა ან მხატვრული მეთოდი. იგი უფრო ფართო ცნებაა, რომელიც თავის თავში შეიცავს მხატვრულ მეთოდს, როგორც სისტემის შემადგენელ ნაწილს. სწორად შენიშნავს ა. სოკოლოვი: „თუ რომანტიზმი როგორც მიმართულება შეიძლება სწორად იყოს დახასიათებული მხოლოდ ნიშან-თვისებათა სისტემაში, მაშინ მისი ისეთი კომპონენტი, როგორიცაა მეთოდი, არ არის უბრალო, ერთმნიშვნელოვანი ცნება, არამედ წარმოადგენს ნიშან-თვისებათა სისტემას, რომელშიც სპეციფიკურად გარდაისახება რომანტიზმის საერთო ნიშან-თვისებები“ („ეპოქის ლიტერატურა“, № 7, 1963).

როგორც საერთოდ ცნობიერება, ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერებაც ობიექტური სინამდვილის სუბიექტური ასახვაა. რომანტიზმის უაღრესად გასუბიექტებულ ესთეტიკურ-მხატვრულ ცნობიერებაში კი განსაკუთრებულ და გადამწყვეტ როლსაც კი ასრულებს იდეალური სამყაროს, წარმოსახული სასურველი „ახალი სინამდვილის“ კონსტრუირების მეთოდი, რომელიც კი იწვევდა სინამდვილის რეალური მასშტაბების „დარღვევას“, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ, როგორც ლენინი წერდა, „ხელოვნება არ მოითხოვს, რომ მისი ნაწარმოებები სინამდვილედ ვალიდროს“.

XVIII საუკუნის დამლევსათვის ნათელი გახდა, რომ მხატვრული შემოქმედება ბუნების უბრალოდ მიბაძვა როდია, არამედ ყოველი ხელოვანი სინამდვილეს საკუთარი სუბიექტური ხედვით აღიქვამს. 1789 წელს გოეთე წერდა, რომ ბუნების უბრალო მიბაძვით ხელოვანი ვერ სცილდება მოცემულ საგნებს, ახალს ვერ ქმნის. რა თქმა უნდა, ასეთი ხელოვანის ნაწარმოებებს არ აკლიათ **ნამდვილობა**. მაგრამ „ეგრეთ წოდებული მკვდარი ანუ უმოძრაო საგნების“ მიბაძვა იმდენად ადვილია, რომ ყოველგვარი ნიჭის გარეშე გონებაშეზღუდულ ადამიანსაც შეუძლია „შექმნას“ ნაწარმოებები. ყოველ ჰუმანიტარ ხელოვანს აქვს სინამდვილის ხედვისა და მისი აღქმის თავისი მანერა, ქმნის დანახულისა და განცდილის გამოხატვის თავის „ენას“, ასეთ შემთხვევაში, „ამ მანერის ყოველი ხელოვანი, — ამბობს გოეთე, — სამყაროს განსხვავებულად დაინახავს, აღიქვამს და მიბაძვით შექმნის: მის მოვლენებს იგი უფრო მოფიქრებულად ან უფრო ადვილად გაიგებს, მათ უფრო ღიწხად ან უფრო თამამად კვლავ შექმნის.“ (თხზულებანი. ტ. V. ვაიმარი, 1962).


საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში 30-იანი წლებიდან დამკვიდრდა მხატვრული მეთოდის ცნება, როგორც „ცხოვრების ხატოვანი ასახვის პრინციპი“, „ცხოვრების ხატოვანი ტიპიზაციის ხერხი“. ვ. სკვოზნიკოვი ასე განსაზღვრავს მას: მეთოდი ლიტერატურაში... არის ასახვის თანამიმდევრულად განხორციელებული ხერხი, რომელიც გულისხმობს სინამდვილის მასალის მხატვრული გარდასახვის ერთიანობას, დაფძნებულს ცხოვრების ხატოვანი ხედვის ერთიანობაზე, დაქვემდებარებულს მწერლის თანამედროვე ცხოვრების წამყვანი ტენდენციების გახსენსა და შემეცნების და მისი საზოგადოებრივი იდეალების განსახიერების მიზნებისადმი... მეთოდი ცხოვრების მხატვრული ხედვისა და მისი შემოქმედებითი გარდაქმნის გარკვეული ერთიანობაა; აწეღანა ასახვით სინამდვილესთან ხატოვანი აზროვნების კავშირის ესა თუ ის ტიპი“. (კრებული „ლიტერატურის თეორია“. 1962). როგორც ხედავთ, მხატვრული მეთოდის დეფინიცია ვერ მოიცავს შემოქმედებითი პროცესის მთელ სიართულეს, ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერების ერთობლიობის პრინციპებს. მეთოდი, ფაქტობრივად, არის სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების, მისი მხატვრული გააზრება-გარდასახვის პრინციპთა ერთობლიობა, რომელიც გაპირობებულია ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ფილოსოფიური და ესთეტიკური ცნობიერების დონით, საზოგადოებრივად შეთანხმებული „ჰუმანიტარტების“ კრიტერიუმით.

რომანტიზმის ისტორიულად ჩამოყალიბებადი მოძრაობა დაკავშირებული იყო ეს-
თეტიკურ-მხატვრული ცნობიერების ახალ ორიენტაციასთან, რომლის იმპულსად
ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი სისტემის რღვე-
ვა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა დამკვიდრება-განმტკიცება. შესაბამისად, მკვლე-
ვართა გარკვეულმა ნაწილმა ყურადღება გაამახვილა რომანტიზმის გნოსეოლოგიურ
მხარეზე. კერძოდ, მარი იოაჰიმ-დევე თავის წიგნში „გერმანული რომანტიზმის მსოფლ-
ხედვა“ წერდა, რომ „რომანტიზმმა თავისი წინათგანობით სავსე და ენერგიული
იდეებით, თავისი მაქვილგონიერულობით, თავისი გაბედული და ღრმაზროვანი
მსოფლმხედველობრივი მისწრაფებებით“ სიახლე შეიტანა ლიტერატურის განვითარებაში.

რომანტიზმის არსის გარკვევის მეთოდოლოგიურად გამართლებულ, უფრო სარ-
შემუნო პრინციპად გვესახება რომანტიზმის როგორც ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერ-
ების სისტემის გნოსეოლოგიური და ესთეტიკური საფუძვლების თავისებურებათა გა-
მკვლევება, რასაც საბჭოურ ლიტერატურათმცოდნეობაში განსაკუთრებული ყურადღება
მიექცა 60-იანი წლებიდან. კერძოდ, ვ. ვანსლოვი თავისი წიგნის „რომანტიზმის ესთე-
ტიკის“ (1966) შესავალში წერს, რომ მას „ანტიერესნუს, უპირველეს“ ყოვლისა, ხე-
ლოვნებაზე რომანტიკულ შეხედულებათა გნოსეოლოგიური ანალიზი“. უ. ფიხტსაც
მიაჩნია, რომ რომანტიზმის არსის გასარკვევად ძირითადად უნდა ვეყრდნობოდეთ მის
გნოსეოლოგიურ საფუძველს: „ხელოვნების როგორც სინამდვილის იდეოლოგიური
ასახვის ერთ-ერთი ფორმის გაგება მოითხოვს ნებისმიერი მხატვრული მეთოდის გნო-
სეოლოგიური წინაპირობების გამოკვლევას“. სამართლიანად აღნიშნავს ნ. გულიავეი,
რომ ბევრი რამ გაკეთდა რომანტიზმის არსის გასარკვევად, მისი ისტორიის კვლევისათ-
ვის, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცეოდა რომანტიზმის გნოსეოლოგიური საფუძვლის
შესწავლას.

ყოველ ეპოქას ახასიათებს თავისი პოეტური მსოფლგაგება, სინამდვილისადმი ეს-
თეტიკური დამოკიდებულების თავისი პრინციპები. რომანტიზმს კი განსაკუთრებული
აღგილი უჭირავს კაცობრიობის ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერების განვითარების ის-
ტორიაში: მის გნოსეოლოგიურ და ესთეტიკურ საფუძველად იქცა საუკუნეთა მანძილ-
ზე ჩამოყალიბებადი, ცვალებადი ფილოსოფიური და ესთეტიკური ცნობიერების გარ-
კვეთილი მიმართულებები (განსაკუთრებით შუა საუკუნეების, რენესანსის ზოგიერთი მი-
მართულება), პრერომანტიზმი და ფიხტეს სუბიექტური იდეალიზმი, რომლებიც საფ-
რანვეთის რევოლუციისა და შემდგომი კრიზისული პერიოდის ფონზე სავსებით ახ-
ლებურად, „რომანტიკული“ სახით იქნა ათვისებული. ასე რომ, რომანტიზმი, როგორც
ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერების სისტემა ხელოვნების ისტორიაში ტრადიციული
მოვლენაა, რომელმაც შემოქმედებითად და ორგანულად აითვისა გასულ საუკუნეთა
გარკვეული გნოსეოლოგიურ-ესთეტიკური მასალა, რომელიც სინამდვილის რომანტიკული
პრექციის წყალობით თვისებრივად სავსებით ახალ მოვლენად გარდაიქმნა. მხოლოდ მას
შემდეგ, რაც რომანტიზმი ჩამოყალიბდა, როგორც ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერ-
ების სისტემა, შეიძლება ვილაპარაკოთ რომანტიზმის არსზე, მის შესაძლებლობებზე, ხე-
ლოვნებასა და ლიტერატურაში რომანტიკულ ტენდენციებზე, რომანტიკულ სტილზე
და ა. შ.





გაყიდული ორთქლმავალი

— ძია სოფრომ, გენაცვალე, ორთქლმავლისა გვითხარი, რა...
სოფრომა ილიმება. თაუპატიჟს იღებს.

— გეხვეწებით, რა!

ზრინწიანად ჩაახველებს... ბიჭებს ერთი სული აქვთ, როდის დაიწყებს.

— ომიდან საღ-სალამათი დავბრუნდი. მარცხენა კანკში ჩარჩენილ რკინეულობას თუ არაფრად ჩათვლით, სხვაფრივ არა მიშავდა რა. ვამოსაშუშებლად ერთი კვირა ვიკმარე. მერე გურჯაანის დეპოს მივაშურე. განაპირა ლიანდაგზე გაყინულ ოქროსვარსკვლავიან ორთქლმავალზე მიმითითეს: შენ იცი და მაგანო, კაი ერთი თვე ვიჯახირე, როგორც ექნა, სული ჩაუდგი, გავათბე, გავახურე და ფეხი ავადგმევინე: ლიანდაგზე გაძართულად რომ გაირბინა, მოგეცათ ღებნა, ყველას მაშინ გავახსენდით. ამოსუნთქვის საშუალება საღლა იყო. ღამე თუ ღლე, ტვირთი თუ ხალხი... გაუდიოდა რაკარუკი ჩემი ბებერი ორთქლმავლის თვლებს რკინის ლიანდაგზე.

შემოდგომა შობრძანდებოდა კახეთში. ჩვენი მშვენიერი დედაქალაქიდან თელავისაკენ ამკიდეს ტვირთი. გარბის ჩემი რკინის მეგობარი. ქანცი მაქვს გაწვევტილი. მემანქანეც მე ვარ, „პამოშნიკიც“, ცეცხლფარეშიც... ძვალი და ტყავილა დავრჩი. გავყურებ წვეილ ფოლადის გზას და უცებ ვხედავ, ორთქლმავლის ცხვირთან, ვიწრო ბაქანზე, რაღაც შავი ლაქა თეთრი კბილებით მიცინის. თვალებს მაგრად ვხუჭავ. ვახელ — აღარაფერია. „მოჩვენებები დამეწყო“, — ვფიქრობ და ცეცხლს ორიოდ ნიჩაბ ქვანახშირს ვაყრი. გავიხედე და ისევ ის მოჩვენებაა. გარკვევით ვხედავ გამურულ პირისახეს. ბაღლია! გული მომეწურა. თვალი ჩავუკარი, თითით ვანიშნე, ჩემთან მოსულიყო. მორცხვობს თუ ეშინია?! გავუცინე, გულიანად გავუცინე. წამოვიდა. მზესუმზირის ყანაში საფრთხიანობელას რომ დგამენ, ის იყო სწორედ. მაღალ წვრილ ყინვზე წითელთმიანი თავი დასკუპებულა. გამზდარ, ვიწრო მხრებზე საცოდავად ჰკიდია ჟანგისფერი ხალათი. შარვალი ნეკნებზე ყვითელი ნაჭრით შემოუჭვრია, შიშველ ფეხებს წულა უფარავს. ლოყაზე ცრემლი ჩამომიცურდა, მკლავით შევიმშრალე. თამამად წამოვიდა ჩემკენ.

მე და დედანემმა ვიტალი ვხეხეთ და, რა ვხეხეთ! ჭუჭყი სულ ფენა-ფენა ძვრებოდა. სიგამზდრისაგან, საცოდავს, ფერდებში შუქი გასდიოდა. ბამბასავით თეთრი იყო, ცხვირპაჭუა, ჭორფლიან სახეზე შიშით და სევდით ამოვსებული დიდი ცისფერი თვალები ასხდა. დედანემმა რის ვაი-ვაგლახით მოარგო ჩემი ტანსაცმელი. ფეხთ ძველი ბათინკები ჩავაცვიოთ. მოდიოდა მაღალი, გამხდარი, წვრილ ფეხებს კომბლეზით მოიქნევდა.

ასე ვიშოვე, ყმაწვილებო, ვიტალი „პამოშნიკი“.

ბიჭებს გაელიმათ.

— სიტყვა ხომ არ გამიგრძელდა, ყმაწვილებო?!

— რას ბრძანებთ, ძია სოფრომ, მთელა გულისყურით ვისმენო, — თქვა ერთმა ახალგაზრდამ, თან ღვინის ჭიქა შეუვსო.

დაილოცა და მშვიდად შესვა ქარვისფერი ღვინო.

— რაღა ბევრი გაგაგრძელო, პირდაპირ ამბიდან დავიწყებ.

— აგაშენა ღმერთმა!

— თელავის ვაგზალზე ვართ მე და „პამოშნიკი“ ვიტალი. შუადღეა, ხაჯაფი ორთქლმავალი იქვე ღიანდაგზე გაყუჩებულია, ცისკენ გაშვერილი წვრილი საქშენით ითქვამს სულს. ზურგიან გრძელ სკამზე გადაწოლით ვზივარ და ვთვლემ. ვიტალი ვერხვის ძირას წამოწოლილა, თავქვეშ იარაღების ყუთი ამოუღვია, მშვიდი ძილითა სძინავს. შორს კავკასიონი ერთიანად დაწმენდილა. მთების ძირები მუქი იისფერია, ზევით, მაღლა და ძაღლა, ფერი იცრიცება და თოვლიან კენწეროებში იკარგება. ასეთ გუნებაზე იშვიათად ვყოფილვარ. ვუცქერი ამ მშვენიერ ქვეყანას და ძლივს ვიჯერებ, რომ შემიძლია ყოველივე ამით მშვიდად დავტკბე. უცებ მთების ფონზე რაღაც უზარმაზარი გამოისახა. თვალები დამიდიდრონდა: ერთი ახმაზი მეცხვარე წამომდგომია მეცხვარისვე ბოხოხით. მხრებზე მსუქანი თოხლი შემოუგდია, ღვას გაბოტილი და პირლია შემომცქერის. მეც დაჟინებით მივაჩერდი.

— გამარჯობა, ვეჟო! — იყვირა მეცხვარემ.

— გაგიმარჯოს! — ვუთხარი და ვიტალის გადავხედე. ისევ ისე უდარდელად ეძინა.

მეცხვარე თვალს არ მაშორებდა.

— ვეჟო, ამ მანქანის შოფერი შენა ხარ? — ხელი ორთქლმავლისაკენ გაიშვირა.

— დავუშვათ, მე ვარ, მერე?

— ვაა?! — გაიკვირვა გოლიათმა.

— რა ვაა?

გოლიათი ხან ორთქლმავალს შეხედავს, ხან — მე.



— რა კარგი მანქანაა! — სიხარულით თუ გაოცებით სახე წითლად წამოწებია.

— მოგწონს? — შევეკითხე.

— რა ეღირება ეს მანქანა? — კითხვა შემომიბრუნა.

— ძალიან ძვირი, — ვიფიქრე, სხვათა შორის მკითხა-მეთქი.

— მაინც?

— ძვირი ღირს, ხომ ვითხარი.

— ძვირი, ძვირი!.. ფასი თქვი!

გვერდულად გაგხედე, ვიფიქრე მცდის-მეთქი, თქვენც არ მომიკვდეთ, სულწასული მუშტრის სახე აქვს.

— აბა, როგორ ვითხრა, ფულად თუ საქონელზე გადავიყვანო?

— როგორც გინდა. არა, მოიცა! ჯიბეზე სამასი თუმანი მაქვს. დანარჩენი ცხვარზე იანგარიშე.

„ეჰ, საქმე ცუდად არის, — გავიფიქრე, — ამას იმდენი ჰყავს დასაფრენი, ჩემო კეთილშობილო, მთელ თუშეთს ეყოფა“.

ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, სკამიდან წამოვდექი, გავიარ-გამოვიარე. თან პირწავარდნილი ვაჭრის სახე მაქვს, თვალანთებული შემომაციცინებ. ბოლოს ორთქლმავალთან გაგჩერდი, თავი მაღლა ავადერე და გამოვუცხადე:

— სამასი თუმანი და ექვსას ორმოცდაცამეტი სული ცხვარი!

— ვაა! — გაოცდა მეცხვარე.

— თუ ნაღდი მუშტარი ხარ, ცოტას დაუკლებ.

— არ მეტყობა, ნაღდი რო ვარ?!

— ორმოცდაცამეტს დაუკლებ. დანარჩენი შენზე იქნება.

— ძაან ძვირია... — თავისთვის ჩაილაპარაკა.

— ეჰ, შენ მყიდველი არა ხარ! — ეთქვი და ორთქლმავლის კიბეზე დავაპირე ასვლა.

— მოიცა, მოიცა, სად მიხვალ! მაგდენი არა მყავს, მაგრამ მეზობლებს დავესესხები და ვიშოვი.

— „აუჰ! ეს კაცი მართლა გადაირია!“

— რას იშოვი?

— ცხორს! აბა, მაიტა ხელი! — თქვა და უშველბეელი ნინაბივით მტევანი გამომიწოდა. მეც არც ვაციე, არც ვაცხელე, ჩემი გამხდარი ხელი ვაკუნჭაპუნე. დღემდე ვერ მივმხვდარვარ, როგორ მოხდა ყოველივე ეს.

— ეს თოხლიც ფეშქაში იყოს! — თეთრი ქულასავით ცხვარი მხრებიდან ჩამოსვა და ფეხებთან დამიყვანა.

ჩვენს ყატიყუტზე ვიტალის გამოღვიძებოდა. მწვანე მოლზე წამომჯდარიყო, დიდრონ ცისფერ თვალებში იმდენი გაოცება ედგა, კინაღამ სიცილი წამსკდა. თავი ძლივს შევიკავე.

მეცხვარემ შარვლის ჯიბეში ღრმად ჩაიყო ხელი, დასტა ფული ამოიღო და გამოიმწოდა:

— ესეც სამასი თუმანი!

ფული გამოვართვი, ავათვალიერ-ჩავათვალიერე და გულის ჯიბეში ჩავიდე.

— დაითვალე! — დაიბღვირა გოლიათმა.

— გენდობი.

გაიღრიჭა და ორთქლმავლისკენ წაჩლახუნდა, მარცხენა ფეხი საგრძნობლად მოკლე ჰქონდა, ჯერ თვლებთან მივიდა. გაპრიალებულ წრეებს სათითაოდ შემოუსვა ხელი. მერე წინიდან შემოუარა, მთლიანად გაიბადრა.

— ეს მასკვლავი ოქროსია?

— მაშ! — ამ წვრილმანზე აღარ გავაწბილე.

— იჟ! — დიდხანს უტრიალა, დეტალებს სათითაოდ ეფერებოდა, ლამის დაკოცნა. ბოლოს გადმოიმხედა და მკითხა:

— შეიძლება ავიდე?

— აღი, ბატონო! — მეც ავეყვი.

— ხელსაწყობებს გულისყურით აკვირდებოდა.

— ტარება ძნელია?

— არც ისე!

— ხომ მასწაველი? — ხმაში მუდარა გამოურია.

— უეჭველად!

— მაშ კარგი, ცხორს შაბათ ჩამოგიღალავ.

— ჩამოღალავ და ეს მანქანაც შენია! — ერთი სული მქონდა მეკითხა, რად უნდოდა, თან მეშინოდა არ გამორკვეულიყო ეს ბოთი!

— მაშ, მოვილაპარაკეთ, რაღა?! — ერთხელ კიდეც დააზუსტა.

— მოვილაპარაკეთ! — კვერი დაუკარი.

— ერთი შენი სახელი მითხარი, — მთხოვა წინდახედულად.

— ეფრემას მეძახიან.

— აბა, კარგად იყავ, ეფრემ, შაბათამდე არა გაუფუჭო რა!

— არა. რას ამოხ, გელოდები!

ერთხანს კიდეც უყურებდა ორთქლმავალს, ტკბებოდა მშვენიერი ნაკვრით. მერე სიამოვნებით გაიღიმა და ზღაფუნით გაუყვა მოხრეშილ გზას.

— ეს რა ჰქენი, ძია სოფრომ?! — მეცა ვიტალი.

— ჰა! — გაოგნებული ვადექი. გონებაში ათასმა მაცდურმა ფიქრმა გაირბინა, სად არ მაქეიფა, ომში დაკარგული ბიჭების შესანდობარი შემასვა ათასნაირად... მერე თავს მოვერიე, ფული ჯიბიდან ამოვიდე, ვიტალის გავუწოდე და ვუთხარი:

— აჰა, გამოძარტივი, თოხლი წაიყვანე და დაეწიე! — რაღაცაზე გული მოშლიოდა.

— მერე, ძია, სოფრომ, ვიტალის რა უთხრა? — ბიჭები სულსწრაფობდნენ.

— რა უნდა ეთქვა, ერთხანს უჯჯღღანია: აკი მოვრიგდიო, პირი რაზე გატეხაო. მერე, ჩემი არ იყოს, ის ბოთეც გამორკვეულა. ფული და თოხლი გამოურთმევია და ღიღინით გაუწევია მთისკენ!

გადაკეთებული ანდაზები

- * მოყვარეს პირში უძრახე და... მტრად გავიხდება.
- * კოკა ყოველთვის მოითანს წყალს, თუ არ გატეხე.
- * ხარი ხართან რომ დააბა, შეიძლება ურქინოს.
- * მადლი ქენი, ქვაზე დადე და წინ ქვა მაინც დაგხვდება!
- * ფული ხელის ჭუჭყია, ამიტომ ჯიბეში უნდა გეღოს!
- * მარტოხელა კაცი მარტო ჭამაში არაა ცოდვა.
- * თუ გული გულობს, ქადას სულ ნუ შეჭამ!
- * რაც არ გერგება, არც მოგცემენ.
- * თავის ქება კიტრად ღირსო და ძაან კარგი ფასი ჰქონიაო.
- * დედა ნახე, მამა ნახე და შვილს მერე გამოუნახე პროტექტორი!
- * კმა ძნისთვის, სანამ შავი ღლისთვის სჭირდება.
- * მითხარი სად მუშაობს მამაშენი და გეტყვი, ვინ ხარ შენ!
- * სინდისიც კარგი საქონელია, მაგრამ ვისაც არა აქვს, თვითონაა საქონელი.
- * ხერხი სჯობია ღონესა, თუ ფულსაც მიახმარ.
- * ტყუილს გრძელი ფეხები აქვს, თუ არ წააჭერი!
- * ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ერთია, მაგრამ სადღაა აქლემი, რომ მომპარო?

გადაკეთა **პანო ცინცაძე**.



ნოდარ დუმბაძის ხსოვნას

მთელი საქართველო მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე თავის სასახელო შვილს ნოდარ დუმბაძეს — გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს, ლენინური, რუსთაველისა და ლენინური კომკავშირის პრეზიდიუმის ლაურეატს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს.

როდესაც მთელს საქართველოზეა ლაპარაკი, მხედველობაში გვაქვს არა მარტო დაკრძალვაზე ჩამოსული ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხის დელეგაციები, არამედ მთლიანად სალხი, ქართველებთან ერთად მცხოვრები სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

დიდი იყო აჭარის მშრომელთა გულისტკივილი, რადგან ბევრი, ძალიან ბევრი რამ აკავშირებდა ნოდარ დუმბაძეს საქართველოს ამ ძირძველ კუთხესთან, მის შესანიშნავ ადამიანებთან. აჭარის სინამდვილე ასახა მწერალმა თავის რომანში „ნუ გეშინია, დედა“ და სხვა ნაწარმოებებში. მისი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ საქართველოში ერთ-ერთი პირველი სწორედ ბათუმში დაიდგა.

აჭარის სიყვარული ნოდარ დუმბაძეს ბევრჯერ განუცხადებია. მოვიყვან მხოლოდ ერთ საახალწლო მოლოცვას:

„აჭარის მთებში, ნარინჯ-თურინჯად, ზურმუხტად, მარგალიტად და სიყვარულად გაბნეულ სულზე უტკბესო ჩემო ძმებო და დებო, ჩემო სისხლო და ხორცო, სვაფი და ბარაქა არ მოჰკლებოდეს თქვენს მარანს, ნაღისას და კარიას, ჩაუქრობელი იყოს შენი ოდის საკვამურიდან ამოსული ფუტი, არ მოგკლებოდეს სტუმარი, იყავი მუდამ შეზობლიანი, ბედნიერი და მხიარული მასპინძელი, მკერდს ოქროს ვარსკვლავი და თავს ჩაუქრობელი მზის შარავანდი გინათებდეს, უკუნითი უკუნისამდე მრავალუკამიერ!“

სიყვარული სიყვარულის წილ! ნოდარ დუმბაძის სახელს, მის შემოქმედებას დავიწყება არ უწერია, რადგან მარადისობის კანონის თანახმად, მზით განათებულ ადამიანთა გულებში გაუდგამს ღრმა ფესვები.

შუახევში გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი

დიდი ზეიმი ჰქონდათ შუახევის რაიონის მშრომლებს. რაიონულ ცენტრში გაიხსნა პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ახალი ძეგლი.

ამ ღირსსახსოვარ მოვლენასთან დაკავშირებით შუახევში შეიკრიბნენ საკოლმეურნეო შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები, მოწინავე კოლმეურნეები, ახალგაზრდობა, სტუმრები ავტონომიური რესპუბლიკის რაიონებიდან.

ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა პარტიის შუახევის რაიონის პირველმა მდივანმა მ. ჭალაიძემ.

მიტინგზე გამოვიდნენ საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანი ლენინის ორდენოსანი მ. აბაშიძე, შუახევის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე მ. დავითაძე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი შ. ლორია.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნძემ.

ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის მელოდები.

დიდი ბელადის ძეგლს ნელ-ნელა სცილდება ცისფერი საბურველი. ათასობით დამსწრის თვალწინ წარმოჩნდა ყველა სათვის ახლობელი ადამიანის, დიდი ლენინის მონუმენტური ფიგურა.

ძეგლის ავტორია საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი მ. ბოლქვაძე. რაიონის მოწინავე ადამიანებმა გვირგვინებით შეამკეს ბელადის ძეგლი.

მიტინგის შემდეგ გაიმართა დიდი სახალხო ღელესაწაული, რომელშიც მონა-

წილეობა მიიღეს შუახევის რაიონის ყველა სოფლის წარმომადგენლებმა.

დასასრულ გაიმართა სიმღერის ტრადიციული ღელესაწაული, რომელშიც მონაწილეობდნენ შუახევის რაიონის თვითმოქმედი კოლექტივები.

პარსონალური გამოფენა

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების სააქტო დარბაზში საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებისა და საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების ინიციატივით მოეწყო მწერალ ვახტანგ ახვლედიანის ნახატების პერსონალური გამოფენა, რომელიც ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავს მიეძღვნა.

ავტორმა მნახველთა სამსჯავროზე გამოიტანა 54 ნამუშევარი, მათ შორის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სურათებმა „მარადიული სიცოცხლის ხე“, „მშვიდობა“, „გიორგი დიმიტროვის პორტრეტი“, „მწერალ ბორის კალაიჯევის პორტრეტი“, „იდილია“, „ჩაფიჭრება“, „მიგვატოვეს“ და სხვა.

გამოფენა გახსნა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილემ პოეტმა გ. ქათამაძემ. ვ. ახვლედიანის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების შესახებ ილაპარაკეს აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. შარაშიძემ, პოეტმა მ. ვარშანიძემ, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარმა შ. ხოლუაშვილმა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების აჭარის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, აჭარის ასსრ ქანმრთელობის დაცვის

მინისტრმა რ. სურმანიძემ, მხატვრებმა ზ. ხაბაძემ და ა. ბაკურიძემ.

ვერნისაუს დაეწერნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. გუგუნივა, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. დუმბაძე.

ფილმის პრემიერა

კინოთეატრ „თბილისში“ გაიმართა ახალი ქართული მხატვრული ფილმის „სიბრძნის ანბანის“ პრემიერა. იგი გადაიღო საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ო. კობერიძემ. კინოსურათი შეიქმნა დიდი ქართველი მწერლის, მეცნიერისა და პოლიტიკური მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის უკვდავი წიგნის — „სიბრძნე სიცრუისა“ მიხედვით. ფილმი გადაიღეს ცენტრალური ტელევიზიის დაკვეთით.

პრემიერის შემდეგ შეხვედრა მოეწყო ფილმის ავტორებთან. სტუმრებს მიესალმნენ აჭარის ასსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ბოლქვაძე, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ც. ფუტყარაძე. შემდეგ გამოვიდნენ საქართველოს სახალხო არტისტები ლ. ელიავა, ო. კობერიძე, მსახიობი კ. მარადიშვილი.

პოეზიის საღამო

საბჭოთა ლიტერატურის მაღალი მინია დაამკვიდროს ცხოვრებისეული სიმართლე, სოციალიზმის მაღალი იდეალები, ემსახუროს პარტიასა და ხალხს. სწორედ ამის შესახებ იყო ლაპარაკი სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმზე, რომელიც მწერალთა კავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა.

მწერლები, მთელი საზოგადოებრიობა სიხარულით შეხვდნენ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში საბჭოთა მწერლების დიდი წვლილისათ-

ვის და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოებას.

ეს მაღალი ჯილდო ახალი შემოქმედებითი წარმატებებისათვის აღაფრთოვანებს აჭარის მწერლებსაც, რომლებიც ამას წინათ ხელვაჩაურის კოლმეურნეობის მშრომელთა წინაშე გამოვიდნენ.

მშრომელებსა და მწერლებს შორის გაიმართა გულახდილი დიალოგი. მწერლები დაინტერესდნენ კოლმეურნეობის ეკონომიკური მაჩვენებლებით, პრობლემებით, პერსპექტივებით.

შემდეგ კოლმეურნეობის კლუბში გაიმართა პოეზიის საღამო. იგი გახსნა ხელვაჩაურის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის გზით“ რედაქტორმა გენრიეტა ქუთათელაძემ. მან დამსწრეთ გააცნო პოეტების — რუსთაველის პრემიის ლაურეატის ფრიდონ ხალვაშის, მამია ვარშანიძის, ქსენია მუჟიას, ურუჟუნა ხაჭიშვილისა და ვასტანგ ლლონტის შემოქმედება და სიტყვა სტუმრებს გადასცა.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ პოეტებს, რომლებმაც წაიკითხეს თავიანთი ლექსები.

იღებენ „მე ვ ლ უ დ ს“

ცნობილი ქართველი მწერლის პ. ლორიას რომანი „მე ვ ლ უ დ ს“ ახლა ეკრანისეულ სიცოცხლეს იწყებს. ქედის რაიონს კინემატოგრაფისტების დიდი ჯგუფი ეწვია რეჟისორ ნ. სანიშვილის მეთაურობით.

მწევანმა რეჟისორმა ახალგაზრდა პროზაიკოს ნუგზარ შაბაძესთან ერთად დაწერა სცენარი, გარკვეული კორექტივები შეიტანა რომანის ქარგაში. სწორედ ეს სცენარი დაედო საფუძვლად ახალ ქართულ ფილმს, რომელსაც ძირითადად აჭარაში გადაიღებენ.

მეგვლდის როლი მეტეხის თეატრის მსახიობს ზურაბ ცინცილაძეს მიანდეს. მან ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნ. სანიშვილი იღებდა სუ-

რათს „სახლი ლესნაიაზე“. სასიამოვნოა ისიც, რომ მისი პარტნიორია ქედელი მოსწავლე მამუკა გათენაძე.

მუშაში მშაღება

აქარის სახელმწიფო მუზეუმი სამეცნიერო-საფონდო მუშაობის საკავშირო დათვალიერებაში გამარჯვებისათვის ბევრჯერ დაჭიდდოვდა საკავშირო და რესპუბლიკური კულტურის სამინისტროების პირველი ხარისხის დიპლომით. ამჟამად იგი ჩაბმულია დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ მუზეუმების სამეცნიერო - საგანმანათლებლო მუშაობის საკავშირო დათვალიერებაში.

ამ თარიღისათვის მზადება ჯერ კიდევ შარშან დაიწყო. წინასწარ შეიმუშავეს სპეციალური გეგმა, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მუშაობა. მოსახლეობაში კითხულობენ ლექციებს: „აქარა დიდ სამამულო ომში“, „აქარის ინტელიგენცია სამამულო ომის პერიოდში“, „ქართველი და საბჭოთა ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა სამამულო ომის დროს“, „საბჭოთა ხალხის გამარჯვების ისტორიული მნიშვნელობა“ და სხვა. მოეწყო მოძრავი გამოფენა „აქარა დიდ სამამულო ომში“. გადახალისდება სამამულო ომისადმი მიძღვნილი განყოფილება, მოეწყობა შეხვედრები სანამულო ომის მონაწილეებთან, მუზეუმის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი გაიზრდება სამამულო ომის ამსახველი ახალი ლიტერატურით, მიმდინარეობს სამეცნიერო ფონდების შევსება-დაკომპლექტება.

„საბჭოთა აჭარა“ გამოცემა

საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი კ. პაუსტოვსკი 1922-1923 წლებში საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მის შემოქმედებაში აისახა იმდროინდელი საქართველოს ყო-

ფა, საბჭოური ცხოვრების წესი და მკვიდრების პროცესი. მწერალი ჩვეულებრივად და მალაქმანატრულად გადმოგვცემს მეზღვაურების, გლეხების, მუშების, ინტელიგენციის ცხოვრებასა და წრებას. ოსტატის თვლით დანახული მაშინდელი საქართველო და კერძოდ, კოლხეთი ქრონოლოგიური სიზუსტით აღდგება დღევანდელი მკითხველის წინაშე.

სწორედ ეს ნაწარმოები შევიდა წიგნში, რომელიც ახლანა „საბჭოთა აჭარა“ გამოსცა რუსულ ენაზე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ წიგნში შეტანილია მწერლის ნაკლებად ცნობილი და ჯერ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებებიც „ბათუმური წერილები“, „გასავლელი ოთახი“, „ზამთარი ბათუმში“, „მტკვრის ნაპირებიდან“, „ქართველი მხატვარი“, „სიცოცხლე მუშაობაზე“, „ნახტომი მტკვარში“, „სამი მოთხრობა“, „კოლხეთი“, „როგორ დავწერე „კოლხეთი“ და სხვა.

წიგნის შემდგენელია ია აღიშვილი.

* * *

გამოვიდა პოეტი ქალის ცისანა ანთაძის ლექსების წიგნი „მზეო მაღალო“.

ანოტაცია გვაუწყებს: „ცისანა ანთაძეს დიდი ხანია იცნობს მკითხველი. მისი ლექსების მთავარი თემაა სამშობლოსადმი ერთგულება, მეგობრობის უნაზღები გრძნობა, მშობლიური სანახების უსაზღვრო სიყვარული.

ბოლო დროს მან კალამი სცადა თარგმანშიც. ამ კრებულში მკითხველს ეთავაზობა რუსი პოეტის ვლადიმერ ვისოცკის ლექსების მისეულ თარგმანსაც.

კრებულში ცალკე რკალს ქმნის ვ. ვისოცკისადმი მიძღვნილი ლექსები.

ბევრ ადამიანურ ფიქრს იტევს ლექსი „ნორჩ მხატვართა გამოფენაზე“. აგრეთვე ლექსები „მზეო მაღალო“, „მაის ფრთები აქვს“, „შორეული გალობა“ და ბევრი სხვა.

წიგნის რედაქტორია ლ. ბეჟანიძე, მხატვრულად გააფორმა ა. ლომაძემ.

ქართველი მკითხველი შოთა ზოიძეს იცნობს ლექსთა კრებულებით. ახლახან კი პოეტი მის სამსჯავროზე წარდგა ლიტერატურული წერილების წიგნით „სიყვარულის გაკვეთილები“, რომელიც გამოშემოშა „საბჭოთა აჭარამ“ გამოცდა.

„ამ წერილებს რომ ვწერდი, — ამბობს ავტორი ანოტაციაში, — აზრადაც არ მომსვლია მათი ცალკე წიგნად აკინძვა. ეს სურვილი გაცილებით გვიან დამებადა.

დაკვირვებული თვალი მასში ჩემი ლექსების თვისებებსაც შენიშნავს. ზოგი მათგანი ესეისტურ პროზას განეკუთვნება და ავტორის კერძო შთაბეჭდილებებს გამოხატავს.

იგი თხუთმეტ წელიწადს იწერებოდა ვწერდი ლექსების პარალელურად, ზოგჯერ მესმარებოდა კიდევ ლექსების წერაში. მჯერა ამას მაინც ეტყვის მკითხველს. სხვა პრეტენზია არც მქონია და არც მექნება.“

წიგნში ოცდარამ წერილია. ისინი ეძღვნება ტიცთან ტაბიძეს, გალაკტიონ ტაბიძეს, ლადო გუდიაშვილს, ალექსანდრე ბლოკს, ვლადიმერ მაიაკოვსკის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლენინძეს, დავით გუარამიშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, აკაკი წერეთელს, ალექსანდრე გრიბოედოვს, ირაკლი აბაშიძეს, გიორგი შაბტერაშვილს, იუსუფ კობალაძეს, პარმენ ლორიას, მამია ვარშანიძეს, ცისანა ანთაძესა და სხვებს.

კრებულის რედაქტორია ზ. ფირცხაღაიშვილი.

„ჭოროხის“ 1984 წლის ნომრების შინაარსი

მოწინავე წერილები

ღიადი დღესასწაულის შესახებდრად,
№ 4.

ახალგაზრდობა — იმედი ხვალის,
№ 6.

პოეზია

ალელიშვილი ნიკოლოზი — მერცხლების დაბრუნება (ლექსი), № 5.

ანანიძე ალექსანდრე — მამის სურათთან, (ლექსი), № 5.

ახვლედიანი ვახტანგი — ძახილი (პუბლიცისტური პოემა), № 1.

გაზაფხულის სიმღერები — (ნინო საკანდელიძის, ნონა ვარაზაშვილის, ჟუჟუნა შინიძის, გულნარა ბოლქვაძის, ნელი ლაითაძის, ნახიბროლა მიქელაძის, ქეთინო გუჯაბიძის, მერი ნიყარაძის, ნანა ანთაძის, რუსუდან ჭინჭიხაძის,

ნათელა ივანიძის, ნანული კეკელიძის, დავარ გიგინეიშვილის, ნუნუ სკამკაიშვილის ლექსები), № 2.

გვარიშვილი ნანა — ლექსები, № 5.
დავითაძე ემენი — ვაზის გახიზნვა (პოემის ფრაგმენტები), № 6.

დუმბაძე ნათელა — ლექსები, № 2.

ერგემიძე ნუგზარი — ლექსები, № 3.

ვარშანიძე მამია — ლექსები, № 3, 6.

ზოიძე შოთა — ლექსები, № 5.

თედორაძე დავითი — ლექსები, № 4.

თევზაძე ბადრი — ლექსები, № 1.

თოთაძე ლალი — ლექსები, № 4.

მელია იაკობი — ლექსები, № 3.

მეტრეველი ბორისი — ლექსები, № 3.

მუავია ქსენია — ლექსები, № 1.

რომანაძე ზერა — ლექსები, № 4.

როყვა შოთა — ლექსები, № 2.

ტაკიძე დავითი — ლექსები, № 2.

ფირცხალაიშვილი ზურაბი — ლექსე-
ბი, № 4.

ჭათამაძე ჯემალი — ლექსები, № 1, 4.

ფლონტი ვახტანგი — ლექსები, № 5.

ცხვედიანი ნაირა — ლექსები, № 1.

ხაბაზი ამირანი — ლექსები, № 3.

ხალვაში ფრიდონი — ქართული ჩაი.
(ლექსი), № 3.

ხვედელიძე ბაბო — ლექსები, № 5.

ჩაყელი ჯემალი — მშვიდობისათვის
(პოემის ფრაგმენტები), № 3.

პ რ მ ზ ა

ამირეჯიბი მანანა—მშვიდობით მგზა-
ვრობას გისურვებთ (მოთხრობა), № 2.

არჯევანიძე ნინო — გაცნობა (მინია-
ტურა), № 2.

გოგოჩაიშვილი ლალი — იყიდეთ ყვა-
ვილები (მინიატურა), № 2.

გრიგოლია ნანა — მეოცნებე გოგო-
ნას ამბავი (მინიატურა), № 2.

მაღალაშვილი ნესტორი — პირველად
ზათუმში, № 1, მამათი, ჩემი სოფელი,
(მოგონებათა წიგნიდან), № 4.

ოსეფიაშვილი რევაზი—ჩემი დუმილი
შენი განაჩენია (რომანის ფრაგმენტები),
№ 1, 2, 3, 4, 5, 6.

პაქსაძე ალექსანდრე — მინიატურები,
№ 3.

სულიაური ანზორი — მინიატურები,
№ 3.

სულხანიშვილი თამარი — წერილი,
რომელსაც შენ ვერ წაიკითხავ (მო-
თხრობა), № 2.

ჭუათათელაძე გენრიეტა — უმთავრე-
სი თვისება (მოთხრობა), № 1.

ჩხეიძე ჯემალი — ქარბორბალა (მო-
თხრობა), № 5, 6.

ხოფერია ჯემალი — ლურჯი ცის ნა-
ჭერი (მოთხრობა), № 4, 5.

ჯ ე ჯ ი ლ ი

ანანიძე ლევანი — მეგობრები (ლექ-
სები), № 3.

ბაკურიძე ენვერი — უღრუბლო ზე-
ცა (ლექსები), № 3.

გათენაძე მერაბი — მეფუტკრეები,
№ 6.

ირემაძე ნოშრევანი — ლექსები,
№ 3,

ზივზივაძე ციცინო — ნინოს სიზარუ-
ლი (ლექსი), № 6.

კვახტანი კუყური — სამშობლო
(ლექსი), № 3.

სანიკიძე იოსები — ფიცი (ლექსი),
№ 4.

სიმონია ვასილი — რეზო და მურია
(ლექსი), № 4.

სურმანიძე ჯემალი — წიგნი (ლექსი),
№ 6.

შავიშვილი-ტაკიძე ღარეჯანი — წერი-
ლი გიას, № 4.

ჭყონია ოთარი — ნაკადული (ლექ-
სი), № 3.

ახალი თარგმანები

აფხაზური პოეზიიდან (დიმიტრი გუ-
ლიას, ბავრატ შინკუბას, ივანე თარბას,
კონსტანტინე ლომიას ლექსები, თარგმნა
გიორგი სალუქვაძემ). № 1.

ცხენიანი სერგეი — ამ ზღაპარში გი-
ამბობთ... (ლექსი. თარგმნა გიორგი სა-
ლუქვაძემ), № 4.

კალაიჯევი ბორისი — უკვდავების
წყალი (მოთხრობა. ბულგარულიდან
თარგმნა ვახტანგ ახვლედიანმა), № 3.

კრისტი აგატა — ეგვიპტური სამარ-
ხის საიდუმლო (მოთხრობა. ინგლისუ-
რიდან თარგმნა თინა შიოშვილმა),
№ 3, 4.

ტოგი ლასლო — ქალაქის ძალა
(მოთხრობა, უნგრულიდან თარგმნა ლა-
ლი მაისურაძე-მორგოშიამ). № 3.

ფრაიზერი ჯორჯი — სიზმრად კემ-
ბრიჯში (მოთხრობა. ინგლისურიდან თა-
რგმნა ნონა ღამბაშიძე - კეკელიძემ),
№ 4.

ნ ა რ კ ვ მ ზ ბ ი

ლიასამიძე ისმეთი, ბექირიშვილი იო-

სეპი — ნაპირს ამაგრებს... შტორმი, № 1.

პაქსადე ალექსანდრე — ტყე შეუნახე შეიღებსა, № 5.

ფუტკარადე ოთარი — მესხეთო, გამოსტერ ლერწამი, № 2. მტკვარი, ივერია, გულსუნდა, № 6.

დ ბ ი უ ბ ი

თავდგირიძე ევგენი — ლექსები, № 3.

ბ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

აბაშიძე სოხო — უკვდავება ერისა, № 3.

გელაძე ასმათი — საინტერესო მოთხრობა, № 5.

დავითაძე ემენი — მამულის სიყვარული, № 2.

დუმბაძე ნელი — ეპოქის კვალდაკვალ, № 2.

ჭაჭარიძე შოთა — პოეტი-ჯარისკაცი, № 1.

კომახიძე ზურაბი — საყურადღებო ნაშრომი, № 2.

მახარაძე მიხეილი — ზურაბ კაკაბაძე, № 5.

მეგრელიძე იოსები — „ღეაწლი ამაოდ არ ჩაივლის“, № № 4, 5.

სახარულიძე გიორგი — „ხალხური ევფესისტყაოსანი“, № 3.

ჭორბენაძე პავლე — რომანტიზმის გენეზისის საკითხი, № 1. რომანტიზმის არსის საკითხისათვის, № 6.

ხალვაში ფრიდონი — საქართველოს მოქალაქე, № 2.

წ ი ბ ნ ე ბ ი და ავტორები

ხარაზი მამია — ვლადიმერ გილიროვსკი, № 2. სერგეი გოროდეცკი, № 2, რასულ ჰამზათოვი, № 4.

წ ა რ ი ლ ე ბ ი

ალვანდიანი ანა — შიგასაწარმოო სამეურნეო ანგარიშის მდგომარეობა და განვითარების ამოცანები ბათუმის საწარმოებში.

ბარამიძე მაია — ტბელის ენა, № 5.
ბიბილიეშვილი ლუბა — მოჭირანთა

ლე „ღედა ენისა“, № 3.

ბუძიშვილი თამარი — სტრაბონი საქართველოს ქალაქებისა და ცინე-სიმაგრეების შესახებ, № 4.

დავითაძე ალექსანდრე — ისტორიკოსი-მემკვიდრე, № 6.

დიასაშიძე გულგერი — ჩვენი საერთო საქმე, № 5.

დიომინა ტატიანა — ალექსანდრე პალმი საქართველოში, № 3.

თურმანიძე ოთარი — მეცნიერული აზრის აღმავლობა, № 2.

კალანდარიშვილი ლევანი — რაც დავიწყებით არ იბნინდება, № 3.

კომახიძე ზურაბი — აღზრდა — უპირველესი საზრუნავი, № 5.

მამულაშვილი მიხეილი — ტირილი „ვეფხისტყაოსანში“, № 3.

მგელაძე ნუგზარი — დიდაქარის სოფლების წარმოშობის ისტორიისათვის, № 6.

სამსონია ალექსანდრე — ნოდარ დუმბაძის ხსოვნას, № 6.

სურგულაძე აბელი — სელიმ ხიმშიაშვილის ბიოგრაფიისათვის, № 4.

სურმანიძე რამაზი — „ჩვენთვის გულმტკევენი კაცი“, № 4.

უშუნაძე რევაზი — „წითელი ბათუმი“, № 2.

ქვლივიძე ცინული — „ოტელს“ პირველი ქართული თარგმანის გამო, № 5.

ჩავლეიშვილი მურადი — საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტისათვის, № 6.

ხახუტაიშვილი დავითი, კახიძე ამირანი, გოგიტიძე სერგო — არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი ახალშენებლობათა მოედნებზე, № 5.

ბამბარჯშვილის 40 წლისთავისათვის

აბუსერიძე დავითი — ხომალდი და აღამიანი, № 5.

გელოვანი გიორგი — ისაი კაზინეცის დაბრუნება, № 4.



დვალისეფილი მერაბი — ცას მისი კვა-
ლი აჩნია, №5.

მწვიდრობაძე მიხეილი — პირველი
გმირი აჭარის, № 3.

ცერცვაძე იასონი — ქერჩის მისა-
დგომებთან, № 3.

ხ ე ლ მ ე ნ ე ბ ა

ესიტაშვილი ილია — ქორეოგრაფის
ლვაწლი, № 2.

პეტრიაშვილი ზაზა — დიპლოგი სა-
ხალხო არტისტთან, № 1.

სულაბერიძე პეტრე — თეიმურაზ მე-
ლადის „განდაგანა“, № 4.

ჭიჭინაძე-გვენცაძე ივოლდა — მოქა-
ნდაცე ბიძინა ავალიშვილი, № 3.

რას მოგვითხრობენ ტოპონიმები

სურმანიძე რამაზი — კვლავ ტოპო-
ნიმ „მწვანე კონცხზე“, № 3.

მივიწყებული სახელები

შარაშიძე ლადო — „ჩქერებინა“
„პოეზიის“ ავტორი, № 4.

ჩვენი თანაქალაქელები

ზამზახიძე ანზორი — ოდისეი დიმი-
ტრიადი, № 4 იოსებ ბარდანაშვილი,
№ 6.

გ ე დ უ ზ ა

ასანიშვილი შოთა — გაყიდული ორ-
თქლმავალი, № 6.

კვასხვაძე შალვა — სემინარი, № 1.

მარღანიძე ლადო — ჩემი ხანმოკლე
ცხოვრება ხელოვნებაში, № 4.

სანადირაძე რევაზი — საფეხბურთო
დიპლოგები, — № 1.

ს კ ო რ ტ ი

ზამზახიძე ანზორი, მურვანიძე გიორ-
გი — ვაჟა, დინამოელებო!, № 1.

გასულ ორ თვეში

№ 1, 2, 3, 4, 5, 6.

მთავარი რედაქტორი ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი, გიორგი ბაჩიშვილი, ზურაბ გორგილაძე, მაგია
პარუზანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შოთა ზოიძე, დავით თედორაძე,
გიორგი სალუქვაძე, ჯემალ ქათამაძე, ალექსანდრე ჩხაიძე, ფრიდონ
ხალვაში, დავით სახუტაიშვილი, ჯემალ ჯაჟელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 8.10.84, ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.10.84, საგამო-
მცემლო თაბახი 5, შეკვეთის № 3310, ემ 02317, ქაღალდის ზომა
60×90¹/₁₆, ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო
გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам изда-
тельств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое
производственное объединение Аджарской АССР. Батуми.
ул. Р. Люксембург, 20.

650/151



№ 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78113